დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ოყურეშის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ზაზა ჭანტურია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები;

ფარნაოზ იორდანიშვილი;	ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
ნათია დარსაძე;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ბესიკ ბერიძე;	საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
რუსუდან ნაპირაშვილი;	უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ინგა ხრიკაძე;	ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
მორის გუმბარიძე;	ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
ლელა გაბისონია;	სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
მარინე ახალაია;	მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
საბა დარსაველიძე;	სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ელენე ბეთლემიშვილი;	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ექსპერტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

ნაწილი I.

შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ოყურეშის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	242576182

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ცაგერის მუნიციპალიტეტი
იურიდიული მისამართი	ცაგერის რაიონი სოფელი ოყურეში
ფაქტობრივი მისამართი	ცაგერის რაიონი სოფელი ოყურეში
საფოსტო ინდექსი	5100
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	არა აქვს
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Okureshi@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	595-963380

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	2023 წლის 11 აგვისტოს №986925 ბრძანება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2023 წლის 4 და 5 სექტემბერი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ცაგერის რაიონი, სოფელი ოყურეში
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო		
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 11 აგვისტოს, MES 9 23 0000986925 ბრძანების საფუძველზე, 2023 წლის 4 და 5 სექტემბერს ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით შედგა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ - ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ოყურეშის საჯარო სკოლაში (მისამართი; ცაგერის რაიონი, სოფელი ოყურეში) ,,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლით განსაზღვრული.

ვიზიტის ეფექტიანი წარმართვისთვის ექსპერტთა ჯგუფმა გავმართეთ სამუშაო შეხვედრა დისტანციურ რეჟიმში. შევიმუშავეთ დღის წესრიგი და შესამოწმებელ დოკუმენტთა დამატებითი ნუსხა, რომელიც დაწესებულებას წინასწარ გადაეგზავნა. ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრა: ორი ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტით, რომელთაგან ერთი თავმჯდომარეობდა ჯგუფს, ხოლო მეორე საგნობრივი ჯგუფის ექსპერტებით.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ექსპერტები გაესაუბრნენ სკოლის წარმომადგენელებს - სკოლის დირექტორს, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირებს, საქმისმწარმოებელს, სკოლის ბუღალტერს, ბიბლიოთეკარსა და პედაგოგებს. სკოლის მასწავლებლებთან შედგა ინტერვიუ წინასწარ შეთანხმებული და გაწერილი გრაფიკით. ვიზიტი განხორციელდა პირისპირ ფორმატში, ხოლო საგნობრივმა ექსპერტებმა (გარდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფისა) დისტანციურ რეჟიმში წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით ჩაატარეს ინტერვიუები მასწავლებლებთან.

ვიზიტი განხორციელდა კოლეგიალურ და თანამშრომლობით გარემოში. ადგილზე მყოფი ექსპერტების მიერ მოხდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, საზოგადოებრივი მეცნიერებების კლას-კაბინეტებისა და ლაბორატორიების დათვალიერება. დაწესებულების ადმინისტრაციამ და პედაგოგებმა ხელი შეუწყვეს ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყვეს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენა, რისი აუცილებლობაც ადგილზე განისაზღვრა. ექსპერტების მიერ გაიცა კონკრეტული რეკომენდაციები და რჩევები. ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა წარმოების პროცესში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზის, სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები ვიზიტის დასასრულს გავაცანით დაწესებულების წარმომადგენლებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

მოსწავლეთა რაოდენობა: 160	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	ექსპერტთა ვიზიტის დროს დოკუმენტურად და ვიზუალურად ნანახი იქნა 96 მოსწავლეზე გათვლილი მერხი და სკამი. **ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას - ორ ცვლაში.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა **მეტწილი**

ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა **მეტწილი**

ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა **მეტწილი**

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
1.1.1.2.	სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;	**დაწესებულებამ შეიმუშავოს ხედვა** წარმოდგენილი უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში. **(30.11. 2023 წელი)**
1.1.1.3.	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;	**სასკოლო საზოგადოების ჩართულობით დაწესებულებამ შეიმუშავოს ხედვა და ღირებულებები.** უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. **(30.11. 2023 წელი)**
1.1.1.4	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;	**დაწესებულებამ შეიმუშავოს ხედვა და ღირებულებები, რომელიც გაზიარებული იქნება სასკოლო საზოგადოების მიერ.** უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. **(30.11. 2023 წელი)**
1.1.1.5.	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;	**დაწესებულებამ უზრუნველყოს ხედვისა და ღირებულებების შემუშავება, რომელიც საჯაროდ იქნება ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოებისათვის.** წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. **(30.11. 2023 წელი)**

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობივი შესაბამისობისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

1.2.1.1.	სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;	**სკოლამ შეიმუშავოს და შესაბამისი ბრძანებით დაამტკიცოს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია.** დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. **(30.11. 2023 წელი)**
1.2.1.2	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;	**დაწესებულებამ შესაბამისი ფორმით შეიმუშავოს და ბრძანებით დაამტკიცოს სტრატეგიული განვითარების გეგმა.** დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. **(30.11. 2023 წელი)**
1.2.1.3.	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;	**ერთწლიანი სამოქმედო გეგმა მიუსადაგოს სტრატეგიული განვითარების გეგმას.** დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. **(30.11. 2023 წელი)**
1.2.1.4	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.	**სამოქმედო გეგმაში განსაზღვროს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, მიუსადაგოს გაზომვადი ინდიკატორები, გაწეროს რეალისტური ვადები და მიუთითოს პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და განსაზღვროს შესაბამისი რესურსი.** დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. **(30.11. 2023 წელი)**
1.2.2. 1.	სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;	**შეიმუშვოს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს მკაფიო მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს.** დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. (30.11. 2023 წელი)

1.2.2.2	მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;	**შეიმუშავოს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორიგნისა და შეფასების მექანიზმები.** დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. **(30.11. 2023 წელი)**
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
3.1.1.1.	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;	**მკაფიოდ განსაზვროს სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქცია მოვალეობები.** დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. **(18. 10. 2023 წ.)**
3.1.2.4.	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;	**სკოლამ უზრუნველყოს პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისობის დადასტურება დაკავებულ თანამდებობასთან.** დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. **(01.15.2024 წელი)**
3. 3.1.1	სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;	**შექმნას და ბრძანებით დაამტკიცოს ხარისხის პოლიტიკის უზრუნველყოფის მექანიზმები.** დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. **(30.10.2023 წელი)**
3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში	**დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება.** (17.10.2024 წელი) • საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება შესაბამის სტურქტურებთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

	რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	• სკოლის შენობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნის მოპოვება შესაბამისი უწყებებიდან; • საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივ ბრძანებით №41/ნ/01-23/, 21.03.2022წ განსაზღვრული პირობების შესაბამისად, სკოლის ექიმის დასაქმება და ავადობის შემთხვევების კანონმდებლობით დადგენილი წესით მართვა და აღრიცხვა. • სკოლის მეორე შერწყმულ შენობაში განთავსოს საევაკუაციო გეგმები, განათავსოს სახანძრო უსაფრთხოებისათვის საჭირო შესაბამისი რესურსი. • სამედიცინო კაბინეტი აღჭურვოს შესაბამისი ინვენტარით; ტექნიკური რესურსით პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით
3.6.1.2.	ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.	**შემუშავოს ციფრული განვითარების გეგმა, ინფორმაციული ტექნოლოგიების მოხმარების წესი.** დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. **(30.11.2023 წელი)**
3.6.3.1.	სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;	**შექმნას ვებ-გვერდი. ატვირთოს შესაბამისი მასალები სკოლის ოფიციალურ ვებ-ვერდზე.** დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. **(30.11.2023 წელი)**
3.6.3.3	საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;	**შექმნას ვებ-გვერდი. ატვირთოს შესაბამისი მასალები სკოლის ოფიციალურ ვებ-ვერდზე.** დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. **(30.11.2023 წელი)**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

3.6.3.4.	სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;	**შექმნას ვებ-გვერდი. ატვირთოს შესაბამისი მასალები სკოლის ოფიციალურ ვებ-ვერდზე.** დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. **(30.11.2023 წელი)**
3.6.3.5.	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია და სხვ.	**შექმნას ვებ-გვერდი. ატვირთოს შესაბამისი მასალები სკოლის ოფიციალურ ვებ-ვერდზე.** დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. **(30.11.2023 წელი)**
სტანდარტი N2	**დაწყებითი, საბაზო საშუალო საფეხური**	**სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია**
2.2.2.5.	სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;	**შეიმუშავოს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმები.** დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. **(30.11.2023 წელი)**

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*რჩევა*
ინდიკატორი N 1.1.	სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;	სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლას სამივე საფეხურისთვის გაწერილი აქვს სხვადასხვა მისია და ხედვა. მიმართულება აღებული აქვთ ესგ-დან; თავი II ,,სწავლა-სწავლების მიზნები და საგანმანათლებლო პრინციპები“. **სკოლას მიეცა რჩევა,** გამომდინარე იქედან, რომ ახალი სასწავლო წლისთვის, ბრძანებით დამტკიცებული ჯგუფის მიერ, გეგმავს სკოლის მისიისა და ხედვის რევიზიას, ჩამოაყალიბოს სკოლის ერთიანი მისია და ხედვა, რომელიც საერთო იქნება მთელი სკოლისათვის, სამივე საფეხურის სასკოლო საზოგადოებისათვის.
ინდიკატორი N 1.3.	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;	წარმოდგენილი დოკუმენტებით და სკოლის პრაქტიკით, ნაწილობრივ დასტურდებოდა, რომ სკოლის მისია და ღირებულებები შექმნილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ სასურველია ბრძანებით დამტკიცებულმა ჯგუფმა, რომელიც 2023/2024 სასწავლო წლის დაწყებამდე მუშაობს სკოლის მისიისა და ხედვის რევიზიაზე, სხვადასხვა ინტერვენციებით და აქტივობებით უზრუნველყოს სასკოლო საზოგადოების, მოსწავლეთა თვითმმართველობის ჩართვა სკოლის მისიისა და ხედვა/ღირებულებების შემუშავების პროცესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	**რჩევა**
3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სასურველია სკოლას ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებული სპეციალისტი ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად .
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**რჩევა**
4.2.1.1.	სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;	სასურველია, შექმნას მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი ერთიანი მექანიზმები, რომელიც საერთო იქნება ზოგადად სკოლისათვის.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური	***რჩევა***
2.2.1. 5.	სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.	უცოური ენების საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა, სასურველია პედაგოგებმა მოახდინონ კურიკულუმის მეტად გამრავალფეროვნება არაფორმალური და ინტეგრირებული გაკვეთილებით, რაც მეტად შეუწყობს ხელს ცოდნის ორგანიზებასა და ცოდნის ურთიერთდაკავშირებას.
2.1.2. 1.	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	სასურველია კურიკულუმებში შევიდეს შემდეგი ცვლილებები; კერძოდ - ქვეცნებები ჩამოყალიბებულია შედეგების სახით და საჭიროებს ცნებების სახით ჩამოყალიბებას, ასევე ბოლომდე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

		ჩასაწერია სტანდარტით გათვალისწინებული ყველა თემატური ერთეული.
2.2.2.4.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები საჭიროებს დახვეწას.
2.1.2.2.	კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);	<u>უცხო ენების საგნობრივი ექსპერტის მხრიდან გაიცა შემდეგი რჩევა;</u> მასწავლებლებმა ამ საფეხურის მოსწავლეები ჩართონ არაფორმალურ აქტივობებში და შესთავაზონ პროექტული სწავლება. მიუხედავად კონტიგენტის სიმცირისა, მეტი განვითარების საშუალება მისცენ მოსწავლეებს, რათა ხელი შეუწყონ მათი ფუნქციური უნარების ჩამოყალიბება-განვითარებას.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

სკოლამ გაიზიარა ექსპერტების დასკვნის პროექტში ასახული ფაქტობრივი გარემოებები. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორების მიხედვით გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები, საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსები, გათვალისწინებულია რისკები, გაწერილია აქტივობის დაწყების და დასრულების თარიღი. ექსპერტთა ჯგუფმა იმსჯელა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის რელევანტურობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ გარკვეული ინდიკატორები, რომლებიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც - „არ შეესაბამება“, ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

„მეტწილად შესაბამისი“, ვინაიდან სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს ცვლილებებს შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადების (არაუმეტეს 12 თვე) მიხედვით.

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია
1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები
1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - ცაგერის მუნისიპალიტეტის სოფელ ოყურეშის საჯარო სკოლას მისია და ხედვა გაწერილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმაში. (განხილული სამეურვეო საბჭოს სხდომაზე და შესაბამისი ფორმით დამტკიცებული აქვს პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე) სკოლის მისიაა; *„დანერგოს ინოვაციურ-ეფექტური მეთოდები იმისათვის, რომ ჩამოაყალიბოს კრიტიკულად მოაზროვნე, ჯანსაღი, ტოლერანტი, კონკურენტულ გარემოში თვითდამკვიდრების უნარის მქონე პიროვნებები, რომლებიც ორიენტირებული იქნებიან ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე. სკოლისთვის მნიშვნელოვანია თანასწორობასა და სამართლიანობაზე დამყარებული ჰარმონიული ურთიერთობები.“*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

სასკოლო სასწავლო გეგმაში დეკლარირებული მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. თუმცა სკოლის მიერ დეკლარირებული მისია და ხედვა იყო ზოგადი ხასიათის. დაწესებულებაში ვიზიტის დროს დადგინდა, რომ სკოლა გეგმავს მისიისა და ხედვის რევიზიას. დირექტორის შესაბამისი ბრძანებით შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელსაც დაევალა სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების გადახედვა - რევიზია. ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ აღნიშნულ პროცესში ჩართული იქნება სასკოლო საზოგადოება. **სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლას სამივე საფეხურისთვის გაწერილი აქვს სხვადასხვა მისია/ ხედვა და ღირებულებები. მიმართულება აღებული აქვთ ესგ-დან; თავი II „სწავლა-სწავლების მიზნები და საგანმანათლებლო პრინციპები“. სკოლას მიეცა რჩევა,** გამომდინარე იქედან, რომ სკოლა ახალი სასწავლო წლისთვის ბრძანებით დამტკიცებული ჯგუფის მიერ გეგმავს სკოლის მისიისა და ხედვის რევიზიას, სასურველია ჩამოაყალიბოს სკოლის ერთიანი მისია და ხედვა, რომელიც საერთო იქნება მთელი სკოლისათვის, სამივე საფეხურის სასკოლო საზოგადოებისათვის. აღნიშნულის გათვალისწინებით, **აღნიშნულის გათვალისწინებით, შესაძლებელია ინდიკატორის შესაბამისობა დადასტურდეს სტანდარტთან.**

2. სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმაში ჩაშენებული მისიით დეკლარირებული აქვს, რომ მისი სასკოლო საზოგადოება ორიენტირებულია უსაფრთხო და პოზიტიურ გარემოზე, სადაც თითოეულ მოსწავლეს შესაძლებლობა აქვს, გამოავლინოს და განავითაროს საკუთარი უნარ-ჩვევები. მიიღოს, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ცოდნა. სკოლის მოქმედი მისია კავშირშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან. თუმცა **წარმოდგენილ დოკუმენტში არ არის ჩამოყალიბებული ხედვა, რომლითაც განსაზღვრავს საკუთარ როლს,** როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. ინტერვიუს დროს დაზუსტდა, რომ დაწესებულება სასწავლო პროცესის დაწყებამდე გეგმავს შეიმუშავოს **კონკრეტული ხედვა**. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.**

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვით დაწესებულება აღნიშნულ ხარვეზს გამოასწორებს 30.11.2023 წლამდე. სკოლამ წარმოადგინა შემდეგი სახის მტკიცებულებები; დანართი 1 - სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება N 30/2. 07.09.2023 წელი. დანართი N 2 - მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის პროექტი, სადაც მითითებულია პროექტზე მუშაობის პერიოდი, პასუხისმგებელი პირები, სასკოლო საზოგადოების ჩართულობის მექანიზმები და ა.შ. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი ფასდება როგორც „მეტწილად შესაბამისი“.

3. სკოლამ ვიზიტის დროს აღნიშნა, რომ სკოლის მისია გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის ანგარიში. წარმოდგენილი დოკუმენტებით და სკოლის პრაქტიკით ნაწილობრივ დასტურდებოდა, რომ სკოლის მისია შექმნილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ ბრძანებით დამტკიცებულმა ჯგუფმა, რომელიც 2023/2024 სასწავლო წლის დაწყებამდე მუშაობს სკოლის მისიისა რევიზიასა და ხედვის შემუშავებაზე, სხვადასხვა ინტერვენციებით და აქტივობებით უზრუნველყოს სასკოლო საზოგადოების, მოსწავლეთა თვითმმართველობის ჩართვა სკოლის მისიისა და ხედვა/ღირებულებების შემუშავების პროცესში, რათა გამოიკვეთოს სამეურვეო საბჭოსთან, პედაგოგირ საბჭოსთან, დისციპლინურ კომიტეტთან თანამშრომლობა და გათვალისწინებული იქნეს თითოეული რგოლის ინტერესები. **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ თითოეული რგოლის ურთიერთთანამშრომლობისა და შეთანხმების საფუძველზე მოხდეს სკოლის ხედვისა და ღირებულებების განსაზღვრა. გამომდინარე იქედან, რომ **სკოლას არა აქვს დეკლარირებული კონკრეტული ხედვა, რომლითაც განსაზღვრავს ორგანიზაციის განვითარების საშუალო ან გრძელვადიან მიზნებს,** აღნიშნულის გათვალისწინებით **არ შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვით დაწესებულება აღნიშნულ ხარვეზს გამოასწორებს 30.11.2023 წლამდე. სკოლამ წარმოადგინა შემდეგი სახის მტკიცებულებები; დანართი 1 - სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება N 30/2. 07.09.2023 წელი. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი ფასდება როგორც „მეტწილად შესაბამისი“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

4. სსიპ - ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ იყირეშის საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც დეკლარირებულია სკოლის მისია, გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. დოკუმენტი განხილულია სამეურვეო საბჭოსა და პედაგოგიური საბჭოს მიერ. დირექტორს ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი თანამშრომლობდა სასკოლო საზოგადოებასთან, მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან და მათი მოსაზრება გათვალისწინებულია, რაც ასახულია შეხვედრების მასალებსა და სხდომის ოქმში. **დირექტორის მიერ ბრძანებით შექმნილი ჯგუფი გეგმავს მისიის რევიზიას, ხედვისა და ღირებულების შემუშავებას,** სადაც გაზიარებული იქნება თითოეული რგოლის ინტერესი. სკოლამ წარმოადგინა წინასწარ შედგენილი კითხვარი და კონკრეტული მეთოდოლოგია. აღნიშნულის გათვალისწინებით **არ შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვით დაწესებულება აღნიშნულ ხარვეზს გამოასწორებს 30.11.2023 წლამდე. სკოლამ წარმოადგინა შემდეგი სახის მტკიცებულებები; დანართი 1 - სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება N 30/2. 07.09.2023 წელი. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი ფასდება როგორც „მეტწილად შესაბამისი“.

5. სკოლის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც დეკლარირებულია სკოლის მისია/ღირებულებები, საჯაროდაა ხელმისაწვდომი. აღნიშნული დოკუმენტი განთავსებულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე. სკოლას ამ ეტაპზე არა აქვს ვებ-გვერდი, თუმცა დამრიგებლების მიერ წარმოდგენილი ოქმებით სკოლა ადასტურებს, რომ აღნიშნულ დოკუმენტს იცნობენ სკოლის მშობლები. გამომდინარე იქენდა, რომ სკოლაში შექმნილი სამუშაო ჯგუფი გეგმავს სკოლის მისიის რევიზიას, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებას სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, მოცემულ ეტაპზე **არ შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვით დაწესებულება აღნიშნულ ხარვეზს გამოასწორებს 30.11.2023 წლამდე. სკოლამ წარმოადგინა შემდეგი სახის მტკიცებულებები; დანართი 1 - სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება N 30/2. 07.09.2023 წელი. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი ფასდება როგორც „მეტწილად შესაბამისი“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

6. სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ოყურეშის საჯარო სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N448, 2005 წლის 13 სექტემბერი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №194, 2007 წლის 16 მარტი „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“). აღნიშნულის გათვალისწინებით **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ოყურეშის საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საჯარო სკოლის წესდება.
- სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ოყურეშის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი;
- სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ოყურეშის საჯარო სკოლის პედსაბჭოს სხდომის ოქმი;
- სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ოყურეშის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება N 17

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ-ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ოყურეშის საჯარო სკოლას არა აქვს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს. ვიზიტის დროს **სკოლას მიეცა რეკომენდაცია,** რომ შექმნას და ბრძანებით დაამტკიცოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება სასკოლო საზოგადოების წევრებისაგან დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფი (დირექტორი, მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი), რომლის მიზანიც იქნება სასწავლო პროცესის რეფლექსია. სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესის შედეგების გათვალისწინება. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი არ არის შესაბამისობაში.**
სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვით დაწესებულება აღნიშნულ ხარვეზს გამოასწორებს 30.11.2023 წლამდე. სკოლამ წარმოადგინა შემდეგი სახის მტკიცებულებები; დანართი 1 - სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება N 46/2. 07.09.2023 წელი. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი ფასდება როგორც <u>„მეტწილად შესაბამისი“.</u>

2. სკოლის მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტებში არ იყო წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარების გეგმა. სკოლამ ვერც ვიზიტის პროცესში წარმოადგინა აღნიშნული დოკუმენტი. ვიზიტის დროს დაწესებულებამ განმარტა, რომ მიმდინარეობს დოკუმენტის შემუშავება და უახლოეს მომავალში იგეგმება მისი დამტკიცება. სკოლამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანება,

რომლითაც განისაზღვრა სტრატეგიულ გეგმაზე მომუშავე ჯგუფი. **სკოლას მიეცა რეკომენდაცია,** რომ ჯერ შექმნას და გაწეროს სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, შემდეგ ბრძანებით დაამტკიცოს მიზნობრივი ჯგუფი, რომელიც აღნიშნული მეთოდოლოგიის გათვალისწინებით იმუშავებს სკოლის სტრატეგიული გეგმის შემუშავებაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, **ინდიკატორი არ არის შესაბამისობაში.**

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვით დაწესებულება აღნიშნულ ხარვეზს გამოასწორებს 30.11.2023 წლამდე. სკოლამ წარმოადგინა შემდეგი სახის მტკიცებულებები; დანართი 1 - სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება N 46/2. 07.09.2023 წელი. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი ფასდება როგორც „მეტწილად შესაბამისი“.

3. სკოლამ წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, თუმცა ვინაიდან სკოლას არ წარმოუდგენია სკოლის განვითარების სტრატეგიული განვითარების გეგმა, შესაბამისად, სკოლის მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა არ ეფუძნება სტრატეგული განვითარების გეგმას. წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა არის ზოგადი ხასიათის და არ ასახავს კონკრეტულ ამოცანებს. სკოლის ადმინისტრაციამ ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა მუშავდება წინა წლის შედეგების გათვალისწინებით, რომელიც, თავის მხრივ, ეყრდნობა საგნობრივი კათედრების წლიურ ანგარიშებს. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ სტრატეგიული განვითარების გეგმის შედგენის შემდგომ შეიმუშავოს მასთან რელევანტური, გაზომვადი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც დაეყრდნობა სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, **ინდიკატორი არ არის შესაბამისობაში.**

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვით დაწესებულება აღნიშნულ ხარვეზს გამოასწორებს 30.11.2023 წლამდე. სკოლამ წარმოადგინა შემდეგი სახის მტკიცებულებები; დანართი 1 - სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება N 46/2. 07.09.2023 წელი. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი ფასდება როგორც „მეტწილად შესაბამისი“.

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა მოიცავს მიზნებსა და ამოცანებს, თუმცა მიზნები არის ზოგადი ხასიათის, ამოცანები არ ასახავს კონკრეტულ ნაბიჯებსა და ეტაპებს. არ ჩანს პასუხისმგებელი პირები და არ არის კონკრეტულ

დროში გაწერილი. **სკოლას მიეცა რეკომენდაცია,** რომ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა მიუსადაგოს სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმას, განსაზღვროს სტრატგეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები. აღნიშნულის გათვალისწინებით, **ინდიკატორი არ არის შესაბამისობაში.**

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვით დაწესებულება აღნიშნულ ხარვეზს გამოასწორებს 30.11.2023 წლამდე. სკოლამ წარმოადგინა შემდეგი სახის მტკიცებულებები; დანართი 1 - სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება N 46/2. 07.09.2023 წელი. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი ფასდება როგორც „მეტწილად შესაბამისი“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ოყურეშის საჯარო სკოლის ერთწლიანი სამუშაო გეგმა;
- სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ოყურეშის საჯარო სკოლს დირექტორის ბრძანება N16
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ვიზიტის პერიოდში არ იყო წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექნიზმებს. ვიზიტის პროცესში ინტერვიუს დროს სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ აღნიშნული დოკუმენტი შემუშავების პროცესშია. **სკოლას მიეცა რეკომენდაცია,** შეიმუშავოს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. შესაბამისად, აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი არ არის შესაბამისობაში.**

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვით დაწესებულება აღნიშნულ ხარვეზს გამოასწორებს 30.11.2023 წლამდე. სკოლამ წარმოადგინა შემდეგი სახის მტკიცებულებები; დანართი 1 - სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება N 46/2. 07.09.2023 წელი. დანართი N 2 - სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის პროექტი, სადაც მითითებულია პროექტზე მუშაობის პერიოდი, პასუხისმგებელი პირები, სასკოლო საზოგადოების ჩართულობის მექანიზმები და ა.შ. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი ფასდება როგორც „მეტწილად შესაბამისი“.

2. სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს მკაფიოდ გაწერილი მონიტორინგისა და შეფასების კრიტერიუმები, რითაც შემოწმდება სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების ხარისხი, მაგრამ სკოლაში მიმდინარეობს სასწავლო პროცესის დაკვირვება და ხდება კათედრებზე უკუკავშირი და შეჯამება. მოცემულ ეტაპზე ინდიკატორი ვერ შეფასდება, ვინდაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ოყურეშის საჯარო სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შედეგები გამჭვირვალეა სასკოლო საზოგადოებისათვის. კალენდარული წლის ბოლოს 10 დეკემბრამდე დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ანგარიშს მიმდინარე სასწავლო წლის სასწავლო პროცესისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

4. ვიზიტის დროს ინტერვიუთი დაზუსტდა, რომ სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და რევიზიის შედეგებს სკოლა იყენებს ორგანიზაციის შემდგომი საქმიანობისათვის. სკოლის დირექტორის განმარტებით, მომდევნო სასწავლო წელს სტრატეგიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები დამუშავდება საგნობრივი კათედრების მიერ, აღნიშნულ პროცესში სკოლა აქტიურად გეგმავს მოსწავლეთა თვითმმართველობის ჩართვას, რათა მთავარი გამოწვევები და პრიორიტეტები აისახოს კათედრების სამოქმედო გეგმაში. სკოლის დირექტორის განმარტებით, სკოლის განვითარებაზე მომუშავე ჯგუფი წარმოადგენს პროექტს, სადაც დეტალურად გაიწერება სკოლის სამომავლო ამოცანები, რომლებიც ძირითად გამოწვევებზე იქნება დაყრდნობილი. აღნიშნულის გათვალისწინებით, **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ბრძანება სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიისა და შიდა სასკოლო ჯგუფის შექმნის შესახებ.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას ბრძანებით აქვს დამტკიცებული საშტატო განრიგი, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია მოქმედი სტრუქტურული ერთეულების, დასაქმებულების ფუნქცია-მოვალეობები. დასაქმებული თანამშრომლების საშტატო ერთეულები განსაზღვრულია სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული საშტატო ნუსხით. სკოლაში დასაქმებულია; დირექტორი, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, ექიმი, დარაჯები, დამლაგებლები, ცეცხლ-ფარეში. დასაქმებულ პირებთან შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრულია კონკრეტული ფუნქციები. (გარდა ცეცხლ-ფარეშისა) სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვიმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები, მრჩეველთა საბჭო. სკოლა სტრუქტურული ერთეულების საქმიანობასა და მათ შორის კოორდინაცისთვის ხელმძღვანელობს ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონისა და ,,საჯარო სკოლის წესდების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N 448 ბრძანების მიხედვით და თანაშმრომლებთან დადებული შრომითი ხელშეკრულებით, სადაც გაწერილია მათი უფლება-მოვალეობები. სკოლის ძირითადი თანამდებობების ფუნქცია-მოვალეობები ასევე გაწერილია სკოლის შინაგანაწესში. **სკოლას საშტატო განრიგით დამტკიცებული აქვს ცეცხლ-ფარეშის შტატი. კონკრეტულ პირთან გაფორმებული აქვს შრომითი ხელშეკრულება, თუმცა ცეცხლ-ფარეშის უფლება-მოვალეობები არ არის გაწერილი არც შინაგანაწესში, არც მოქმედ ხელშეკრულებაში, არც პერსონალის მართვის სხვა დოკუმენტის სახით არის წარმოდგენილი**. **სკოლას მიეცა რეკომენდაცია,** მკაფიოდ გაწეროს ცეცხლ-ფარეშის ფუნქცია-მოვალეობები კანონმდებლობით დადგენილ წესის შესაბამისად და დადოს ხელშეკრულება, სადაც კონკრეტულად იქნება გაწერილი ცეცხლ-ფარეშის ფუნქცია-მოვალეობები. აღნიშნულის გათვალისწინებით, **ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.**

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვით დაწესებულებამ გამოასწორა ღნიშნული ხარვეზი. (18.10.2023 წ.) სკოლამ წარმოადგინა შემდეგი სახის მტკიცებულებები; ა) ცეცხლფარეშთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება, (შრომითი ხელშეკრულება N 1, 15.09.2023 წ.) რომელშიც გაწერილია მისი უფლება მოვალეობა; ბ) შეთანხმება; გ) საკვალიფიკაციო მოთხოვნები და კომპეტენცია აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი ფასდება როგორც <u>,,შეესაბამება".</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. თანამშრომლების საქმიანობის აღმწერი ფუნქციები გაწერილია შრომით ხელშეკრულებებში. მხოლოდ ერთ თანამშრომელს - სკოლის ცეცხლ-ფარეშს არ უდასტურდება შესაბამისი ფუნქცია მოვალეობით გაწერილი შრომითი საქმიანობა. აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლას მიეცა რჩევა. ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ სტრუქტურულ ერთეულებსა და თანამშრომლებს შორის როგორც ფუნქციები, ისე პასუხისმგებლობები განაწილებულია მკაფიოდ და მათ შორის დამყარებულია კოლეგიალური, თანამშრომლობითი ურთიერთობა, რაც ხელს უწყობს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის წესდება
- სკოლის შინაგანაწესი
- დამტკიცებული საშტატო განრიგი;
- შრომით ხელშეკრულებები;
- სამეურვეო საბჭოს არჩევის დოკუმენტები,
- მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევის ოქმები;
- დისციპლინური კომიტეტის არჩევის ოქმები;
- სკოლის სამეურვეო საბჭოს სამოქმედო გეგმა;

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ოყურეშის საჯარო სკოლაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. სკოლაში დამტკიცებულია შინაგანაწესი, რომელიც ადგენს შორმითი უფლებების პირობებს, სამუშაო კვირის ხანგრძლივობას, დროს, სამუშაოზე დაგვიანების ან გამოუცხადებლობის შეტყობინების წესს და სხვა რეგულაციებს, რომელიც არეგულირებს პერსონალთან შრომით ურთიერთობებს. თანამშრომლებთან ხელშეკრულებები გაფორმებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით, ვაკანსიის არსებობისას იქმნება კომისია და ვაკანსია ცხადდება საჯაროდ teacherjobs.ge-ზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლას ცალკე დოკუმენტის სახით არა აქვს შემუშავებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა, თუმცა სკოლის შინაგანაწესით, თანამშრომლებთან დადებული ხელშეკრულებებით და სკოლაში ვიზიტისას ჩატარებული ინტერვიუებით იკვეთება, რომ სკოლას შემუშავებული აქვს მასწავლებელთა საჭიროებების დადგენის მექანიზმი, რომლის საფუძველზეც ხორციელდება მხარდამჭერი ღონისძიებები. სკოლა პრაქტიკით ადასტურებს, რომ კოლეგებსა და თანამშრომლებს შორის ურთიერთობა თანამშრომლობითი და კეთილგანწყობილია. სკოლაში საუკეთესო გამოცდილების გაზიარება მიღებული პრაქტიკაა. სკოლაში მოქმედებს დისციპლინური კომიტეტი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში იღებს თავის გადაწყვეტილებებს შესაბამისი ინტერვენციების შესახებ. აღნიშნულის გათვალისწინებით, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

3. სკოლაში პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით; სკოლაში ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარებისა და კანდიდატის შერჩევის მიზნით, სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირის გამოსავლენად ობიექტურობის, გამჭვირვალობის, არადისკრიმინაციულობის, საჯაროობის, კოლეგიურობისა და სამართლიანობის პრინციპების გათვალისწინებით, შემუშავებულია თანამშრომელთა კონკურსის ჩატარების წესი. დაწესებულებამ ვიზიტის დროს წარმოადგინა სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული ბრძანება ,,სკოლაში ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ", რომლითაც ხორციელდება სკოლის მასწავლებელთა/თანამშრომელთა შერჩევა და დასაქმება. ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ დოკუმენტების შესწავლისა და მართვის საინფორმაციო სისტემიდან პორტირებული მონაცემების საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლაში დასაქმებული თანამშრომლების პირად საქმეებში განთავსებულია ნასამართლეობის არ ქონის შესახებ ცნობები. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

4. სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ოყურეშის საჯარო სკოლაში ვიზიტისას ექსპერტები გაეცნენ სკოლის თანამშრომლების პირად საქმეებს. დოკუმენტების შესწავლისა და მართვის საინფორმაციო სისტემიდან პორტირებული მონაცემების საფუძველზე დადგინდა, **რომ სკოლაში დასაქმებულია ექვსი პედაგოგი,** რომელსაც არა აქვს მინიჭებული სტატუსი. (სპორტი, ხელოვნება და მუსიკა) სკოლის ადმინისტრაციასთან ინტერვიუს დროს დაზუსტდა, რომ აღნიშნულ პოზიციებზე გამოცხადებულ კონკურსზე არ გამოცხადდა სტატუსის მქონე პირები. ვერ შეირჩა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრი, იმდენად რამდენადაც სკოლა მდებარეობს მაღალმთიან რეგიონში. პირადი საქმეების და დადებული ხელშეკრულებების შესწავლის შედეგად მტკიცდება, რომ მიმდინარე ხელშეკრულებები დადებულია კანონთან შესაბამისობაში და გაფორმებულია დროებით - ვაკანსიის გამოცხადებამდე. თუმცა დასტურდება, რომ პედაგოგებს აქვთ 9 საათზე მეტი დატვირთვა, ასევე ვიზიტის პროცესში სკოლას არ ჰქონდა გამოცხადებული ვაკანსია შესაბამის პოზიციაზე. **სკოლის მოქმედი ბიბლიოთეკარი სრულად არ აკმაყოფილებს** კანონმდებლობით განსაზღვრულ კრიტერიუმებს. **სკოლას მიეცა რეკომენდაცია,** სწავლის დაწყებამდე გამოაცხადოს ვაკანსია კანონის დაცვით და ვაკანტურ ადგილზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში თავიდან გააფორმოს ვადიანი ხელშეკრულებები სკოლაში დასაქმებულ პირებთან. (2023-2024 სასწავლო წელი) აღნიშნულის გათვლაისიწინებით **არ შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვით დაწესებულება აღნიშნულ ხარვეზს გამოასწორებს 01.15. 2024 მდე. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი ფასდება, როგორც მეტწილად ,,შესაბამისი."

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

5. სკოლაში პერსონალის მართვის ორგანიზაციული კულტურა თანამშრომლობისა და გუნდურობის პრინციპებს ეყრდნობა, რისი დასტურიც არის სკოლაში წარმოებული კათედროს სხდომები, მასწავლებლების მხრიდან ურთიერთდასწრებები, ერთობლივად განხორციელებული სასწავლო/სასკოლო პროექტები, არაფორმალური ღონისძიებები. სკოლაში შრომით რესურსებს მიეკუთვნებიან მასწავლებლები, ადმინისტრაციის წევრები, ტექნიკური პერსონალი, რომელთა შეთანხმებული საქმიანობაც განაპირობებს სკოლის ეფექტიანობას. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

6. სკოლას შინაგანაწესში გაწერილი აქვს თანამშრომელთა წახალისების მექანიზმები; მადლობის გამოცხადება, ფულადი პრემია, ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვება. საგნობრივ ექსპერტებთან ინტერვიუების დროს სკოლის თანამშრომლებმა გააზიარეს ინფორმაცია ერთობლივად დაგეგმილი და განხორციელებული აქტიოვბების, პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ. აღნიშნულის გათვალისწინებით, **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შინაგანაწესი
- სკოლის საშტატო განრიგი;
- სერთიფიკატი
- განხორცილებეული ღონისძიებების ამსახველი მასალები.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას ცალკე დოკუმენტის სახით არ წარმოუდგენია პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები, მაგრამ ვიზიტის დროს ადმინისტრაციასთან ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ სკოლა მუშაობის დაკვირვებისა და მონიტორინგის შედეგად ახდენს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენას. სკოლა პრაქტიკით ადასტურებს, რომ ის ხელს უწყობს პედაგოგებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებულ სხვადასხვა ტრენინგებსა და სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობას, პროექტებში ჩართვას, საგანამანათლებლო პროგრამებსა და ღონისძიებებში მონაწილეობას. აღნიშნულის გათვალისწინებით, **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. სკოლა პრაქტიკით ადასტურებს, რომ პერსონალის განვითარებას ანხორციელებს სამუშაო პროცესზე დაკვირვებისა და ურთიერთდასწრების საფუძველზე. ადმინისტრაციამ ინტერვიუს დროს დააზუსტა, რომ პერსონალის საჭიროებებს განიხილავენ ინდივიდუალურად, პედაგოგებისაგან და სხვა თანამშრომლებისაგან ღებულობენ საჭიროებების შესახებ ინფომრაციას და გეგმავენ შესაბამის რელევანტურ ინტერვენციებს, აქტივობებს, რაც გამოიხატა კონკრეტული ტრენინგ-კურსების შესახებ ინფორმაციის მოძიებით. სკოლის მასწავლებლებმა გაიარეს სხვადასხვა ტრენინგები, სადაც დაეუფლნენ სწავლა-სწავლებისათვის საჭირო უნარ-ჩვევებს, შეიძინეს საჭირო ინფორმაცია. სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტები, რომლითაც დგინდება, რომ ადმინისტრაციის ხელშეწყობით სკოლის ბუღალტერმა გაიარა გადამზადების კურსი. **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ ბიბლიოთეკარმა და ცეცხლ-ფარეშმაც გაიაროს შესაბამისი ტრენინგ-კურსი, რათა დადასტურდეს მათი კომპეტენცია. სკოლამ გამოთქვა მზაობა აღნიშნულთან მიმართებაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

3. სკოლა პრაქტიკით ადასტურებს, რომ ხელს უწყობს პედაგოგთა კარიერულ ზრდასა და პერსონალის განვითარებას. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტაცია, რომლითაც დგინდება, რომ ყველა პედაგოგი ჩართულია მათთვის საინტერესო პროფესიული განვითარების ხელისშემწყობ ტრენინგში. დაწყებითი კლასების პედაგოგები აქტიურად მონაწილეობდნენ USAID-ის საბაზო განათლების ფარგლებში საგნობრივ ტრენინგებში, თანამშრომლობენ ტრენერებთან, სკოლაში გეგმაზომიერად მიმდინარეობს მასწავლებელთა სამუშაო ჯგუფის შეხვედრები, სადაც განიხილება სხვადასხვა საკითხები; საგაკვეთილო დაკვირვების ფორმა და უკუკავშირი, სხვადასხვა საგნებში გამოყენებული სანიმუშო აქტივობები. მიმდინარეობს მსჯელობა კლასის მართვისა და დიფერენცირებული სწავლების შესახებ. აღნიშნულის გათვლაისწინებით, **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

4. სკოლის დირექტორთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ სოფელ ოყურეშის საჯარო სკოლაში არ ხდება კადრების ხშირი ცვლა. ვიზიტის დროსაც დადასტურდა, რომ პედაგოგიური კორპუსი და დასაქმებული პირები თანამშრომლობენ პოზიტიურ და კოლეგიალურ გარემოში. კათედრის წევრები არიან ძალიან კეთილგანწყობილ და კოლეგიალურ ურთიერთობაში. სკოლაში თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციასა და ადაპტაციას უზრუნველყოფს სკოლის დირექტორი, კათედრის თავმჯდომარეები. სკოლაში შეინიშნება, რომ ახალ თანამშრომელს ადაპტაცია არასდროს არ გაუჭირდება, რადგან ვიზიტისას იგრძნობოდა სკოლისა და თემის მიმართ დიდი მიკუთვნებულობის განცდა. აღნიშნულის გათვალისწინებით, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. პედაგოგებთან და ადმინისტრაციის წევრებთან ინტერვიუებით დგინდება, რომ თანამშრომელთა ინიციატივები ყოველთვის წახალისებულია. სკოლის თანამშრომლები ინტერვიუს დროს აღნიშნავენ, რომ დირექცია ყველანაირად ცდილობს მათ მხარდაჭერას. სკოლას აქვს კარგი პრაქტიკა, კონკრეტული პედაგოგისათვის სკოლაში განხორციელებული სხვადასხვა აქტივობისათვის გაცემული აქვს ფულადი ჯილდო. აღნიშნულის გათვალისწინებით, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შინაგანაწესი
- ბუღალტრის სერთიფიკათი;
- USAID-ის ტრენინგებში მონაწილე მასწავლებლების სამუშა ჯგუფის შეხვედრა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ ვერ წარმოადგინა ხარისხის პოლიტიკის უზრუნველყოფის ამსახველი დოკუმენტი. სკოლის დირექტორთან ინტერვიუს შედეგად დაზუსტდა, რომ სკოლაში მიმდინარეობს ხარისხის პოლიტიკის დოკუმენტზე მუშაობა და მისი

შემუშავება მოხდება უახლოს პერიოდში. შესაბამისად, სკოლამ ვიზიტის პერიოდში ვერ წარმოადგინა რაიმე სახის მტკიცებულება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესახებ. **სკოლას მიეცა რეკომენდაცია** სასკოლო საზოგადოების ჩართულობით შექმნას ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც მოიცავს უწყვეტ ციკლს და გულისხმობს პროცესის დაგეგმვას, განხორციელებას, შეფასებას, რეკომენდაციების შემუშავებას, ინტერვენციების დასახვასა და შემდგომი საჭიროების დადგენისათვის მის შედეგებზე დაკვირვებას. სკოლის დირექტორმა გამოხატა მზაობა აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში. **ინდიკატორი არ არის შესაბამისობაში.**

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვით დაწესებულება აღნიშნულ ხარვეზს გამოასწორებს 30.10. 2023 მდე. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი ფასდება, როგორც „მეტწილად შესაბამისი“.

2. სკოლას საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები იდენტიფიცირებული აქვს სკოლის წესდებასა და სკოლის შინაგანაწესში. სკოლის წესდებაში აღწერილია მმართველობითი პროცესები (სკოლის ადმინისტრაციული მართვა, დირექციისა და ადმინისტრაციის ფუნქციები მართვის პროცესში, გაწერილია პასუხისმგებლობები და ანგარიშვალდებულებები). საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები (ეტაპები) იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის შინაგანაწესსა და სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება, მოსწავლის სერვისების განხორციელება, ფინანსური რესურსებს მართვა, ადამიანური რესურსების მართვა, მატერიალური რესურსის მართვა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა) დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტებით. ხელშეკრულებები აწესრიგებს შრომითი ურთიერთობის წარმოშობასა და შრომითი ურთიერთობის პირობებს (სამსახურში გამოუცხადებლობის შეტყობინების წესს, ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობას და მიცემის წესს, შვებულებას ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო და სხვა). საქმისწარმოების პროცედურები ჩანს სკოლის მიერ შემუშავებული საქმისწარმოების წესში. აღნიშნულის გათვალისწინებით, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის შინაგანაწესში დეტალურად არის გაწერილი მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლის მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების პროცედურები - მასწავლებლის და მოსწავლის დისციპლინური გადაცდომისა და პასუხისმგებლობის სახეები, დისციპლინური წარმოების წესი (მოსწავლისთვის და მასწავლებლისათვის), განცხადების და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

საჩივრის განხილვის წესი. სკოლაში მშობლების, მოსწავლეებისა და მასწავლებლებისგან დაკომპლექტებულია დისციპლინური კომიტეტი, რომელსაც აქვს უფლება-მოსილება რეაგირება მოახდინოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით. სკოლაში მოქმედებს საქმისწარმოების ერთიანი წესი. აღნიშნულის გათვალისწინებით, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალისა და მოსწავლეთა/მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის მექანიზმები, რომელიც გაწერილია სკოლის შინაგანაწესში. სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენელთან, სადაც მკაფიოდ არის გაწერილი აღნიშნული რეგულაცია და წესი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შინაგანაწესი
- პერსონალის მართვის პოლიტიკა
- სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ოყურეშის საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი.
- შემოსული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ჟურნალი;

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

1. სკოლას არ წამოუდგენია რაიმე ტიპის დოკუმენტი, რომლითაც რეგულირდება მშობელთა ჩართულობა. თუმცა, ვიზიტის დროს ინტერვიუთი დაზუსტდა, რომ სკოლა მშობლებთან კომუნიკაციას ამყარებს კლასის დამრიგებლების მეშვეობით. კრებების მეშვეობით სკოლა აწვდის ყველა სახის ინფორმაციას მშობლებს. სკოლამ წარმოადგინა მშობლებთან დადებული ხელშეკრულებები, სადაც მშობელი ხელმოწერით ადასტურებს სკოლის შინაგანაწესის გაცნობას. ინტერვიუთი ასევე დაზუსტდა, რომ სწორედ დამრიგებლების მეშვეობით აწვდის სკოლა მშობლებს სასწავლო გეგმის შემადგენელ ნაწილებს; მოსწავლეთა შეფასების წესს, საფეხურის დაძლევის წესსა და პირობებს. პედაგოგებთან ინტერვიუების დროს დაზუსტდა, რომ მასწავლებლები მშობლებს თავიანთი შვილის შედეგების შესახებ ინდივიდუალურად აწვდიან ინფორმაციას სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების მეშვეობით. აქტიურად იყენებენ სოციალურ ქსელს. მათი განმარტებით ხშირია სატელეფონო კომუნიკაცია. სკოლის შენობაში მოწყობილია საინფორმაციო დაფა, სადაც პერიოდულად თავსდება საჭირო ინფორმაცია, გამოცემული ბრძანებები. დირექტორის განმარტებით, სკოლაში მმართველობით პროცესებთან მიმართებით კათედრებზე ხდება ურთიერთთანამშრომლობა, სასკოლო საზოგადოების წევრებისგან უკუკავშირის მიღება, რაც ეფექტურია დამოკიდებულებების, შეფასებებისა და გამოცდილების გასაზიარებლად. აღნიშნულიდან გამომდინარე, **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

2. სკოლის მართვა მიმდინარეობს მართვის კოლეგიალურ ორგანოებში აქტიური ჩართულობით, რომელიც გამოიხატება სამეურვეო საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანოს, პედაგოგიური, მრჩეველთა საბჭოსა და კათედრების ერთობლივი ღონისძიებით. მოსწავლეებს, მშობლებსა და მასწავლებლებს საკუთარი აზრის გამოთქმისა და პოზიციის დაფიქსირების, გადაწყვეტილების პროცესში მონაწილეობის საშუალება ეძლევათ სხვადასხვა მართვის ორგანოებში ჩართულობით, რაც ხელშემწყობი გარემოა სკოლის ცხოვრებაში სასკოლო საზოგადოების ჩართვისთვის. ვიზიტის პროცესში ექსპერტები გაეცნენ სამეურვეო საბჭოს, დისციპლინური კომიტეტის მუშაობის ამსახველ დოკუმენტაციას. აღნიშნულიდან გამომდინარე, **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სამეურვეო საბჭოს ოქმი,
- მშობელთა კრების ოქმი;
- დამრიგებლის პორტფოლიოები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

1. სსიპ - ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ოყურეშის საჯარო სკოლას აქვს ორი შენობა; 1- ლი კორპუსი; სსიპ - ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ოყურეშის საჯარო სკოლის ძირითადი კორპუსი (მიმდინარე წელს ირიცხება 28 მოსწავლე.) მე-2 კორპუსი; სსიპ - ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ოყურეშის შერწყმული ზედა ოყურეშის დაწყებითი საფეხურის საჯარო სკოლა - შენობა. (მიმდინარე წელს ირიცხება 5 მოსწავლე) ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის მიზნით ორივე შენობის ტერიტორია შემოღობილი და მოწესრიგებულია. სკოლას არ ჰყავს მანდატური, თუმცა ორივე შენობაში არსებობს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. ორივე შენობა მოწესრიგებული და გარემონტებულია. სკოლის ძირითად კორპუსში სამივე სართულზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, სამივე სართულზე განთავსებულია სახანძრო უსაფრთხოებისათვის საჭირო ყველა რესურსი, განთავსებულია ცეცხლ-მაქრები. დამონტაჟებულია, როგორც შიდა, ასევე გარე პერიმეტრის კამერები. სკოლის მეორე შერწყმულ შენობაში არ არის განთავსებული საევაკუაციო გეგმები, არ არის განთავსებული სახანძრო უსაფრთხოებისათვის საჭირო შესაბამისი რესურსი. სკოლას არ ჰქონდა დადებითი დასკვნა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთოხების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. **სკოლას არ აქვს შენობის ტექნიკური მდგომარეობის, სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობისა და საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის დოკუმენტები.**

სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა ხორციელდება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანების შესაბამისად. სკოლას არ ყავს მანდატური. პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით სკოლამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლამ წარმოადგინა უსაფრთხოებასა და საზოგოადოებრვი წესრგის დაცვაზე უფლებამოსილი პირის დანიშვნის შესახებ ბრძანებაც.

სკოლაში არ არის უზრუნველყოფილი პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, რადგან სკოლას საშტატო ერთეულით არ ჰყავს დამტკიცებული ექიმის/ექთნის შტატი. <u>სკოლას აქვს სამედიცინო კაბინეტი, თუმცა იგი არ არის აღჭურვილი შესაბამისი ინვენტარით. აღნიშნულ კაბინეტში არ არის საჭირო ადამიანური და ტექნიკური რესურსი პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით.</u> აღნიშნულიდან გამომდინარე, არ შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვით დაწესებულება აღნიშნულ ხარვეზს გამოასწორებს 17.10.2024 წლამდე. სკოლამ წარმოადგინა შემდეგი სახის მტკიცებულებები; 1. კორესპოდენცია - MES 9 23 0001389053, ლევან სამხარაულის სახელმწიფო სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო. 2. კორესპოდენცია MES 7 23 0001401119, სამედიცინო კაბინეტის შესაბამისი ინვენტარით აღჭურვის შესახებ. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი ფასდება, როგორც <u>„მეტწილად შესაბამისი.”</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

2. სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ოყურეშის საჯარო სკოლის ორივე კორპუსში უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა. სკოლამ წარმოადგინა უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირის დანიშვნის შესახებ ბრძანება. საზოგადოებრივ წესრიგს ასევე უზრუნველყოფენ სკოლის დარაჯები, მორიგე პედაგოგები. სკოლის შესასვლელში შენობაში უცხო პირთა გადაადგილებას და შესაბამის რეესტრს აწარმოებს დარაჯი. დაწესებულებაში ფუნქციონირებს სტრუქტურული ერთეული - მრჩეველთა საბჭო, რომლის კომპეტენციებშია სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით სხვადასხვა რეკომენდაციების შემუშავება და სკოლის დირექტორისთვის წარდგენა. თუმცა სკოლის მეორე - შერწყმულ კორპუსში არ არის დამონტაჟებული გარე უსაფრთხოების კამერები. **აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ოყურეშის საჯარო სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური სასკოლო გარემო, მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ფსიქოლოგიური და ემოციური მხარდაჭერა. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

4. სკოლაში დასაქმებული არიან დამლაგებლები, რომლეთა ფუნქციებში გაწერილია დაწესებულების სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფა. ვიზუალური დათვალიერებით სკოლაში დაცულია სისუფთავე, როგორც კლასებში, ისე სველ წერტილებში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

5. სკოლაში მონაცემები მუშავდება სამართლიანად და კანონიერად, მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვით. მონაცემები ინახება კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

6. სკოლაში დაცულია პერსონალური მონაცემები, პერსონალურ დაცვის კანონის შესაბამისად. ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება, რომ სკოლის საქმისმწარმოებელთან არის დაცული სკოლის თანამშრომლების და მოსწავლეების პირადი საქმეები, რომელიც შენახულია და დაცულია გარეშე პირთათვის. სკოლა საქმიანობის პროცესში იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს. სკოლაში გამოყენებულ ყველა კომპიუტერში ლიცენზირებული პროგრამა არის ჩატვირთული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

7. სკოლა პერიოდულად ანხორციელებს ადამიანებისა და პროცესის უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პიერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისათვის. სკოლაში რეგულარულად ტარდება მრჩეველთა საბჭოს სხდომები, სადაც გარკვეული სიხშირით განიხილება უსაფრთხოების საკითხები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის დირექტორის ბრძანება N 41, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ
- დირექტორის ბრძანება N 33, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;
- დირექტორის ბრძანება N 35, პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმის დამტკიცების შესახებ;
- დირექტორის ბრძანება N 34, პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
   ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა სარგებლობს ორი კორპუსითა და შესაბამისი ფართით; **A კორპუსი; სსიპ - ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ოყურეშის საჯარო სკოლის ძირითადი კორპუსი** (მიმდინარე წელს ირიცხება 28 მოსწავლე.) **B კორპუსი; სსიპ - ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ოყურეშის შერწყმული ზედა ოყურეშის დაწყებითი საფეხურის საჯარო სკოლა - შენობა**. (მიმდინარე წელს ირიცხება 5 მოსწავლე.)

დაწესებულებამ წარმოადგინა ძველი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომლის მიხედვით, დაწესებულების მისამართია: **A კორპუსი; ცაგერის რაიონი, სოფელ ქვედა ოყურეშის საჯარო სკოლა.** მიწის დაზუსტებული ფართობია: 7500,00 კვ.მ. სკოლას სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს ქონება სახელმწიფოსგან არსებობის ვადით. სკოლის შენობა სამსართულიანია და ერთი ძირითადი კორპუსისგან შედგება; საერთო ფართით - 1330.17 კვ.მ. I სართული - 474.09 კვ.მ. II სართული - 427.44 კვ.მ. III

სართული - 428.64 კვ.მ. სკოლას აქვს დახურული და ღია სპორტული მოედანი შესაბამისი ინვენტარით. სკოლის ტეროტორიაზე დგას ცალკე შენობა, რომელიც მოწყობილია საქვაბე შესაბამისი ინვენტარით.

სკოლას ბალანსზე აქვს 10 კომპიუტერი (სტაციონარი) 24 ლეპტოპი. აქვს საკუთარი წიგნადი ფონდი. ლაბორატორიები აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარითა და სათანადო რესურსით. A კორპუსს (სოფელ ზედა ოყურეშის საჯარო სკოლა) ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია და აღჭურვილია ახალი სასწავლო რესურსებით. (ათასწლეულის ფონდის-მილენიუმის ფარგლებში). შენობაში ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია ინდივიდუალური მერხებით, სკამებით, დაფებით, კარადებითა და სხვა დამხმარე ავეჯით. სკოლის შესასვლელში მოწყობილია პანდუსი. სამივე სართულზე განთავსებულია სველი წერტილი. პირველ სართულზე სკოლას აქვს ადაპტირებული სველი წერტილი და რესურს-ოთახი. სამედიცინო კაბინეტი. სკოლის ტერიტორია შემოღობილი და დაცულია გარეშე პირების გადაადგილებისაგან.

B კორპუსი - ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა ოყურეშის შერწყმული სკოლა ადმინისტრაციამ გაარემონტა საკუთარი ხარჯებით. ტერიტორია შემოღობილი და დაცულია. საკატასტრო კოდი; 89. 11. 22. 014. მიწის დაზუსტებული ფართობია: 2431. 00 კვ.მ . შენობა-ნაგებობის საერთო ფართია: 1681,14 $მ^2$. სკოლას სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს ქონება სახელმწიფოსგან არსებობის ვადით. სკოლის შენობა ერთსართულიანია. შენობაში ოთხი საკლასო ოთახია, აღჭურვილი შესაბამისი ინვენტარით. შენობას აქვს ოთხი სველი წერტილი, მათ შორის ორი ადაპტირებული.

სკოლის მატერიალური რესურსის გათვალისწინებით ამჟამად აქვს 160 მოსწავლისათვის არსებული მერხი და სკამი. (**ორი ცვლის პირობებში.)** სკოლის საკუთრებაში არსებული ფართი, საკლასო ოთახები, სკოლის ეზო, დერეფანი, ბიბლიოთეკა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, ისტ-ის ოთახი, სკოლის შიდა დარბაზი, სკოლის ეზოში მოწყობილი ღია სპორტული მოედანი - იძლევა საშუალებას, რათა მოსწავლეებმა შეძლონ სასწავლო პროცესში სხვსდასხვა აქტივობებში ჩართვა და სრულფასოვანი დასვენება. სკოლის შენობა სრულადაა აღჭურვილი ინფრასტრუქტურითა და საჭირო რესურსებით. ორივე კორპუსის სკოლის შესასვლელში მოწყობილია პანდუსი. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. სკოლის ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსი თანაბრადაა მისაწვდომი სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლაში არსებული რესურსებით, ბიბლიოთეკით, რესურს-ოთახით, კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიით, დახურული და ღია სპორტული დარბაზით სარგებლობს სასკოლო საზოგადოება მიუკერძოებლად და თანაბრად, სკოლაში მოქმედებს სააქტო დარბაზი, რაც ხელს უწყობს ეფექტური სასწავლო პროცესის წარმართვას. შესაბამისად, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

3. ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ოყურეშის საჯარო სკოლის ორივე კორპუსის ინფრასტრუქტურა გამართულია და ქმნის ინკლუზიურ გარემოს. სასწავლო გარემო ინფრასტრუქტურულად ისეა მოწყობილი, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ეფექტურად. სკოლის ორივე კორპუსს გააჩნია სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის ადვილად მისაწვდომი პანდუსები, რესურს-ოთახი, ადაპტირებული საპირფარეშოები. სსსმ მოსწავლეების მოთხოვნილებებზე მორგებულია ინფრასტრუქტურა. მიუხედავად იმისა, რომ შენობაში არ არის ლიფტი, სკოლაში ადაპტირებული სველი წერტილები, ბიბლიოთეკა, ლაბორატორია, სპორტული დარბაზი პირველ სართულზეა განთავსებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სასწავლო პროცესის ჯანსაღ და უსაფრთხო პირობებში წარმართვას სკოლის ძირითად და შერწყმულ შენობებში. სკოლის გარემო ადაპტირებულია, როგორც სსსმ მოსწავლისათვის, ასევე ტიპური განვითარების მოსწავლეებისათვის. საკონფერენციო ოთახში ბიბლიოთეკაში და სპორტულ დარბაზში განხორციელებული აქტივობები სასკოლო საზოგადოების სოციო-კულტურულ განვითარებას უწყობს ხელს.საჯარო სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას; სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები ერთმანეთთან, სასკოლო საზოგადოებისა და თემის სხვა თანატოლ თუ ზრდასრულ წარმომადგენლებთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

5. სკოლის დახურული და ღია სპორტული დარბაზი, ინტერნეტი და კომპიუტერული ტექნიკა, სკოლის ეზო და სხვა მატერიალური რესურსი/ინფრასტრუქტურა გაზიარებულია ადგილობრივი საზოგადოებისთვის. სკოლის ბიბლიოთეკა საჭიროებს ინფრასტრუქტურულად გამართვას. **სკოლას მიეცა რჩევა, რომ თანამედროვე მოთხოვნებს და კანონით განსაზღვრულ ნორმებს შეუსაბამოს სკოლის ბიბლიოთეკა, რათა მან ხელი შეუწყოს სასკოლო საზოგადოების ცოდნისა და ღირებულებების განვითარებას.** სკოლას აქვს კურიკულუმით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსები; გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები. სხვადასხვა სახის თვალსაჩინოები. (რუკები, პლაკატები, მაგნიტები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

ლაბორატორიის სრული კომპლექტი, მულაჟები, რეაქტივები, მოდელები და სხვ.) სააქტო დარბაზი, ბუნებრივი გარემო. აღნიშნულიდან გამომდინარე, **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (N 1 კორპუსი; 26.09.2008 წელი. N 2 - კორპუსი - 11. 07. 2018 წელი)
- შიდა აზომვითი ნახაზი (11. 07. 2018 წელი)
- ვიზუალური დათვალიერება
- ინვენტარიზაციის აქტი

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სასკოლო-სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგები. სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია უზრუნველყოფილია საჭირო კომპიუტერული ტექნიკით, პრინტერით, სკანერის აპარატით. აღნიშნულის გათვალისწინებით სკოლაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. სასწავლო პროცესში ინფორმაციული ტექნოლოგიები ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესის სრულფასოვან წარმართვას, მოსწავლეებისათვის სასწავლო პროცესის გახალისებას/გამრავალფეროვნებას; მასწავლებლებსა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებს შორის გამარტივებულ კომუნიკაციას. სკოლის კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებულია ლეპტოპები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ნაწილობრივ ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის. დაწესებულება ნაწილობრივ უზრუნველყოფს, რომ კომპიუტერები და შესაბამისი მომსახურება ხელმისაწვდომი იყოს როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე პერსონალისთვის. თუმცა სკოლას არა აქვს **შემუშავებული ციფრული განვითარების გეგმა,** რომლის თანახმადაც გამოყოფს საზიარო სივრცეებს არა მხოლოდ ტექნოლოგიების ლაბორატორიაში, არამედ ბიბლიოთეკაშიც, რითაც გაზრდის ხელმისაწვდომობას ციფრულ ტექნოლოგიებზე. **სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შექმნას შესაბამისი დოკუმენტი და ამავდროულად, ბიბლიოთეკის სამუშაო სივრცეში მოსწავლეებს საშუალება მიეცეთ ტექნოლოგიების სარგებლობის, დაიდგას შესაბამისი ტექნოლოგიური რესურსი,** რის შედეგადაც მოსწავლეებსა და მასწავლებლებს კომპიუტერულ ლაბორატორიაში არსებული სამუშაო სივრცით სარგებლობა შეეძლებათ წინასწარ გაწერილი გრაფიკის მიხედვით. ბიბლიოთეკის სამუშაო სივრცეში მოხდეს ციფრული ტექნოლოგიების დამონტაჟება, განთავსება, რათა მოსწავლეებს საშუალება ჰქონდეთ ციფრული ტექნოლოგიებით სარგებლობის. სკოლას ასევე მიეცა რეკომენდაცია, რომ განსაზღვროს ბიბლიოთეკაში მოწყობილ სამუშაო სივრცეში ციფრულ ტექნოლოგიებზე პასუხისმგებელი პირი. **ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.**

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვით დაწესებულება აღნიშნულ ხარვეზს გამოასწორებს 30.11.23 მდე. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი ფასდება როგორც „მეტწილად შესაბამისი“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კომპიუტერული ლაბორატორია
- ინტერვიუ

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა ბრძანებით დამოწმებული საქმისწარმოების წესი. აღნიშნული ბრძანების თანახმად სკოლაში განისაზღვრება საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირი. აღნიშნული დოკუმენტი ადგენს ერთიან მოთხოვნებს სკოლის მმართველობით საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტბრუნვის, დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზების, დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენებისათვის მოსამზადებლად. საქმისმწარმოებელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, ის უზრუნველყოფს საქმისწარმოების გამართულად მუშაობას; ახორციელებს

სასკოლო დოკუმენტაციის აღრიცხვასა და რეგისტრაციას; უზრუნველყოფს მოსწავლეთა მოძრაობისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებას. სკოლაში მოქმედებს ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი, გასული და შემოსული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალი, შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი. სკოლა იყენებს efloow და Eshool-ის ბაზებს. სკოლაში ინახება მოსწავლეთა და დასაქმებულთა პირადი საქმეები, იწარმოება და ინახება ბუღალტრული დოკუმენტაცია. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ოყურეშის საჯარო სკოლა იყენებს საქმისწარმოების თანამედროვე ტექნოლოგიებს. Eflow სისტემაში გატარებულია ყველა დოკუმენტი. სკოლას აქვს eSchool.emis.ge-ს ერთიანი ბაზის სისტემა, რომლის მხარდაჭერას უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. დაწესებულება სრულყოფილად ასახავს ინფორმაციას განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადებში. სისტემაში შეყვანილია სკოლის ძირითადი ინფორმაცია, სკოლის პერსონალის მონაცემები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაციები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში - eschool.emis.ge. რომლის საშუალებითაც სკოლის მთელ პერსონალზე და მოსწავლეებზე გახსნილია ველი და რომელშიც თავმოყრილია მთელი ინფორმაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა, კანონით დადგენილ ვადებში, ყოველი წლის 10 დეკემბერს eflow.emis.ge. საშუალებით წარუდგენს ანგარიშს საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პრემიერ-მინისტრს და „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“-ს. აღნიშნული დასტურდება eflow - ს სისტემაში გატარებული დოკუმენტაციით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სოფელ ოყურეშის საჯარო სკოლის „საქმისწარმოების წესი“
- ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი
- სკოლის შემოსული და გასული დიკუმენტების სარეგისტრაციო ჟურნალი
- სკოლის დირექტორის ბრძანება N 34, პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას არ აქვს ვებ-გვერდი. სკოლაში ინტერვიუებით დაზუსტდა, რომ სოციალურ ქსელში სხვადსხვა პლატფორმების გამოყენებით შექმნილია ჯგუფები (კლასების, მასწავლებლების, მშობლების), რომლის საშუალებით ჯგუფის წევრებს მიეწოდებათ სხვადასხვა სახის ინფორმაცია. აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ელექტრონულ ჟურნალში. **ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.**

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვით დაწესებულება აღნიშნულ ხარვეზს გამოასწორებს 30.11.23 მდე. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი ფასდება როგორც „მეტწილად შესაბამისი“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

2. სკოლას ამ ეტაპზე არ გააჩნია საკუთარი ვებ-გვერდი. ვიზიტის დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ აქტიურად იყენებენ სოციალურ ქსელს და თიმსის პლატფორმას. პედაგოგთა თქმით, ამ გვერდებზე ხდება სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის განთავსება ფორმალური თუ არაფორმალური განათლების მიმართულებით განხორციელებული თუ განსახორციელებელი აქტივობების, ღონისძიებების თაობაზე. აქ ზიარდება საგანმანათლებლო სტრუქტურებიდან შემოსული ინფორმაცია, ასევე სისტემაში მიმდინარე ცვლილებები, საგანმანათლებლო პროგრამებზე სხვადასხვა შემოთავაზებები. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

3. სკოლაში ვიზიტის დროს პედაგოგები აღნიშნავდნენ, რომ სკოლა საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. **სკოლას არა აქვს შემუშავებული საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი.** სკოლის დირექტორმა ინტერვიუს დროს განაცხადა, რომ მშობლებთან კომუნიკაცია ხდება დამრიგებლის მეშვეობით. სკოლის პრაქტიკით დასტურდება, რომ სკოლაში განსაზღვრულია პარასკევი დღე, როგორც მშობლების დღე. აღნიშნულის გათვალისწინებით, **ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.**
სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვით დაწესებულება აღნიშნულ ხარვეზს გამოასწორებს 30.11.23 მდე. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი ფასდება როგორც „მეტწილად შესაბამისი“.

4. სკოლას ამჟამად არ აქვს აქვს ვებ გვერდი და იყენებს სოციალური ქსელის სხვადასხვა პლატფორმებს. სოციალური ქსელის ფარგლებში სკოლა იყენებს ფეისბუქის (Facebook) გვერდს. რომელიც საჯარო და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. **არ შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**
სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვით დაწესებულება აღნიშნულ ხარვეზს გამოასწორებს 30.11.23 მდე. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი ფასდება როგორც „მეტწილად შესაბამისი“.

5. სკოლას არ გააჩნია ვებ-გვერდი. **არ შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვით დაწესებულება აღნიშნულ ხარვეზს გამოასწორებს 30.11.23 მდე. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი ფასდება როგორც „მეტწილად შესაბამისი“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ინტერვიუ
- დაწესებულების სოციალური გვერდი

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას მონაწილეობითი ბიუჯეტირების პრინციპით შედგენილი აქვს საპროგნოზოდა ფაქტობრივი ბიუჯეტი. სკოლის ფინანსურ რესურსს შეადგენს „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №476 დადგენილებით გათვალისწინებული ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერი და ბანკის სარგებლობის პროცენტი. სკოლას არა აქვს დამატებითი ფინანსური წყარო.
სკოლა ყოველი კალენდარული წლის დასაწყისში ქმნის ფინანსური საქმიანობის სამოქმედო გეგმას - საპროგნოზო ბიუჯეტს. ბიუჯეტს შეიმუშავებს ბუღალტერი დირექტორთან ერთად და დასამტკიცებლად წარუდგენს სამეურვეო საბჭოს. ბიუჯეტირების დაგეგმვის პროცესი დინამიკურია. საჭიროებიდან გამომდინარე, შესაძლებელია, ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა და გადამტკიცება, სკოლის ფინანსური მართვაზე კონტროლს ანხორციელებს სამეურვეო საბჭო. მისი თანხმობით მტკიცდება ბიუჯეტი და სასწავლო წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს ბარდება ფინანსური ანგარიში. სკოლის ბიუჯეტის დაგეგმვა ხდება სხელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული თანხებით (ვაუჩერი, მასწავლებელთა სერთიფიცირების დანამატი, სსსმ მოსწავლეთა დაფინანსება და ა.შ.) **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა. სკოლა ყოველწლიურად ადგენდეს სკუთარი ფინანსურ ანგარიშს. სასწავლო წლის 10 დეკემბრამდე აბარებს ფინანსურ ანგარიშს სამეურვეო საბჭოს. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საჯარო სკოლის ბიუჯეტი;
- შესყიდვის გეგმა
- ხელშეკრულებები შეძენილ თვალსაჩინოებებზე
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N 4
- დირექტორის ბრძანება N 63, სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შესახებ

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა.**

სოფელ ოყურეშის საჯარო სკოლაში კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა ხორციელდება შიდა რეგულაციებით. კერძოდ; სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი შინაგანაწესი, რომელიც დეტალურად განსაზღვრავს მოსწავლეთა უფლება-მოვალეობებს. მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვა ხორციელდება დირეტორის ბრძანებით განსაზღვული რგოლისა და პირის მიერ. სკოლას მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი მკაფიო ხელშეკრულება. ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ კლასის დამრიგებლების პორტფოლიოების ვიზიალური დათვალიერებით დადასტურდა, რომ წარმოდგენილ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია სკოლის შინაგანაწესის გაცნობა, რაც დადასტურებულია მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის ხელმოწერით. უსაფრთხოებასა და წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს დირექტორის მიერ ბრძანებით განსაზღვრული პირები: სკოლის დარაჯი და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლაში საინფორმაციო დაფაზე, თვალსაჩინო ადგილას, გამოკრული არის სკოლის შინაგანაწესი. სკლაში ვიზიტისას ინტერვიუებით დაზუსტდა, რომ მოსწავლეებს/კანონიერ წარმომადგენლებს თავიანთ უფლებებს აცნობს კლასის დამრიგებელი. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, სამეურვეო საბჭო, მოქმედებს რეფერირების პროცედურები, რომელიც ემსახურება მოსწავლეთა უფლებების დაცვას. აღნიშნული რგოლების საქმიანობა მიემართება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების გარანტიების უზრუნველყოფას. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა პერსონალურ მონაცემთა დაცვის მარეგურილებელი წესი და აღნიშნული წესის მონიტორინგის მექანიზმები, რომლის ფარგლებშიც ჩამოყალიბებულია დასაქმებულთა და მოსწავლეთა პერსონალური ინფირმაციის დაცვის ძირითადი პრინციპები.

წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე - სკოლის მიერ შემუშავებული შიდა რეგულაციებით: შინაგანაწესი, მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება, პერსონალურ ინფორმაციათა დაცვის მარეგულირებელი წესი და მონიტორინგის მექანიზმები, სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორს დადებული ხელშეკრულებები მოწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას სრულად უზრუნველყოფს. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

დამრიგებლის ფუნქციებში გაწერილია სკოლის შინაგანაწესის მოსწავლეთათვის და მშობლებისათვის გაცნობის ვალდებულება. ვიზიტის დროს ინტერვიუებით დაზუსტდა, რომ სკოლაში მიზნობრივად ტარდება სხვადასხვა ღონისძიებები მოსწავლეთა უფლებებისა და მოვალეობებთან დაკავშირებით. ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია საინფორმაციო დავაზე. სკოლის დერეფნებში გამოკრულია 112-ის, სახალხო დამცველის და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ცხელი ხაზის ნომრები. აქედან გამომდინარე, მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებული არის სასკოლო საზოგადოებასთან; **აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

სკოლაში ვიზიტისას დადასტურდა, რომ მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება. ხელშეკრულება ძალაშია მოსწავლის სწავლის დასასრულამდე და მასში გაწერილია როგორც მოსწავლის,ისე მშობლის და სკოლის უფლება- მოვალეობები, ხელშეკრულების საგანი, *სასწავლო დრო,* დასვენების დრო, უქმე დღეები, ხელშეკრულების შეწყვეტის წესი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და *დავის გადაწყვეტა,* შინაგანაწესის გაცნობა, დამატებითი პირობები, მხარეთა ხელმოწერები. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლიარი აქვს მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს, ხოლო მეორე ინახება სკოლაში. **აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის წესდება;
- სკოლის დირექტორის ბრძანება N 41, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ;
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებები.
- დირექტორის ბრძანება N 61 , დისციპლინური კომიტეტის არჩევის შესახებ;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი წესი.
- პერსონალურ მონაცემთა მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ

- დირექტორის ბრძანება N 5 ბავშვთა დაცვის (რეფერირების) შესახებ პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილებაზე პირის პირის განსაზღვრის შესახებ;
- ბავშვთა რეფერირების წესი;

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლას განსაზღვრული აქვს და იცავს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამის მექანიზმებს, რომელიც რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის 046 ბრძანებით თანახმად. სკოლა მოსწავლის მობილობას ახორციელებს ელექტრონულად eschool-ის საშუალებით. სკოლის დირექტორის ბრძანებით განისაზღვრება ჩასარიცხ

მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა. მოსწავლის ჩარიცხვა ხდება მოსწავლის მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე, რომელიც რეგისტრირდება სკოლაში და აისახება eschool-ის ელექტრონულ ბაზაში. მოსწავლის საფეხურის დაძლევის საკითხები გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში. აღნიშნულის გათვალისწინებით, **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს

სკოლაში ვიზიტისას მოსწავლეთა პირადი საქმეებისა და მართვის საინფორმაციო სისტემის Eschool შესწავლით დადასტურდა, რომ სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს. გათვალისწინებული პროცედურების დაცვის მიზნით დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი, რომელიც პასუხისმგებელია პროცედურების შეუფერხებლად წარმართვაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლა ამ ეტაპზე არ ანხორციელებს ფასიან მომსახურებას. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ორ უცხო ენას - ინგლისური და რუსული. (სასკოლო სასწავლო გეგმა) სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეები და პირობები სასკოლო სასწავლო გეგმაშია ასახული. სკოლაში ვიზიტისას დადასტურდა, რომ მშობლები ხელმოწერით ადასტურებენ მეორე უცხოენის არჩევის საფუძველს. სკოლას გააჩნია მოსწავლეებისათვის ტრანსპორტირების მომსახურების სერვისი. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.**

სკოლა ინფორმაციას ავრცელებს სოციალური ქსელის საშუალებით, სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებებით. ინტერვიუებით დაზუსტდა, რომ სკოლა განახლებულ ინფორმაციას სისტემატიურად აწვდის მშობელსა და დაინტერესებულ პირს დამრიგებლების მეშვეობით. რეგულარუდა იმართება შეხვედრები სკოლამდელი ასაკის აღსაზრდებელბის მშობლებთან და დაინტერესებულ პირებთან. სკოლა აქტიურად იყენებს საინფორმაციო დაფას, რომელიც ემსახურება სკოლის საქმიანობის გაცნობას. მიწოდებული ინფორმაცია განახლებადი, გამჭვირვალეა და არადისკრიმინაციულია. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სკოლის შინაგანაწესი
- ტრანსპორტირების ტაბელი
- მოსწავლის პირადი საქმე;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას ცაკლე დოკუმენტის სახით არა აქვს შემუშავებული მოსწავლეთა ადაპტაციის წესი. თუმცა სკოლას აქვს მოსწავლეთათვის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმები, აქტიურად ხდება ბაღიდან სკოლაში ტრანზიციის პროცესის ხელშეწყობა. ვიზიტისას ინტერვიუთი დაზუსტდა, რომ სასწავლო წლის დაწყებამდე ხდება მშობლის ინფორმირება საგნის მასწავლებლებისა და დამრიგებლების შესახებ. პირველკლასელთა მიღებისათვის ეწყობა ღია კარის დღეები, ხდება პირველკლასელთათვის სასკოლო გარემოსა და დამრიგებლის გაცნობა. კლასების ხელმძღვანელებს სადამრიგებლო პროგრამებში გაწერილი აქვთ სხვადასხვა აქტივოებები, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციას. **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ შექმნას მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი ერთიანი მექანიზმები, რომელიც საერთო იქნება ზოგადად სკოლისათვის. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

ვიზიტისას ინტერვიუთი დაზუსტდა, რომ სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა სკოლის სასწავლო გარემოსთან ადაპტირებას. პირველი კლასების ხელმძღვანელები ხვდებიან მშობლებს. უზიარებენ სკოლის თავისებურებებს. სკოლაში იმართება სხვადასხვა სახის აქტივობები; სკოლის ეზოს, საკლასო ოთახების გაფორმება მოსწავლეთა ჩართულობით. კლასების დამრიგებლები სწავლის დაწყებამდე ადგენენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. მოსწავლეებს აცნობენ სკოლის სპეციფიკას. სკოლას აქვს შესაბამისად აღჭურვილი რესურს/ოთახი, არსებობს სპეციალური პანდუსი და ადაპტირებული სველი წერტილები. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლა პრაქტიკით ადასტუდებს, რომ მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკამემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. ინტერვიუს დროს სკოლის პედაგოგები აღნიშნავენ, რომ ორიენტირებულნი არიან მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე. ამ მიზნით მოსწავლეებთან ხშირად მიმართავენ ინდივიდუალურ მუშაობას გაკვეთილების დასრულების შემდეგ. ინიტერვიუს დროს მოიყვანეს მაგალითები საკუთარი პრაქტიკიდან; დაწყებითი კლასების პედაგოგები პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ მოსწავლეთა გარკვეულ ჯგუფთან მუშაობენ კითხვის უნარების განვითარებაზე, მათემატიკური გამოსახულებების ამოხსნის უნარებზე, მარტივი ამოცანების შედგენაზე. მოსწავლეებს უტარდებათ კონსულტაციები მხარდაჭერის მიზნით. სკოლაში ხდება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი. მოსწავლეთა და მშობლებისათვის ცნობილია, რომ მოსწავლეთა შეფასება ხდება ორი სახით: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებებით. მშობლებს სხვადასხვა არხებით ინდივიდუალურად აწვდიან ინფორმაციას მოსწავლეთა შედეგების შესახებ, თავაზობენ დამატებით მეცადიდინეობებს და ადგენენ განრიგს ვადებისა და დროის მითითებით. აღნიშნულის გათვალისწინებით, **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

დაწესებულების წარმომადგენლის და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლები კრებებზე მოსწვლის მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს უზიარებენ სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულ რეგულაციებს მოსწავლეების გაცდენების, გამოცდების, შემაჯამებელი დავალებების, შემაჯამებელი დავალების აღდგენის და სხვა წესის შესახებ. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს განცხადების საფუძველზე შეუძლია სემესტრული ნიშნის ამაღლების/კორექტირების მიზნით მიმართოს სკოლას, რომელიც კანონის შესაბამის ვადებში განსაზღვრავს განცხადების დაკმაყოფილების მექანიზმებს, პასუხისმგებელ პირს. შესაბამისი ბრძანების საფუძველზე მოსწავლეს უმაღლდება შეფასება. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;**

სკოლა ფორმალური საგანმანათლებლო პროცესის მიღმა მოსწავლეებს სთავაზობს არაფორმალური განათლების მიღების საშუალებასაც. სკოლამ წარმოადგინა სხვადასხვა სახის საკლასო პროექტები. სკოლის პედაგოგებთან ინტერვიუების შედეგად დგინდება, რომ სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა საკლასო თუ სასკოლო პროექტები. ინტერვიუთი ასევე დაზუსტდა, რომ სკოლამ ჩაატარა კვლევა, გამოკითხა მოსწავლეები და დაადგინა, რომ მოსწავლეებს სურთ დებატ-კლუბის ორგანიზება, სადაც გაწევრიანდებიან მასწავლებლები და მოსწავლეები. სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა მონახაზი, რომლთაც მომავალ სასწავლო წელს გეგმავს კლუბების შექმნას მოსწავლეთა ინტერესების მიხედვით. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.**

სკოლას აქვს მოსწავლეთა უკუკავშირის ეფექტიანი სისტემა, რაც გამოიხატება სხვადასხვა ფორმით მოსწავლის აზრის დაფიქსირების, გამოხატვის პროცედურებში. სადამრიგებლო პროგრამით გათვალისწინებულია მშობელთა, მოსწავლეთა/ დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის ჩატარება, რომლის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს საკუთარ მომსახურებას. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შინაგანაწესი
- სასკოლო გეგმის პროექტი;

4.2.2.სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

წარმოდგენილი ეროვნული სასწავლო გეგმით სკოლა ამ ეტაპისთვის არ სთავაზობს მოსწავლეებს გათვალისწინებულ/გაუთვალისწინებელ დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებას, თუმცა წარმოდგენილ დოკუმენტში სააღმზრდელო პროგრამაში მითითებულია ამ მიმართულებით განსახორციელებელი აქტივობები. ინტერვიუს დროს სკოლის დირექტორი აღნიშნავს, რომ კლასების დამრიგებლებს ამ მიმართულებით კონსულტირებას უწევენ საგნობრივი პედაგოგები, რომლებიც ერთობლივად ატარებენ საუბრებს, მართავენ დისკუსიას პროფესიის მიზნობრივად შერჩევასთან დაკავშირებით. ვიზიტის დროს დამრიგებლების პორტფოლიოების შესწავლით დადასტურდა, რომ სკოლაში იმართება შეხვედრები სხვადასხვა სპეციალობების მქონე ადამიანებთან. სკოლა პრაქტიკით ადასტურებს, რომ სკოლაში იწვევენ კურსდამთავრებულებს, რომლებიც მოსწავლეებს უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას პროფესიების არჩევის შესახებ. სკოლამ ვიზიტისას წარმოადგინა ფოტომასალა, რომლითაც დგინდება, რომ კლასები სხვადასხვა დროს მართვენ მიზნობრივ

ექსკურსიებსა და ვიზიტებს ცაგერის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ორგანიზაციებში. (ვიზიტი მუზეუმში, ვიზიტი ,,მწვანე თეატრში“) აღნიშნულის გათვალისწინებით, **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით

სკოლა საკუთარი შესაძლებლობის ფარგლებში ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი განახლებულ და სანდო ინფორმაციას აწვდის მოსწავლეებს/კანონიერ წარმომადგენლებს კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით, დამამთავრებელი საფეხურის მოსწავლეებს ურიგდებათ საინფორმაციო ხასიათის ბუკლეტები კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ინფორმირების მიზნით. აღნიშნულის გათვალისწინებით, **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს

სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში გაწეული მომსახურების შეფასების შედეგების გათვალისწინებას გეგმავს ახალი სასწავლო წლიდან. სკოლა გამოთქვამს მზაობას, ჩაატაროს მიზნობრივი კვლევა კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ. გეგმავს, გაითვალისწინოს კვლევის შედეგები და მასზე დაყრდნობით განახორციელოს ეფექტური აქტივობები; გასვლითი ვიზიტები ცაგერის მუნიციპალიტეტის სხვადასახვა ორგანიზაციებში, პროფესიულ სასწავლებლებში. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დამრიგებლის საათის თემატიკა.
- ფოტომასალა
- ინტერვიუირება მასწავლებლების, დირექციასთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

4.2.3.სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

წარმოდგენილი სასწავლო გეგმის მიხედვით სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმებს. სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია სპეციალური ოთახი, რომლითაც სარგებლობს სპეციალურის საჭიროების მქონე მოსწავლე, ინდივიდუალურად მუშაობს სპეც. მასწავლებელი, რომელიც ეხმარება მოსწავლეებს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებაში. სკოლაში მუშაობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილი სამშაო ჯგუფი, რომელიც ანხორციელებს შემდეგ აქტივობებს; ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პერიოდული ცვლილება. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელების მონიტორინგი, შემაჯამებელი შეხვედრების ჩატარება ისგ-ს ჯგუფის წევრებთან. მიმდინარე სასწავლო წელს სკოლაში ირიცხება 2 სსსმ მოსწავლე. მოსწავლეებს აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. აღნიშნულის გათვალისწინებით, **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.**

სკოლაში სსსმ მოსწავლეთათვის შენობის პირველ სართულზე გამოყოფილია რესურს/ოთახი, სადაც სათანადო პირობა არის შექმნილი სსსმ მოსწავლეებისათვის შესაბამისი მხარდაჭერის მისაღებად. სსსმ მოსწავლის განვითარებაზე და ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებაში ჩართულია სპეციალური მასწავლებელი, კანონიერი წარმომადგენელი. მოსწავლეებს სოციუმში ადაპტირების პროცესში ეხამრებიან პედაგოგები. პედაგოგებმა მოიყვანეს მაგალითი სკოლის პრაქტიკიდან, როცა სსსმ მოსწავლე შერწყმული სკოლიან გადმოვიდა ძირითად სკოლაში (მე-5 კლასი), კლასის დამრიგებელმა მას გააცნო სკოლის გარემო, საგნის მასწავლებლები, დირექციის წევრები, სკოლის მოსწავლეები, ქცევის წესები, შინაგანაწესი. წარმოდგენილი სასწავლო გეგმით დასტურდება, რომ ინკლუზიური განათლების კონცეფცია არის დოკუმენტის შემადგენელი ნაწილი. წარმოდგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმებიდან დგინდება, რომ გეგმის შემუშავების პროცესში ჩართულნი არიან, როგორც სპეც-მასწავლებელი, ასევე დამრიგებელი, მშობელი და საგნის პედაგოგები. აღნიშნულის გათვალისწინებით, **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დირექტორის ბრძანება N 53, ისგ შემუშავებაზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის შესახებ
- სპეციალური მასწავლებლის სამოქმედო გეგმა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სპეციალური მასწავლებლის ანგარიში.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი,) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი ხასიათის მომსახურების გაწევა (ტრანსპორტირების სერვისი) ხორციელდება სახელმწიფოს მიერ მომსახურეობის მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით.
3. მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (ტრანსპორტირების სერვისი) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე**
.

სსიპ - ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ოყურეშის საჯარო სკოლაში ფუნქციონირებს ტრანსპორტით მომსახურება, რომელიც ხორციელდება სკოლაში არსებული უსაფრთხოების ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს. სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა ტრანსპორტით მომსახურების ტაბელი. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;**

სკოლა მოცემული ეტაპისთვის დამატებით მომსახურეობად სთავაზობს მხოლოდ ტრანსპორტის სახით მომსახურებას. სკოლის ადმინისტრაციასთან ინტერვიუს დროს დაზუსტდა, რომ მომდევნო სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს მათემატიკის, ჭადრაკის, მხატვრული კითხვის - დამატებითი მომსახურების სახით შეთავაზებას, რომელთა მომსახურება იქნება ნებაყოფლობითი. სკოლის დირექტორმა იინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ აღნიშნული დამატებითი მომსახურება ხელს შეუწყობს მოსწავლეთა განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ოყურეშის საჯარო სკოლაში ყველა სახის მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ტრანსპორტირების ტაბელი
- მოსწავლეთა კლუბებში გაწევრიანების სარეგისტრაციო ფორმა

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი - დაწყებთი საფეხურის კურიკულუმი	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას

სსიპ ცაგერის რაიონის სოფელ ოყურეშის საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის. სკოლის თვითშეფასების კითხვარის მიხედვითა, ვიზიტისას ჩატარებული ინტერვიუებითა და წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულნი არიან სასკოლო საზოგადოების წევრები: მასწავლებლები და მოსწავლეები, მშობლები. სკოლამ წარმოადგინა კათედრის სხდომის ოქმები, სამოქმედო გეგმები, საიდანაც ჩანს, რომ კურიკულუმის შემუშავება ხდება წინა წლების გამოცდილების შედეგად. სასკოლო კურიკულუმის კონცეპტუალური ჩარჩოს შექმნის პროცესში აქტიურად მონაწილეობს პედაგოგიური ჯგუფი, რომელიც კურიკულუმის შემუშავების და განვითრების პროცესში ხელმძღვანელობს სასკოლო საზოგადოების მიერ გაკეთებული რეფლექსიის საფუძველზე. კურიკულუმის შეამუშვების პროცესში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები და შესაძლებლობები. ჩანს, რომ სკოლას გააზრებული აქვს მშობელთა ჩართულობის მნიშვნელობა, როგორც მოსწავლეთა სწავლის ხარისხის, ასევე ფსიქო-ემოციური განვითარების კუთხით. სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები ასახულია კურიკულუმში,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

რითაც დადასტურებულად შეიძლება ითქვას, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, პრიორიტეტების, შესაძლებლობებისა და მიზნების გათვალისწინების საშუალებას.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

წარმოდგენილი დოკუმენტებიდან და პედაგოგებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლა იზიარებს სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციებს. ინტერვიუებიდან ზუსტდება, რომ დოკუმენტის შექმნის პროცესში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციის შედეგად მიღებული უკუკავშირი. ინტერვიუებით ასევე დაზუსტდა, რომ სასწავლო წლის ბოლოს ტარდება მშობელთა კრებები, აქტიური კომუნიკაცია მიმდინარეობს მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრებთან - რა მოსწონთ, რისი გაკეთება გაუადვილდათ, რის შეცვლას ისურვებდნენ სწავლა-სწავლების პროცესში. სკოლის განმარტებით, შეგროვებულ ინფორმაციას საგნობრივი მასწავლებლები იყენებენ კურიკულუმის შექმნის პროცესში. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სასწავლო წლის დაწყებამდე სრულყოფენ საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩო-ცხრილებს, სავალდებულო თემებს, სამიზნე ცნებებს, რომლებიც შესაბამისი თემის ფარგლებში მუშავდება, საკითხი/საკითხთა კლასტერები, კომპლექსური დავალების იდეები, მითითებულია აგრეთვე სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის.

შეესაბამება ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა აერთიანებს საგნობრივ კურიკულუმებს. საგნობრივი კურიკულუმები მუშავდება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში შესაბამისი საგნის მასწავლებლების მიერ კოლეგებთან თანამშრომლობით. კურიკულუმებში ასახულია სასკოლო თემის ინტერესები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. აღნიშნული დოკუმენტი არის საჯარო, რომელიც შესათანხმებლად წარედგინება სამეურვეო საბჭოს და მტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე.

პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ კურიკულუმზე მუშაობის პროცესში სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ წევრს აქვს თავისი როლი და პასუხისმგებლობა. კათედრის წევრები აღნიშნავენ, რომ მშობლები მონაწილეობენ სასკოლო გეგმით განსაზღვრულ აქტივობებში.

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლგიის თანახმად ნათლად ჩანს თუ რა სახით ერთვება ამ პროცესში სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი. ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ აღნიშნული კურიკულუმების შექმნის პროცესში ჩართულია კათედრის უკლებლივ ყველა პედაგოგი და თანამშრომლობის შედეგად მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით ხორციელდება კურიკულუმის შექმნა. დაწტებით საფეხურზე განსაკუთრებით აქტიურად ერთვებიან ამ პროცესში მშობლებიც, კერძოთ მასწავლებლებთან აქტიური კომუნიკაციით ერთად განსაზღვრავენ მოსწავლეთა ინტერესებს, რასაც მასწავლებლები ასახავენ კურიკულუმში - არჩევენ შესაბამის კომპლექსურებს, რესურსებს და აქტივობებს.

შეესაბამება ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.**

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში ასახულია, რომ სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება სხვადასხვა საკომუნიკაციო არხები. მტკიცებულებად წარმოდგენილია მშობლის ბარათი, რომლის საშუალებითაც ხდება ინფორმაციის გავრცელება. პედაგოგების განმარტებით დაწყებით საფეხურზე კურიკულუმები გაზიარებული და შეთანხმებულია სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული პირისთვის.

შეესაბამება ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კათედრის სხდომების ოქმები
- საგნობრივი კურიკულუმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

- დაწყებითი კათედრის ოქმი;
- ისგ

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ირკვევა, რომ კურიკულუმები შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სასწავლო წლის დაწყებამდე სრულყოფენ საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩო-ცხრილებს, სავალდებულო თემებს, სამიზნე ცნებებს, რომლებიც შესაბამისი თემის ფარგლებში მუშავდება, საკითხი/საკითხთა კლასტერები, კომპლექსური დავალების იდეები, მითითებულია აგრეთვე სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის. პედაგოგებთან ჩატარებული ინტერვიუებით ზუსტდება, რომ ისინი ითვალისწინებენ მოსწავლეთა უნარებს, შესაძლებლობებს, ცოდნის დონეს და შესაბამის დავალებებს აძლევენ. გამოიკვეთა სურათი, რომელიც

გვაძლევს იმის დასკვნის შესაძლებლობას, რომ სასწავლო პროცესში უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს. ახალ სასწავლო წელს შეხვდებიან სრულიად ახალი გადამუშავებული კომპლექსური დავალებებით. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო იძლევა საშუალებას, განისაზღვროს საფეხურის მზაობა მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის სრულყოფილად დაგეგმვისათვის.

შეესაბამება ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)

გრძელვადიანი მიზნებისა და საგნობრივი ცოდნის კავშირი წარმოჩენილია საგნობრივი კურიკულუმის იმ ნაწილში, სადაც სასწავლო თემები დაკავშირებულია მოსწავლისთვის ნაცნობ სიტუაციებთან, მათ დასამუშავებლად კი შერჩეულია ცხოვრებისეული კონტექსტმაგალითები. გასაუბრებისას მასწავლებლებმა იმსჯელეს, თემის-ბუნების სურათები-შესწავლისას ტექსტის გაგება-გააზრებასთან ერთად, როგორ იმუშავებენ, მაგალითად, ფუნქციურ-კომპონენტურ უნარზე-მოქალაქეობა. შენიშნეს, რომ ლიტერატურის გაკვეთილებზე ყოველთვის აქტიურდება კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება საეტაპო აქტივობებსა თუ საბოლოო დავალებებში. დაწყებითი საფეხურის კათედრას წარმოდგენილი მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმების ნიმუშები, სადაც წარმოდგენილია გრძელვადიან მიზნების ფარგლებში შერჩეული კომპლექსური დავალებები, შევსებული სტანდარტის შედეგების მისაღწევი დეტალების (ცნება, კონტექტს- მაგალითი, კომპლექსური დავალება, რესურსი) მიხედვით. ასევე კათედრის წევრებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ პედაგოგები აქცენტს

აკეთებენ საგნის სწავლების პროცესში მოსწავლისთვის საჭირო უნარების გაუმჯობესებასა და ჩამოყალიბებაზე, რაც გაწერილია კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში.

შეესაბამება ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს.

კურიკულუმში სასწავლო პროცესის დიფერენცირების რეალურ მცდელობაზე მეტყველებს რამდენიმე ფაქტორი: ა) სასწავლო თემების შერჩევისას მოსწავლეთა ინტერესებისა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება; ბ) დავალების პირობის მოდიფიცირების უნარი. კათედრის წევრების განმარტებით, დავალების პირობას შეიმუშავებენ ისე, რომ მოსწავლეებს ჰქონდეთ საშუალება, ერთსა და იმავე საკითხსა თუ ცნებაზე მუშაობისას აირჩიონ პროდუქტის მათთვის სასურველი ფორმა(ესე, პოსტერი, პრეზენტაცია, კომიქსი ან სხვა). კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმის მიხედვით (I-IV კლასები) ახდენენ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებას, რაც გამოიხატება მოწავლეზე მორგებული სასწავლო მასალითა და რესურსებით, მათ შორის სსმ მოსწავლისთვის ადაპტირებული კომპლექსური დავალებებით. რაც ასევე ინტერვიუს პროცესში გამოკვეთილი დეტალების მიხედვით დასტურდება. (V-VI კლასების კურიკულუმები არის შესავსები)

შეესაბამება ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების გრძელვადიან მიზნებთან მიმართების გამოსაკვეთად მასწავლებლები იყენებენ ჰოლისტური შეფასების რუბრიკებს. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ექსპერტებმა გააცნეს ახალ სტანდარტზე დაფუძნებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, მათი შედგენის პრინციპი. მასწავლებელთა უკუკავშირი იძლევა საშუალებას, დაისკვნას,რომ კათედრა შეძლებს, ახალ საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით შეაფასოს მოსწავლეები. დაწყებითი საფეხურის კათედრის მიერ წარმოდგენილია მიმდინარე წლის კურიკულუმის მიხედვით I - V კლასებისთვის განმავითარებელი და განმსაზღვრელი, V და VI კლასებისთვის) შეფასების თითო რუბრიკა. **საჭიროა რომ რუბრიკები უფრო მკაფიო კავშირში იყოს სტანდარტის თემატური ერთეულის ფარგლებში შექმნილ ინდიკატრებთან, რადგან მოსწავლის მიღწევები გაიზომოს სტადარტის შედეგების ფლობის მიხედვით, განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში უნდა ჩაიწეროს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები და მათი შესაბამისი მიღწევის ინდიკატორები თემის მიხედვით**. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრა მუშაობს ასეთი რუბრიკების შექმნასა და არსებულის დახვეწაზე. სკოლას ასევე წარმოდგენილი ჰქონდა ზოგადი სახის სხვადასხვა რუბრიკა, რომელიც საჭიროებს სრულყოფას, რათა რუბრიკები მკაფიო კავშირში იყოს სტანდარტის თემატური ერთეულის ფარგლებში შექმნილ ინდიკატრებთან, რადგან მოსწავლის მიღწევები გაიზომოს სტადარტის შედეგების ფლობის მიხედვით. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ პედაგოგები გეგმავენ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე სხვადასხვა თემატური ერთეულის ფარგლებში კიდევ შექმნან განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. **შეესაბამება ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

სკოლას კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის პროექტში ასახული აქვს, რომ კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს წინარე გამოცდილების ანალიზი, რომლის საფუძველზეც ცვლილებები აისახება ბუნებისმეტყველების კურიკულუმში. სკოლა გეგმავს 2023-2024 სასწავლო წლის ბოლოს ანალიზის საფუძველზე მოახდინოს

კურიკულუმის განვითარება წინარე გამოცდილებების გათვალისწინებით. ინტერვიუების დროს გამოჩნდა, რომ კათედრა ითვალისწინებს წინარე გამოცდილებას. კათედრის სხდომაზე ხდება გამოვლენილი ხარვეზების ანალიზი, გადაჭრის გზების დასახვა, წარმატებული გამოცდილების გაზიარება და წინარე გამოცდილების გათვალისწინებით გადამუშავებული საგნობრივი კურიკულუმების შედგენა, **შეესაბამება სტანდარტს**. ინტერვიუსას ასევე იკვეთება, რომ დაგეგმვის პროცესში დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას. კერძოდ, სამუშაო შეხვედრებზე ისინი ვერბალურად მსჯელობენ მოსწავლეთა და მასწავლებლების რეფლექსიების შესახებ, განიხილავენ კომპლექსური დავალების შედეგებს. ინტერვიუებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ უცხოური ენების კათედრა ახალი სასწ. წლისთვის მეტად მოახდენს შედეგების გაუმჯობესებას წინარე ცოდნის ანალიზის საფუძველზე. მასწავლებელთა თვითრეფლექსიით დასტურდება და ინტერვიუს შედეგადაც ნათელია, რომ კოლეგები აანალიზებენ საკუთარ განხორციელებულ პრაქტიკას, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას და მიღებულ რჩევებს ითვალისწინებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. მათ გამოთქვეს მზაობა , რომ სამომავლოდაც ისე დაგეგმავენ სასწავლო პროცესებს, რომ უზრუნველყონ მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი;
- მოსწავლის შეფასების ფორმა დაწყებით საფეხურზე;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- შეფასების რუბრიკები;
- სსსმ მოსწავლის დოკუმენტაცია;
- მოდიფიცირებული კომპლექსური
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები; (გარდა სპორტისა)
- სასწავლო პროექტები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას

წარმოდგენილი ჩარჩო-კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემების და საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეული კონტექტებთან მიმართებით. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, მოსწავლეს საშუალებას აძლევს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, დაგეგმვისა და განხორციელების გზით. დაგეგმილი სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის

შესაძლებლობას. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გაომიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესის დროს თუ არაფორმალური განათლების განხორციელების პროცესში სკოლის პერსონალი მაქსიმალურად ცდილობს ყველა ბავშვს მისცეს საშუალება, ისაუბროს, ახსნას, გაუზიაროს სხვებს საკუთარი გამოცდილება თუ მოსაზრებები. სკოლა კომპლექსური დავალებების და სასწავლო პროექტების განხორციელებით ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარებას. წარმოდგენილი მასალებითა და ჩატარებული ინტერვიუებით შეიძლება დასკვნის სახით ითქვას, რომ სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, რადგან ორიენტირებულია კომპლექსური დვალებების განხორციელებაზე, რომელიც თავის მხრივ მოიაზრებს შემოქმედებითი პროცესების და მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვასა და განხორციელებას. კურიკულუმი გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებას ახდენს მრავალფეროვან საკითხებზე დაყრდნობით, ხოლო საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები მოსწავლეს შესაძლებლობას აძლევს სხვადასხვა რეალურ გარემოში წარმოიდგინოს საკუთარი თავი, რაც მას სწავლის პროცესის სუბიექტად წარმოაჩენს. შეესაბამება სტანდარტს.

შეესაბამება ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით

წარმოდგენილ კურიკულუმში დაცულია ცოდნის კონსტრუირების პრინციპები იმ თვალსაზრისით, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა შინაგანი მზაობა და ინტერესები. ტექსტებიც შერჩეულია ისე, რომ დაწყებითი კლასის მოსწავლემ შეძლოს წაკითხულის პირად გამოცდილებაში გადატანა. მასწავლებლები გეგმავენ, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმონ კომპლექსური ტიპის დავალებებით, რაც ცოდნის კონსტრუირების ეფექტიანი საშუალებაა. სასაწვლო პროცესი დაფუძნებულია სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპზე, რის მიხედვითაც კათედრა მუშაობს საგნობრივ

კურიკულუმებზე. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის აგების დროს ითვალისწინებენ მოსწავლეების წინარე ცოდნას. ნებისმიერ ახალ მასალას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით მოსწავლეები თავად აგებენ. მეტი სიცხედისთვის კარგი იქნებოდა რომელიმე კომპლექსური დავალების ბარათი და თემატური მატრიცის ნიმმუში ყოფილიყო წარმოდგენილი.

შეესაბამება ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე

მასწავლებლების თქმით, მათ მიერ წახალისებულია მოსწავლის თვითრეგულირებული სწავლა. მასწავლებლები მუშაობენ ისეთი სახის უკუკავშირის ფორმებზე (3-2-1, გასასვლელი ბარათი, სადიაგნოსტიკი ტესტები), რომლებიც ავითარებს მოსწავლეთა მეტაკოგნიტურ უნარებს. კათედრების შეთანხმებით, მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს, მოსწავლეთა ნამუშევრებს, შეფასების რუბრიკებს, სადიაგნოსტიკო ტექსტებს მოუყაროს თავი და მისცეს მოსწავლის პორტფოლიოს სახე. შესწავლილ დოკუმენტაციით და პედაგოგებთან ინტერვიუერებით ასევე დადგინდა, რომ სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში მნიშვნელოვანია არა მარტო ცოდნის შეძენა, არამედ მოსწავლეებში მეტაკოგნიკური უნარების განვითარება. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებულ კითხვებზე პასუხის გაცემისას მოსწავლეები აკეთებენ სწავლის პროცესზე დაკვირვებას და რეფლექსიას, თუ რა გამოუვიდათ კარგად, სად შეექმნათ პრობლემა, როგორ გადაჭრეს ის და ა. შ. ასევე სხვადასხვა შეფასების ზოგად რუბრიკებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე.

შეესაბამება ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

4. **სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული)**

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაწერილია, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს ცოდნის სამი პირობის მიხედვით საკითის გაგება-გააზრებას, ცოდნის სამ კატეგორიაზე სასწავლო პროცესის ორიენტირებულობა ჩანს იმ კომპლექსურ დავალებებშიც, რომლებიც მოცემულია კურიკულუმებში და დავალების ბარათებში. ამას ადასტურებს ინტერვიუ მასწავლებლებთან, რომლებიც ხედავენ რამდენად მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის წარმართვა ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულად, აღწერეს კომპლექსური დავალების და სხვა დავალებების არჩევის პრინციპი, რამდენად მნიშვნელოვანია მოსწავლეებს თემის დასრულების დროს ჰქონდეთ პასუხი კითხვაზე "რატომ ვისწავლე ეს თემა?", "რაში გამომადგება მიღებული ცოდნა". ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ასევე აქცენტი გააკეთეს იმაზე, რომ პირველი-მეექვსე კლასების ჩარჩო კურიკულუმები, განხორციელებული კომპლექსური დავალებები და პროექტები ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირების შესაძლებლობას იძლევა.

შეესაბამება ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

5. **სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.**

ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირების პრინციპი საგნობრივ კურიკულუმში წარმოჩენილია იმ თვალსაზრისით, რომ თემის ფარგლებში შესწავლილ განსხვავებულ საგნობრივ საკითხებს მოსწავლე ერთმანეთთან აკავშირებს და საბოლოოდ ერთ შემოქმედებით პროდუქტში აერთიანებს. კურიკულუმებში წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით, შერჩეული მრავალფეროვანი რესურსებით შეიძლება ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლეები ახდენენ ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას. ეს დასტურდება პედაგოგებთან ინტერვიუდანაც. მათ აღნიშნეს რომ მნიშვნელოვანია მოსწავლეები ხედვდნენ ნასწავლი საკითხების სხვადასხვა კონტექსტში გამოყენების მაგალითებს, როგორ უკავშირდება ახალი მასალა ადრე ნასწავლ საკითხებს. **უცოური ენების საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა, რომ მოახდინონ კურიკულუმის მეტად გამრავალფეროვნება არაფორმალური და ინტეგრირებული გაკვეთილებით, რაც მეტად შეუწყობს ხელს ცოდნის ორგანიზებასა და ცოდნის ურთიერთდაკავშირებას.**

აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

1. **სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით**

დაწყებითი საფეხურის კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები ეფუძნება საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრულია სამიზნე ცნებები, შესასწავლი საკითხი და შუალედური მიზნები, რომლებიც კონკრეტული ცნების მკვიდრი წარმოდგენის გააზრებას ისახავს მიზნად. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, სასურველია, უფრო დეტალურად ჩაიშალოს. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს, რომ

სრულყოფენ კურიკულუმის ჩარჩოს, რათა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს მოსწავლემ შეძლოს სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება. ისინი მოსწავლეებს სთავაზობენ, შექმნან ისეთი პროდუქტი, როგორიცაა: მოთხრობის გაგრძელება, მეგობრის პორტრეტის შექმნა, სხვა პერსონაჟის პოზიციიდან გადმოცემული ამბავი, წერილით საკუთარი ემოციების გამოხატვა. ასე რომ, სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. საგნობრივ კურიკულუმში ველი, სადაც მითითებულია სამიზნე ცნება და ქვეცნება - შევსებულია, ჩაწერილია კომპლექსური დავალებაც. საკითხების შესწავლის პარალელურად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას. თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში სამიზნე ცნების ქვეცნებები დასაზუსტებელია. ასევე მეხუთე მეექვსე კლასების კურიკულუმში საერთოდ არ არის ჩაწერილი კომპლექსური დავალება. გასაუბრებისას კათედრის წევრებმა გამოთქვეს მზაობა,რომ სასწავლო წლის დაწყებადე შეასწორებენ და შეავსებენ ყველა ხარვეზსს, ასევე გამოიკვეთა, რომ კათედრის წევრებს აქვს საგნის სწავლების სწორი ხედვა, რომ მოსწავლეებს გაათავისებინონ სამიზნე ცნება და მისი შესაბამისი მკვიდრი წარმოდგენა.

შეესაბამება ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2. **საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას**

გარდა საგნობრივი კურიკულუმისა, სასკოლო გეგმის ზოგად ნაწილშიც ხაზგასმულია, რომ სკოლისთვის ჯანსაღი სასწავლო გარემოს ნაწილია მოსწავლის პიროვნული და ფსიქოემოციური განვითარება ამ თვალსაზრისით კათედრა ხაზს უსვამს არაფორმალური განათლების მნიშვნელობას. მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ კურიკულუმუმებზე დაყრდნობით ძნელია დადგენა თუ რამდენად ემსახურება საგნობრივი კონტექსტები მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას, თუმცა ინტერვიუს დროს კათედრის წევრებმა ისაუბრეს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარების შესახებ და გამოკვეთეს თუ რამდენ მნიშვნელოვანია რომ სასწავლო პროცესი მოსწავლის ამ კუთხით განვითარებასაც უწყობდეს ხელს.

ისაუბრეს თავიანთ წილ პასუხისმგებლობაზე ამ პროცესში, თუ სწორად და დიფერენცირებულად შევარჩევთ დავალებებს, მოსწავლის შესაძლებლობების და ინტერესების გათვალისწინებით. აღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საგნობრივ კურიკულუმებში კონტექსტები და საკითხები შერჩეულია მოსწავლის პიროვნული და ფსიქო-სოციალური განვითარების მიმართულებით. მაგ. მე და საზოგადოებაში კომპლექსურ დავალებებში წარმოჩენილია ოჯახი, სკოლა, მეგობრები, რაც მოსწავლეში ხელს უწყობს პიროვნულ განვითარებას, ასევე ჩვენი საქართველოს კურიკულუმში იკვეთება საქართველოს კუთხეებისათვის აქტუალური საკითხები. გარდა ამისა, სასკოლო პროექტების აქტივობებში გააზრებული აქვთ მოსწავლეთა გლობალური 6 უნარის განვითარება.

შეესაბამება ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე

წარმოდგენილი მასალებიდან დგინდება, რომ მასწავლებლები იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას; აკვირდებიან, აანალიზებენ მოსწავლის პროგრესს. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია შეფასების ორივე ტიპის აღწერა მიზნების, ამოცანების და კრიტერიუმების მიხედვით. კათედრა ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ რეკომენდაციებს სადიაგნოსტიკო შეფასების დანერგვასთან დაკავშირებით, შერჩეული აქვს შესაბამისი .

სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები (I-IV) და განმსაზღვრელიც (V-VI). **მიუხედავად იმისა, რომ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში სწორად არის ჩამოსაყალიბები შედეგების მიღწევის ინდიკატორები, მაინც ჩანს რამდენად მნიშვნელოვანია მასწავლებლებისთვის შეფასების სისტემამ უზრუნველყოს მოსწავლეთა ჰოლ**ისტურ განვითარება, რაც გულისხმობს, რომ მოსწავლე თავად არის საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი, მასწავლებელი კი ამაში უნდა უწყობდეს ხელს. ამისათვის კათედრა აქტიურად იყენებს კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებულ სწავლებას, რაც

ჩანს კურიკულუმებიდან. ასევე მნიშვნელოვანია მოსწავლეების საკუთარ ცოდნაზე დაფიქრება. ამისათვის მასწავლებლები იყენებენ შეფასების სავადასხვა ინსტრუმენტებს და მათ შორის მოსწავლეთა თვითშეფასებას.

შეესაბამება ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

სასწავლო წლის დასაწყისში შეფასების სისტემის შემუშავებისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმას, რომ დაცული იყოს სამართლიანობის, სანდოობისა და გამჭვირვალეობის პრინციპი. მასწავლებელი ფასილიტაციას უწევს, რომ შერჩეული ინსტრუმენტები შეესაბამებოდეს მიზანს, მოსწავლის საჭიროებებს, სწავლა-სწავლების რესურსებსა და დროს; იყოს სანდო, რაც გულისხმობს მოსწავლეთა თანასწორობას, მკაფიოდ, ბავშვისთვის გასაგებ ენაზე ფორმულირებულ შეფასების კრიტერიუმებს. ინტერვიუების დროს პედაგოგებმა წარმოადგინეს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, **რომელიც საჭიროებს დახვეწას.** გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მუდმივად მუშაობენ შეფასების სისტემის დახვეწაზე კათედრათა შორის თანამშრომლობით, წინა წლების გამოცდილების გაზიარებით. კათედრის წევრები ახალი სასწავლო წლისთვის კვლავ გეგმავენ ყველა თემატური ერთეულისთვის შეფასების რუბრიკების შექმნას. წარმოდგენილი მასალებიდან შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში ტესტებითა და ზოგადი რუბრიკებით გამოყენებული შეფასება არის ვალიდური, ზომავს მისაღწევ შედეგებს და არ სცდება სასწავლო პროგრამას. მასში ასახულია მხოლოდ ის ცოდნა და უნარი, რომლის შეფასებაც არის დაგეგმილი.

შეესაბამება ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

როგორც ინტერვიუდან გაირკვა სკოლა მუშაობს ვერიფიკაციის მექანიზმის შემუშავებაზე,თუმცა მასწავლებლები გასულ სასწავლო წელს იყენებდნენ სასწავლო პროცესში მოსწავლეებზე დაკვირვებას, მათი ნამუშევრების ანალიზის და ამის საფუძველზე მასწავლებლები გასცემდნენ რეკომენდაციებს. **სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ იყო**

წარმოდგენილი მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესი. სკოლამ ვერც ვიზიტის დროს შეძლო აღნიშნული დოკუმენტის წარმოდგენა, რადგან არ ჰქონდა შეფასების ერთიანი სისტემა. ვიზიტის პროცესში სკოლას მიეცა შესაბამისი შესაბამისი რეკომენდაცია. სკოლის დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, პედაგოგებს აქვთ შეფასების ინსტრუმენტების გაანალიზების/ შეცვლის გამოცდილება. პედაგოგებთან ინტერვიუთი დაზუსტდა, რომ სწავლების პროცესში ითვალისწინებენ მიცემული დავალების, შემაჯამებელი წერების/ტესტების, შეფასების რუბრიკების შესაბამისობას მიცემული დავალების მიზნებსა და მისაღწევ შედეგებთან. ინტერვიუთი დაზუსტდა, რომ პედაგოგები ითვალისწინებენ შეფასების ვალიდობას, სანდოობას, ობიექტურობასა და გამჭვირვალობას. სკოლამ მტკიცებულებებად წარმოადგინა კათედრების ოქმები და შეფასების რუბრიკები. მოცემულ ეტაპზე კათედრის წარმომადგენლებმა გულწრფელად აღნიშნეს, რომ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ იმასთან დაკავშირებით, რა სახის უნდა იყოს ვერიფიკაციის დოკუმენტი, თუმცა მათ მიერ წარმოდგენილ შეფასების ინსტრუმენტები და ზეპირი რეფლექსია მეტყველებს იმაზე, რომ კათედრას შეუძლია შემუშავებული კრიტერიუმის ეფექტიანობის შემოწმება. ამასთან, სასკოლო გეგმაში იკითხება, რომ **სამომავლოდ შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას განახორციელებს კათედრა, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია.** ირკვევა, რომ სკოლა ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე გეგმავს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის შემუშავებას. **აღნიშნულის გათვალისწინებით, მოცემულ ეტაპზე არ შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**
სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვით დაწესებულება აღნიშნულ ხარვეზს გამოასწორებს 30.11. 2023 წლამდე. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი ფასდება როგორც „მეტწილად შესაბამისი.“

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვას და არანაკლებ 3 წლის ვადით შენახვას, რაც დადასტურდა გასაუბრების შედეგად, მასწავლებლებს ჰქონდათ ნიმუშის სახით წარმოდგენილი შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები.
შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

- ბრძანება N53 ელექტრონული ჟურნალის მონიტორინგზე
- სკოლის საქმისწარმობის წესი;
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები;
- საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო

სკოლის მიერ შემუშავებული საგნობრივი პროგრამები საშუალებას აძლევს მოსწავლეებს პიროვნული ზრდისთვის, მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე და მხარდამჭერი სასწავლო პროცესის. ამრიგად, სკოლა სასწავლო პროცესში ქმნის მოსწავლისათვის მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს.
შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

სასწავლო პროცესი იგება მოსწავლეზე ორიენტირებულად. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა საჭიროებები, ინტერესები და შესაძლებლობები. პედაგოგები იყენებენ დიფერენცირებულ სწავლების მეთოდებსა და მიდგომებს. თვითშეფასების ანგარიშიდან და ინტერვიუებიდან ჩანს, რომ მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდება სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეთა განვითარებასა და პროგრესზე.

შეესაბამება ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

სკოლის პრაქტიკა ადასტურებს კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარების, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრის და პრობლემების გადაჭრის გზების ძიების, სხვა საგნობრივ კათედრებთან ინტეგრირებულ მუშაობის გამოცდილებას. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის ჩართვას კურიკულუმის შემუშავებაში.

შეესაბამება ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

დაწესებულება გამოირჩევა ძლიერი თანამშრომლობით კავშირებით სასკოლო საზოგადოებას შორის. სკოლაში მოწინავეა გაზიარებულ ღირებებულებსა და ნორმებზე დაფუძნებული პოლიტიკა, ნაცვლად დასჯა/წახალისების მექანიზმისა.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კათედრების პორტფოლიოები.
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

- კათედრის ოქმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მომავალი საწავლო წლისთვის სკოლამ შეარჩია განმსაზღვრელი შეფასების მეორე მოდელი. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, მათ შორის, მასწავლებლის დაკვირვებას, ყოველდღიური სასწავლო პროცესის შეფასების დინამიკას, შემაჯამებელი დავალებების ანალიზს, კათედრის ხელმძღვანელის, დამრიგებლის, დირექციის უკუკავშირს. შეფასების შედეგად უნდა გაირკვეს, რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებმა ასევე აღნიშნეს,

რომ შეფასების პროცესში იყენებენ მრავალფეროვან წყაროებს, როგორებიცაა: მოსწავლის წინარე ცოდნა და გამოცდილება, მოსწავლის ფსიქო-ემოციური მდგომარეობა, რესურსებზე ხელმისაწვდომობა, მშობლების უკუკავშირი, დამრიგებლის უკუკავშირი, კლასში შემსვლელი სხვა საგნების მასწავლებელთა უკუკავშირი და სხვა. მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება და სწორი ხედვა. აღნიშნულიდან გამომდინარე. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ვკითხულობთ "განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება განმავითარებელ შეფასებას რომელიც გულისხმობს: მოსწავლის მიღწევების დიაგნოსტირებას, კომენტარს (დაზუსტება, წახალისება, შენიშვნა), რომელიც უზრუნველყოს მოსწავლის შემდგომ წინსვლას გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით, მოსწავლის თვითშეფასებას, მასწავლებლის ურთიერთ დასწრებას" რაც მეტყველებს, რომ სკოლაში იყენებენ შეფასების მრავალფეროვან წყაროებს. წარმოდგენილ მტკიცებულებებს ამყარებს სხვადსხვა აქტივობების შეფასების რუბრიკები. **შეესაბამება ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

2. პედაგოგებთან ინტერვიუსა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით აღნიშნულ კათედრაზე/სკოლაში მოსწავლეთა მიღწევების შეფასება ხორციელდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების მიხედვით. რომლის დახვეწას კათედრა ახალი სასწავლო წლისთვის სრულად გეგმავს ახალი კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილი თემატური ერთეულების მიხედვით. სკოლას/ კათედრას შერჩეული აქვს სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი, რაც თითეული მოსწავლის მიღწევებისა და საჭიროებების გათვალისწინებით შეფასების საშუალებას იძლევა. **შეესაბამება ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

3. პედაგოგები ადასტურებენ , რომ ახალ სასწ. წელს იწყებენ წინა წლის სასწავლო წლის გამოცდილებით. დაწყებული აქვთ სასწავლო პროცესის შესწავლა და ცდილობენ გამოკვეთონ კურიკულუმის სუსტი და ძლიერი მხარეები. ისინი გეგმავენ, 2023-2024 სასწავლო წელს. მონიტორინგი და შეფასება გახდონ პრობლემების გადაჭრის ერთ-ერთი ეფექტური საშუალება.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კათედრის სხდომის ოქმები;
- საგნობრივი კურიკულუმები
- სამოქმედო გეგმა
- შეფასების რუბრიკები

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლას შედგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია ისიც, თუ როგორ აპირებს სკოლა, განახორციელოს მონიტორინგი და შეფასება. გასაუბრების ეტაპზე გამოიკვეთა, რომ კათედრას აქვს მზაობა, ახალი სასწ. წლისთვის გამოიყენოს მოსწავლეთა შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი, რომელთაც აქვთ ჰოლისტური ხასიათი. ამ მიზნით იკრიბებიან კათედრაზე და ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, რის შემდეგაც გეგმავენ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის პაკეტს. მომავალი სასწავლო წლის ბოლოს მოახდენენ პროცესების რეფლექსიას, აღწერენ მიღწეულ შედეგებს, გადასინჯვისა და რევიზიის შემდეგ შეიმუშავებენ რეკომენდაციებს, რაც მნიშვნელოვნად დახვეწს და განავითარებს სამომავლოდ კურიკულუმს. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტიდან და კათედრის წევრებთან გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ სკოლაში საგნობრივი კათედრები თანამშრომლობენ ერთმანეთან, უცვლიან ერთმანეთს ინფორმაციას დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ. გამოთქვეს მზაობა, რომ მომავალში მოხდება კურიკულუმების გადასინჯვა და რევიზია, კურიკულუმის დანერგვის პროცესში გაკეთებული დასკვნების განზოგადება და პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული აქტივობების დაგეგმვა. ახალი კურიკულუმის შედგენისას გაითვალისწინებენ წინა წლის მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს და შესაბამისად აწარმოებენ ამ პროცესის ამსახველ დოკუმენტაციას. როგორც პედაგოგებმა აღნიშნეს მნიშვნელოვანია, რომ დაგეგმვის პროცესში მიღებული მიგნებები და რეფლექსიის შედეგები გააზრებული და გაზიარებული იყოს სასკოლო საზოგადოების მიერ, გათვალისწინებული იყოს გადაწყვეტილებების მიღებისა და სამომავლო პერსპექტივების შეფასებისას. **შეესაბამება ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

მეთოდები-სკოლის მხრიდან არის მზაობა,მონაცემთა მიზნობრივი შეგროვებისა და ანალიზის პროცესში იზრუნონ შეფასების მაქსიმალურად ამომწურვადი და ვალიდური ინფორმაციის მიღებისთვის. ისინი გეგმავენ ინტერვიუებს, ტესტირებებსა და სხვადასხვა სახის გამოკითხვებს მონაცემების შეგროვების მიზნით. **შეესაბამება ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ცდილობენ შეფასება მოახდინონ მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. ახალ სასწავლო წელს, გეგმავენ მეტად მრავალფეროვანი გახადონ შეფასების რუბრიკები. ამ ეტაპზე, მოსწავლეები ფასდებიან, როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასებებით. **შეესაბამება ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

პედაგოგებთან ჩატარებული ინტერვიუებით ზუსტდება, რომ მოსწავლის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, შეფასებისას მასწავლებელი ხედვის სხვადასხვა პერსპექტივებსა და მოსწავლეზე მოქმედ სხვადასხვა ფაქტორის ითვალისწინებს. შეფასებისას ასევე გათვალისწინებული და გამოყენებულია კონსტრუქტივიზმის პრინციპები და დიფერენცირებული მიდგომის მეთოდები. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- შემაჯამელი დავალებების ანალიზი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

დაწყებითი საფეხურის პედაგოგები ინტერვიუს პროცესში აღნიშნავდნენ, რომ კლასებში რადგან მოსწავლეთა მცირე რაოდენობაა ზოგიერთი კომპლექსური დავალება რთული შესასრულებელია, ამიტომ ახალ კურიკულუმში გაითვალისწინებენ ამას.ისინი ამბობენ,სასკოლო საზოგადოება პასუხისმგებლობით მუშაობს კურიკულუმის განვითარებაზე, თანამშრომლობით და ერთმანეთის უკუკავშირის საფუძველზე დახვეწავენ და მოდიფიცირებას გაუკეთებენ კურიკულუმს საჭიროების შემთხვევაში. **შეესაბამება ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

2022-2023 სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებულ გამოცდილება ასახულია ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში საფეხურისა და კლასის დონეზე. კათედრები უზიარებენ ერთმანეთს მიღებულ გამოცდილებას და ეძებენ არსებული პრობლემების გადაჭრის გზებს. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- შემაჯამელი დავალებების ანალიზი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი - საბაზო საფეხურის კურიკულუმი	☐ შეესაბამება ☐მეტწილად შეეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას

სკოლას აქვს წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია და თვითშფასების კითხვარი. ორივე დიკუმენტიდან ვარკვევთ, რომ კურიკულუმების შექმნის პროცესში ჩართული არიან სასკოლო საზოგადოების წევრები: მასწავლებლები და მოსწავლეები, მშობლები სკოლამ წარმოადგინა კათედრის სხდომის ოქმები, სამოქმედო გეგმები, საიდანაც ჩანს, რომ კურიკულუმის შემუშავება ხდება წინა წლების გამოცდილების შედეგად. სასკოლო კურიკულუმის კონცეპტუალური ჩარჩოს შექმნის პროცესში აქტიურად მონაწილეობს პედაგოგიური ჯგუფი, რომელიც კურიკულუმის შემუშავების და განვითრების პროცესში ხელმძღვანელობს სასკოლო საზოგადოების მიერ გაკეთებული რეფლექსიის საფუძველზე. სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები ასახულია კურიკულუმში, რითაც დადასტურებულად შეიძლება ითქვას, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, პრიორიტეტების, შესაძლებლობებისა და მიზნების გათვალისწინების საშუალებას. **შეესაბამება ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

კურიკულუმის შემუშავება საბაზო საფეხურზე ხდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს; მხარდამჭერი ექსპერტების რეკომენდაციების საფუძველზე ხდება კურიკულუმების შემუშავება, მასწავლებლები იყენებენ როგორც მოწოდებულ სანიმუშო კურიკულუმს, ასევე ცდილობენ თავად შექმნან საკუთარი ორიგინალური, შემოქმედებითი და მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული

კომპლექსური დავალებები. კათედრებზე შეჯერდება ისეთი კომპლექსური დავალებები, რომლებიც ეფექტიანად განხორციელდება სასწავლო პროცესში, სადაც გამოიკვეთება მოსწავლეთა მაღალი მოტივაცია და ჩართულობა, მოხდება გაზიარება და მომდევნო სასწავლო წელს გათვალისწინება. ხოლო ის დავალებები და აქტივობები, სადაც გამოიკვეთება გარკვეული გამოწვევები, მოდიფიცირდება მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისად. საბაზო საფეხურის უცხოური ენების კურიკულუმში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების შეხედულებები, ინტერესები და პრიორიტეტები კურიკულუმის ჩარჩოს შემუშავების დროს. გამოყენებულია როგორც ძირითადი სახელმძღვანელო, ასევე დამატებითი ელექტრონული რესურსები. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

წარმოდგენილი დოკუმენტააციის მიხედვით,კურიკულუმის შემუშავების პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულნი სასკოლო საზოგადოების წევრები. სკოლას, შემუშავებული აქვს კურიკულუმის პირველადი ვერსიები, რომლის დახვეწაზე კათედრის წევრები იმუშავებენ სასკოლო საზოგადოებასთან ერთად. სასკოლო კურიკულუმი, გარდა იმისა, რომ აღწერს მოსწავლის განვითარების გზას, ასევე წარმოაჩენს თანხმობას, თანამშრომლობას, გუნდურობას სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. რაც უფრო ინტენსიურია დაგეგმვის პროცესში სასკოლო თემის ჩართულობა, მით უფრო მაღალია კურიკულუმის ხარისხი. საგნობრივ კურიკულუმს შეიმუშავებს მასწავლებელი და განსახილველად წარადგენს კათედრაზე. კოლეგებთან შეთანხმებით შემუშავდება კურიკულუმის საბოლოო ვერსია, რაც დამტკიცდება სასწავლო წლის დასაწყისში. სასწავლო წლის მანძილზე მან მონაწილეობა უნდა მიიღოს კათედრის წევრებთან ერთად სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზებაში და სამუშაო პროცესში უნდა გაითვალისწინოს რეკომენდაციები, რასაც კათედრა და სკოლის დირექცია შეიმუშავებს. წლის ბოლოს წარადგინოს ანგარიში საგნობრივი კურიკულუმის შესაბამისად განხორციელებული აქტივობების შესახებ. რეფლექსიები, უკუკავშირები, პოზიტიური და უსაფრთხო გარემო, მოსწავლის შედეგების ანალიზები, ინიციატივების მხარდაჭერა, განმავითარებელი შეფასების სისტემა, არაფორმალური და ფორმალური განათლების ინტერვენციები ბუნებრივად უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინტერესების კურიკულუმში ასახვას. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

სკოლას გააზრებული აქვს, რომ კურიკულუმზე მუშაობის პროცესი ციკლურია და მასში ჩართულობა გულისხმობს მთელი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობას, რასაც არეგულირებს სამოქმედო გეგმა, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სასკოლო საზოგადოების და სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები, რაშიც აისახება მიმღებლობითი გარემო. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტისა და პედაგოგებთან ინტერვიუს საფუძველზე გაირკვა, რომ კათედრამ ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ მოწოდებული კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური კურიკულუმის ჩარჩოს გაცნობის საფუძველზე შეიმუშავა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) საგნობრივი კურიკულუმი. სასკოლო საზოგადოებისთვის გაცნობის მიზნით, კურიკულუმი გაზიარებული იქნება და ხელმისწავდომი გახდება სასკოლო საზოგადოებისთვის. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- კათედრის სხდომების ოქმები

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას

საბაზო საფეხურზე სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩო-ცხრილებში, უმეტეს წილად, გაწერილია სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები, რომლებიც შესაბამისი თემის ფარგლებში მუშავდება, კურიკულუმებში, წარმოდგენილია კომპლექსური დავალების იდეები, სადაც მოსწავლე საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით მიიღებს, განიმტკიცებს და მიზნობრივად გამოიყენებს ახალ ცოდნას, უნარებს და ღირებულებებს. საგნობრივი კურიკულუმებით გათვალისწინებულია ყველა სავალდებულო თემის ფარგლებში ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგის და სამიზნე ცნების დამუშავება. მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად ვადგენთ, რომ კურიკულუმების შემუშავება ისე წარმოებს, რომ წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; ასევე აღნიშნეს მასწავლებლებმა, რომ უკვე აქვთ შერჩეული კომპლექსური დავალებები თემის, კლასის, მოსწავლის ასაკის შესაბამისად. ამ კომპლექსურებზე მუშაობა დაეხმარება მასწავლებლებს სწავლების პროცესი ისე წარმართოს, რომ ხელი შეუწყოს მოსწავლის განვითარებას. **თუმცა კურიკულუმებში არის შესატანი ცვლილებები; კერძოდ - ქვეცნებები ჩამოყალიბებულია შედეგების სახით და საჭიროებს ცნებების სახით ჩამოყალიბებას, ასევე ბოლომდე ჩასაწერია სტანდარტით გათვალისწინებული ყველა თემატური ერთეული.** მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს გამოკვეთეს, რომ უკვე თითქმის აქვთ მზად ყველა კურიკულუმი, სადაც გაითვალისწინებენ ყველა მიცემულ რეკომენდაციას. ითვალისწინებენ მოსწავლეთა უნარებს, შესაძლებლობებს, ცოდნის დონეს და შესაბამის დავალებებს აძლევენ. გამოიკვეთა სურათი, რომელიც გვაძლევს იმის დასკვნის შესაძლებლობას, რომ სასწავლო პროცესში უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს. ახალ სასწავლო წელს შეხვდებიან სრულიად ახალი გადამუშავებული კომპლექსური დავალებებით. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო იძლევა საშუალებას, განისაზღვროს საფეხურის მზაობა მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის სრულყოფილად დაგეგმვისათვის. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2 .კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)

საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს და აგებულია სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო თემების მიხედვით, რომლის ფარგლებში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება და შედეგი. კურიკულუმში ასახული თემატური ერთეულები, სამიზნე ცნებები, ძირითადი საკითხები და სასწავლო რესურსები იძლევა გლობალური ფუნქციური უნარების (6 უნარი) და მაკრო ცნებების გააქტიურების საფუძველს, რადგან თავისი ბუნებით ასეთი ტიპის დავალებები მოსწავლეებისგან ითხოვს ყველა ამ უნარის არა მხოლოდ აქტივირებას, არამედ წაახალისებს მათ გაცნობიერებას, გააზრებულობასა და სრულყოფას. საბაზო საფეხურზე მხოლოდ ორი კათედრას წარმოდგენილი ქონდა მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმების ნიმუშები. რადგან მათში არ იყო შერჩეული არც ერთი კომპლექსური დავალება, მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს გაამახვილეს ყურადღება და წარმოაჩინეს, თუ როგორი კომპლექსურები შეარჩიეს და ნიმუშად აღწერეს კომპლექსური დავალების განხორციელების ეტეპები, სადაც წარმოდგენილია გრძელვადიან მიზნების ფარგლებში შერჩეული კომპლექსური დავალებები, შევსებული სტანდარტის შედეგების მისაღწევი დეტალების (ცნება, კონტექტს-მაგალითი, კომპლექსური დავალება, რესურსი) მიხედვით. ასევე კათედრის წევრებმა გამოიკვეთეს, რომ პედაგოგები აქცენტს აკეთებენ საგნის სწავლების პროცესში მოსწავლისთვის საჭირო უნარების გაუმჯობესებასა და ჩამოყალიებებაზე, რაც გაწერილია კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში. **შეესაბამება ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს

სასწავლო თემების შერჩევისას მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებისა და ასაკობრივი თავისებურებებს ჩატარებული ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ კათედრის წევრებს შეუძლიათ განსაზღვრონ სასწავლო მიზნები სსსმ მოსწავლეებისთვის საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით. კათედრის წევრების განმარტებით, დავალების პირობას შეიმუშავებენ ისე, რომ მოსწავლეებს ჰქონდეთ საშუალება, ერთსა და იმავე საკითხსა თუ ცნებაზე მუშაობისას აირჩიონ პროდუქტის მათთვის სასურველი ფორმა(ესე, პოსტერი, პრეზენტაცია, კომიქსი ან სხვა). მასწავლებლებთან გასაუბრებისას

ასევე დგინდება, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. ინტერვიუს დროს მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია და წარიმართება მოსწავლის ინტერესების, ინდივიდუალური შესაძლებლობების და საჭიროებების გათვალისწინებით. წარმოდგენილია ინდვიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც საჭიროებს სრულყოფასა და გრძელვადიან მიზნებზე მიმართულ აქტივობებს, ისინი მორგებული უნდა იყოს მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე და შესაძლებლობებზე, რათა მოსწავლემ შეძლოს გამოავლინოს მისი სასწავლო და პიროვნული პოტენციალი. სასწალო პროცესის წარმართვა დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომები თავისთავად აისახება კომპლექსური დავალებებით სწავლებაში, თუმცა სკოლას აქვს გამოცდილება სსსმ მოსწავლესთან, საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული კომპექსური დავალებების იდეაში გათვალისწინებულია ასაკობრივი ზღვარი, რაც აღნიშნული მიმართულების დაკონკრეტების შესაძლებლობას იძლევა. გარდა იმისა, რომ აქვტ გამოცდილება ისგ გეგმის და კომპლექსური დავალების მოდიფიცირებისა, გასაუბრებისას მასწავლებლებში ჩანდა ხედვა, თუ როგორ წარმართავდნენ სასწავლო პროცესს ინდივიდიალური მიდგომებით მოსწავლეთა მიმართ, გამოიყენებენ შემოქმედებითი პროდუქტის შეთავაზებებს, აქტივობების მრავალფეროვნებას, პრეზენტაციის არჩევითობას და სხვა. როგორც მასწავლებლები აღნიშნავდნენ, დიფერენცირებული მიდგომები უფრო მკაფიოდ აისახება უშუალოდ კომპლექსურ დავალებებში. საგნობრივმა ექსპერტებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩოში ჩანს დავალებების კომპლექსური ბუნება, რომელიც მოსწავლეებს მისცემს შესაძლებლობას გამოხატონ საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება, მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებით, რადგან სკოლას აქვს კომპლექსური ბუნების დავალებებზე მათ შორის სსსმ მოსწავლეებისათვის მოდიფიცირებული დავალებებით მუშაობის გამოცდილება, გარდა ამისა, განსაზღვრული აქვთ შესაბამისი აქტივობები და რესურსები. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეებს აძლევს საშუალებას საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე აარჩიონ მათთვის საინტერესო საკითხი და შეასრულონ დავალება. ყველა საგნის კურიკულუმის ჩარჩოში მოცემულია განსხვავებული თემები და კომპლექსური დავალების იმგვარი იდეები რომელიც ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. მაგ: სასკოლო ფესტივალი, კონფერენცია, პრეზენტაცია. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ საჭიროებიდან გამომდინარე პედაგოგები ახდენენ დავალებების ადაპტირებას კონკრეტული მოსწავლეებისთვის თუკი ამის საჭიროებას დაინახავენ. ასევე, 2023-24 წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში აღნიშნულია, რომ სკოლაში შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის მიმართულების განსაზღვრას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებას და ხელს უწყობს მის განხორციელებას. **შეესაბამება ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

პედაგოგები ინტერვიუს დროს განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებიდან ასახელებენ ზეპირ თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებას. აღნიშნავენ, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ექსპერტებმა გააცნეს ახალ სტანდარტზე დაფუძნებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, მათი შედგენის პრინციპი. ავტორიზაციის მომდევნო ეტაპზე, როცა შეიმუშავებენ დავალებათა პირობებსა და საეტაპო აქტივობების ინსტრუქციებს, იხელმძღვანელებენ სწორედ ამ შაბლონებითა და საგნობრივი სტანდარტებით, რათა შეფასების რუბრიკებში წარმოაჩინონ დავალების მოთხოვნებისა და სამიზნე ცნებების კავშირი. საბაზო საფეხურიზე კათედრის მიერ წარმოდგენილია სამივე კლასში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. ნიმუშის სახით წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მიემართება გრძელვადიანი მიზნებისაკენ. რუბრიკები ორიენტირებულია სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებსა და თემის ფარგლებში მისაღწევ ინდიკატორებზე. კათედრას აქვს გამოცდილება განმავითარებელი შეფასების. ასევე შექმნილი და გამოყენებული აქვთ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა რუბრიკები. გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ აქვთ გააზრებული გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით შეფასების რუბრიკების შექმნა. საგნობრივი ექსპერტების დასკვნებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ შეფასებები ამ საფეხურზე მიემართება გრძელვადიანი მიზნებისა და მეთოდიკურ ორიენტირებზე. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არ აქვს წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სრულყოფილად. ინტერვიუს დროს ვლინდება რომ პედაგოგებს დაწყებული აქვთ მუშაობა ახალი სასწავლო წლისთვის ამ მიმართულებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს აქვთ ეფექტიანი თანამშრომლობის კულტურა, აანალიზებენ მოსწავლეების ნამუშევრებს, გამოყოფენ მიღწევებსა თუ ტიპურ ხარვეზებს და ერთად გეგმავენ სამომავლო აქტივობებს. მასწავლებლებს აქვთ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის გამოცდილება, რაზეც ისაუბრეს ინტერვიუს დროს. კომპლექსური დავალებების შერჩევისას ისინი ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნა და გამოცდილება განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. მოსწავლეთა ინტერესების და მიღწეული შედეგების ანალიზის საფუძველზე კათედრა გეგმავს მომდევნო წლის კურიკულუმს, რომელიც ეფუძნება წინარე ცოდნას და ორიენტირებულია შედეგის გაუმჯობესებაზე. საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი აქვთ შედეგების ანალიზის დოკუმენტი, რაც

მიუთითებს იმაზე რომ ხდება წინარე ცოდნის გამოცდილების გაანალიზება და შემდგომ ამ ანალიზის საფუძველზე წინარე გამოცდილების გათვალისწინება. ასევე,ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ პედაგოგები კათედრის შიგნით ანალიზის შედეგად აღმოჩენილ მიგნებებს ხშირად უზიარებენ ერთმანეთს. **შეესაბამება ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;
- საგნის მასწავლებლის ანგარიში;
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კათედრის სხდომების ოქმები
- საგნობრივი კურიკულუმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას**

საბაზო საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩო-ცხრილებში, უმეტეს წილად, გაწერილია სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები, რომლებიც შესაბამისი თემის ფარგლებში მუშავდება, კურიკულუმებში, წარმოდგენილია კომპლექსური დავალების იდეები, სადაც მოსწავლე საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით მიიღებს, განიმტკიცებს და მიზნობრივად გამოიყენებს ახალ ცოდნას, უნარებს და ღირებულებებს. საგნობრივი კურიკულუმებით გათვალისწინებულია ყველა სავალდებულო თემის ფარგლებში ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგის და სამიზნე ცნების დამუშავება. ითვალისწინებენ მოსწავლეთა უნარებს, შესაძლებლობებს, ცოდნის დონეს და შესაბამის დავალებებს აძლევენ. გამოიკვეთა სურათი, რომელიც გვაძლევს იმის დასკვნის შესაძლებლობას, რომ სასწავლო პროცესში უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს. ახალ სასწავლო წელს შეხვდებიან სრულიად ახალი გადამუშავებული კომპლექსური დავალებებით. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო იძლევა საშუალებას, განისაზღვროს საფეხურის მზაობა მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის სრულყოფილად დაგეგმვისათვის. მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად ასევე ზუსტდება, რომ კურიკულუმების შემუშავება ისე წარმოებს, რომ წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; ასევე აღნიშნეს მასწავლებლებმა, რომ უკვე აქვთ შერჩეული კომპლექსური დავალებები თემის, კლასის, მოსწავლის ასაკის შესაბამისად. ამ კომპლექსურებზე მუშაობა დაეხმარება მასწავლებლებს სწავლების პროცესი ისე წარმართოს, რომ ხელი შეუწყოს მოსწავლის განვითარებას. თუმცა კურიკულუმებში აარის შესატანი ცვლილებები, კერძოთ ქვეცნებები ჩამოყალიბებულია შედეგების სახით და საჭიროებს ცნებების სახით ჩამოყალიბებას, ასევე ბოლომდე ჩასაწერია სტანდარტით გათვალისწინებული ყველა თემატური ერთეული. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს გამოკვეთეს რომ უკვე თითქმის აქვთ

მზად ყველა კურიკულუმი, სადაც გაითვალისწინებენ ყველა მიცემულ რეკომენდაციას. **შეესაბამება ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

2. **ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით**

სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებზე დაყრდნობით, რთულია სრულად გავარკვიოთ, თუ როგორაა ასახული მასში სასკოლო საზოგადოების ინტერესი. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში ასახულია, რომ საბაზო საფეხურზე კურიკულუმი იქმნება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. ჩარჩო დოკუმენტის შესწავლიდან, ასევე ინტერვიუს დროს გამოიკვათა, რომ კათედრას გააზრებული აქვს თემატური დაგეგმის მნიშვნელობა, ჩანს რომ თემების გაწერის დროს გათვალისწინებულია მოსწავლეთა მზაობა და ინტერესები. უნდა ითქვას ისიც, რომ კომპლექსური დავალებები თავისი შინაარსით იძლავა ცოდნის კონსტრუირების საშუალებას. რადგან კრიკულუმის ჩარჩო დოკუმენტებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალების იდეები, შგვიძლია ვთქვათ, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხდება წინარე ცოდნის გათვალისწინებით. მასწავლებლები სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას; პედაგოგები კურიკულუმის თემატური დაგეგმვისას ითვალისწინებენ ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას, დამუშავებას და გააზრებას. ასევე კომპლექსური დავალების პირობის ფორმულირებისას შემოაქვთ მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტი. საგნობრივ ჩარჩოებში მოცემული თემების/საკითხების ჩამონათვალი და მასწავლებლებთან ინტერვიუების საფუძველზე მიღებული ინფორმაცია მაძლევს საშუალებას ვთქვა, რომ ახალი ცოდნის დამუშავება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. საგნობრივ ჩარჩოში მოცემული თემატური საკითხები ლოგიკურადაა დალაგებული. ყოველი მომდევნო საკითხი/თემა ითვალისწინებს/მოითხოვს წინა თემის/საკითხის დამუშავებას. წარმოდგენილ მატრიცებზე დაყრდნობით, შეგვიძლია, ვთქვათ, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. მაგალითად კომპლექსური დავალება, სასკოლო კონფერენციაზე პრეზენტაცია მოიაზრებს ნასწავლი მასალიდან მოსწავლისთვის საინტერესო თემის შერჩევას და მის საფუძველზე ახალი ინფორმაციის მოძიებას. მოსწავლეები ახდენენ თემის ფარგლებში ნასწავლი მასალის მობილიზებას, ადგენენ გეგმას და ტექსტის პირველად ვარიანტს, კრიტერიუმებზე დაყრდნობით აფასებენ პირველად ვარიანტს და სახავენ მისი გაუმჯობესების გზებს. ამდენად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხდება ძველ ცოდნაზე დაყრდნობით და ეტაპობრივად. მსგავსადაა აგებული და დაგეგმილი ყველა სხვა დანარჩენი კლასების მატრიცებიც. **შეესაბამება ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე

სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, სადაც ნათლად ჩანს თუ რა სახით ერთვება ამ პროცესში სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი. ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ აღნიშნული კურიკულუმების შექმნის პროცესში ჩართულია კათედრის უკლებლივ ყველა პედაგოგი და თანამშრომლობის შედეგად მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით ხორციელდება კურიკულუმის შექმნა. სასკოლო კურიკულუმი, გარდა იმისა, რომ აღწერს მოსწავლის განვითარების გზას, ასევე წარმოაჩენს თანხმობას, თანამშრომლობას, გუნდურობას სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. რაც უფრო ინტენსიურია დაგეგმვის პროცესში სასკოლო თემის ჩართულობა, მით უფრო მაღალია კურიკულუმის ხარისხი. საგნობრივ კურიკულუმს შეიმუშავებს მასწავლებელი და განსახილველად წარადგენს კათედრაზე. კოლეგებთან შეთანხმებით შემუშავდება კურიკულუმის საბოლოო ვერსია, რაც დამტკიცდება სასწავლო წლის დასაწყისში. სასწავლო წლის მანძილზე მან მონაწილეობა უნდა მიიღოს კათედრის წევრებთან ერთად სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზებაში და სამუშაო პროცესში უნდა გაითვალისწინოს რეკომენდაციები, რასაც კათედრა და სკოლის დირექცია შეიმუშავებს. წლის ბოლოს წარადგინოს ანგარიში საგნობრივი კურიკულუმის შესაბამისად განხორციელებული აქტივობების შესახებ. რეფლექსიები, უკუკავშირები, პოზიტიური და უსაფრთხო გარემო, მოსწავლის შედეგების ანალიზები, ინიციატივების მხარდაჭერა, განმავითარებელი შეფასების სისტემა, არაფორმალური და ფორმალური განათლების ინტერვენციები ბუნებრივად უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინტერესების კურიკულუმში ასახვას. სკოლას გამოცდილება აქვს კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის, რაც მოიაზრებს სწავლის სწავლას. პედაგოგების მხრიდან არის დიდი მზაობა მოახდინონ მოსწავლეების მეტაკოგნიტური უნარების განვითარება. - საგნობრივ ჩარჩოებში მოცემული თემების/საკითხების ჩამონათვალი და მასწავლებლებთან ინტერვიუების საფუძველზე მიღებული ინფორმაცია ანალიზის საფუძველზე შემიძლია ვთქვა, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება მოსწავლეების მიერ სწავლის სტრატეგიების დაუფლებაზე. ინტერვიუს პროცესში პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში ყოველი აქტივობის შესრულებისას ითხოვენ მოსწავლისგან რეფლექსიას რაც უზრუნველყოფს სტრატეგიების დაუფლებას. მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ კომპლექსური დავალებების შესრულების ეტაპსა და მის ბოლოს მოსწავლეები საკუთარ თავს უსვამენ კითხვებს თუ რა ცოდნა და უნარები დასჭირდებათ ამა თუ იმ დავალების შესასრულებლად, რა სტრატეგიები დასჭირდებათ დავალების წარმატებით შესასრულებლად, რა გააკეთეს სწორად და რისი შეცვლა სჭირდებათ პროცესში, ან რას შეცვლიდნენ თავიდან რომ აკეთებდნენ კონკრეტულ დავალებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. **სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული)**

როგორც ინტერვიუდან გამოიკვეთა პესაგოგები კურიკულუმებს უზიარებენ სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს მასწავლებლებს, მოსწავლეებს, მშობლებს. მასწავლებელები კათედრის სხდომებზე აქტიურად განიხილავენ, უზიარებენ ერთმანეთს შედეგებს. მშობლებს წლის განმავლობაში ჩატარებულ მშობელთა კრებებზე აცნობენ საგნის კურიკულუმს. სკოლას წარმოდგენილი აქვს მოსწავლისთვის მარტივად გასაგებად ფორმულირებული შუალედური მიზნები. ამის მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული დავალებებით მუშაობა მოსწავლეებს შესაძლებლობას მისცემს მოახდინონ ცოდნის სამივე კატეგორიის რეალიზება. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). წარმოდგენილი აქტივობები მოსწავლისგან მოითხოვს არა მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნას, არამედ პროცედურულსაც და პირობისეულსაც. მაგალითად, კომპლექსური დავალების მიხედვით - სასკოლო კონფერენცია, მოსწავლეებმა უნდა შექმნან პრეზენტაცია რომელსაც წარმოადგენენ აუდიტორიის წინაშე. ამისათვის მოსწავლეებს დასჭირდებათ არა მხოლოდ საგან სპორტის ფარგლებში ნასწავლი ფაქტობრივი ინფორმაცია, არამედ დასჭირდებათ გაიხსენო სხვა საგნებში ნასწავლი ინფორმაცია და ასევე ახალი აქამდე უცნობი ინფორმაციის მოძიება. ესთეტიკის კათედრის მიერ საშუალო საფეხურზე წარმოდენილია განხორციელებული პროექტის პრეზენტაცია და პროექტის ზოგადი მონახზი, რაც წარმოაჩენს რომ, პროექტის განხორციელება გულისხმობს შუალედური და საბოლოო მონიტორინგისთვის ჩეკლისტის, · დაკვირვების დღიურის, · ჩანაწერების წარმოებას, რაც პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან. ითვალისწინებს სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებს და მისაღწევ შედეგებს. საგნის პედაგოგებს გააზრებული აქვთ, თუ როგორ უნდა მოხადინონ მოსწავლის მიღწევების აღწერა და მოსწავლეთათვის კონსტრუქტივისტული რეკომენდაციების მიცემა კონკრეტულ საკითხთა კლასტერთან მიმართებით. **დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.**

5. **სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.**

იმ თემებში, სადაც წარმოდგენილია კომპლექსური შინაარსის მქონე დავალებები, დავალების იდეები ისეა წარმოდგენილი, რომ იგი მოითხოვს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. მაგ: „ A healthy lifestyle"„ ჩაატარე გამოკითხვა თქვენს

თანატოლებში ცხოვრების ჯანსაღი წესის შესახებ და შექმენი რესურსი ppt ან პოსტერი), სადაც დიაგრამების სახით პროცენტულად აღწერ გამოკითხვის შედეგებს. წარმოადგინე პრეზენტაცია კლასის წინაშე "; პირობისეულ ცოდნაზე ორიენტირებული კომპლექსური დავალებები დაეხმარება მოსწავლეს ცოდნის გამთლიანებაში და ურთიერთდაკავშირებაში. მასწავლებელთა ინტერვიუს შედეგადაც ნათელია, რომ კოლეგები აანალიზებენ საკუთარ განხორციელებულ პრაქტიკას, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას და მიღებულ რჩევებს ითვალისწინებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. მათ გამოთქვეს მზაობა , რომ სამომავლოდაც ისე დაგეგმავენ სასწავლო პროცესებს, რომ უზრუნველყონ მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. **დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმი;
- სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები, აქტივობები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კათედრის სხდომების ოქმები

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

1. **სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით**

სკოლის მიერ წარმოდგენილ საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში გაწერილი კომპლექსური დავალებების შუალედური მიზანები მიემართება გრძელვადიან ორიენტირებს. საგნობრივ კურიკულუმში, ველი სადაც მითითებულია სამიზნე ცნება და ქვეცნება შევსებულია მხოლოდ იქ, სადაც ჩაწერილია კომპლექსური დავალება. საკითხების შესწავლის პარალელურად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას. თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში სამიზნე ცნების ქვეცნებები დასაზუსტებელია. კომპლექსური დავალების იდეა და კონტექსტ მაგალითები ჩასაწერია; გასაუბრებისას კათედრის წევრებმა გამოთქვეს მზაობა, რომ სასწავლო წლის დაწყებადე შეასწორებენ და სრულყოფენ კურიკულუმის ჩარჩოს. ინტერვიუისას მასწავლებლებმა ისაუბრეს, რომ სამომავლოდ შეავსებენ კურიკულუმის ჩარჩოს სრულყოფილი კომპლექსური დავალებებით. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მუშაობენ საშუალო საფეხურის კურიკულუმების დახვეწაზე. მათ გაცნობიერებული აქვთ, რომ გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული დავალებებითა და აქტივობებით შეძლებენ მოსწავლეები სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ ჭრილში. სკოლას აქვს სამომავლოდ მზაობა. **აღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება ინდიკატორი დაკმაყოფილებულად ჩაითვალოს.**

2. **საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას**

წარმოდგენილ კურიკულუმში სასწავლო თემებისა და საგნობრივი საკითხების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ემოციური და ფსიქოლოგიური მზაობა. მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ კურიკულუმუმებზე დაყრდნობით ძნელია დადგენა თუ რამდენად ემსახურება საგნობრივი კონტექსტები მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას, თუმცა ინტერვიუს დროს კათედრის წევრებმა ისაუბრეს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარების შესახებ და გამოკვეთეს თუ რამდენ მნიშვნელოვანია რომ სასწავლო პროცესი მოსწავლის ამ კუთხით განვითარებასაც უწყობდეს ხელს. ისაუბრეს თავიანთ წილ პასუხისმგებლობაზე ამ პროცესში, თუ სწორად და დიფერენცირებულად შევარჩევთ დავალებებს, მოსწავლის შესაძლებლობების და ინტერესების გათვალისწინებით. დაგეგმილი კომპლექსური დავალებები და სასკოლო პროექტები საშუალებას მისცემს მოსწავლეს, ამოიცნოს საკუთარი ემოციები, ღირებულებები, ძლიერი და სუსტი მხარეები, გააცნობიეროს სხვების პოზიცია და გამოხატოს ემპათია (თანაგრძნობა) სხვების მიმართ, შეძლოს გუნდური მუშაობა, გაუმკლავდეს სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებს. გარდა საგნობრივი კურიკულუმისა, სასკოლო გეგმის ზოგად ნაწილშიც ხაზგასმულია, რომ სკოლისთვის ჯანსაღი სასწავლო გარემოს ნაწილია მოსწავლის პიროვნული და ფსიქოემოციური განვითარება ამ თვალსაზრისით კათედრა ხაზს უსვამს არაფორმალური განათლების მნიშვნელობას. **აღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება ინდიკატორი დაკმაყოფილებულად ჩაითვალოს.**

3. **შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე**

ინტერვიუთი დადასტურდა, რომ საგნობრივი კათედრის წევრები აცონობიერებენ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობას. მასწავლებლები იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას; აკვირდებიან, აანალიზებენ მოსწავლის პროგრესს. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია შეფასების ორივე ტიპის აღწერა მიზნების, ამოცანების და კრიტერიუმების მიხედვით. კათედრა ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ რეკომენდაციებს სადიაგნოსტიკო შეფასების დანერგვასთან დაკავშირებით, შერჩეული აქვს შესაბამისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

ინსტრუმენტი. სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელიც შეფასების რუბრიკები, განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში სწორად არის ჩამოსაალიბები შედეგების მიღწევის ინდიკატორები, კარგად ჩანს რამდენად მნიშვნელოვანია მასწავლებლებისთვის შეფასების სისტემამ უზრუნველყოს მოსწავლეთა ჰოლისტურ განვითარება, რაც გულისხმობს, რომ მოსწავლე თავად არის საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი, მასწავლებელი კი ამაში უნდა უწყობდეს ხელს. ამისათვის კათედრა აქტიურად იყენებს კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებულ სწავლებას, რაც ჩანს კურიკულუმებიდან. ასევე მნიშვნელოვანია მოსწავლეების საკუთარ ცოდნაზე დაფიქრება. ამისათვის მასწავლებლები იყენებენ შეფასების სავადასხვა ინსტრუმენტებს და მათ შორის მოსწავლეთა თვითშეფასებას. **შეესაბამება ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი შეფასების რუბრიკების შექმნის პროცესში. მასწავლებელი ფასილიტაციას უწევს, რომ შერჩეული ინსტრუმენტები შეესაბამებოდეს მიზანს, მოსწავლის საჭიროებებს, სწავლა-სწავლების რესურსებსა და დროს; იყოს სანდო, რაც გულისხმობს მოსწავლეთა თანასწორობას, მკაფიოდ, ბავშვისთვის გასაგებ ენაზე ფორმულირებულ შეფასების კრიტერიუმებს. შეფასების კრიტერიუმები თვალსაჩინოდაა გაკრული საკლასო ოთახებში. საგნობრივი კათედრის წევრებმა წარმოადგინეს განმსაზღვრელი და **განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, რომელიც საჭიროებს დახვეწას.** გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მუდმივად მუშაობენ შეფასების სისტემის დახვეწაზე კათედრათა შორის თანამშრომლობით, წინა წლების გამოცდილების გაზიარებით.. კათედრის წევრები ახალი სასწავლო წლისთვის კვლავ გეგმავს ყველა თემატური ერთეულისთვის შეფასების რუბრიკების შექმნას. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს წარმოადგინეს საბაზო საფეხურის კურიკულუმები და შესაბამისი შეფასების რუბრიკები. შეფასების რუბრიკაში ასახულია თუ რომელ შედეგზე მიემართება შეფასება. სწორად არის შერჩეული შეფასების აღმწერები კრიტერიუმებში. აქედან ჩანს, რომ მოსწავლეებმა იციან

თუ როგორ შეფასდება მათი შრომა. ერთ-ერთი დოკუმენტის თანახმად (ოქმი#12) სკოლა 2023-2024 სასწავლო წლისთვის ირჩევს შეფასების II მოდელს, სასწავლო წლის დასაწყისში იგეგმება და მუშავდება საშუალო საფეხურის რუბრიკები, პროექტული სწავლებისას დაგეგმილ კომპლექსურ დავალებაზე იქნება მორგებული, წარმოდენილ დოკუმენტაციაში თვალსაჩინოა გამოყენებული შუალედური და საბოლოო მონიტორინგისთვის ჩეკლისტის, დაკვირვების დღიურის, ჩანაწერების წარმოების პრაქტიკა, რაც პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან. გასაუბრებიდან ნათელია, რომ მოსწავლეებს აქვთ გააზრებული, რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა, პროდუქტმა თუ ნაშრომმა. მოსწავლეებმა უნდა შეეძლონ დაინახონ, რატომ არის მათი სწავლის შედეგი ღირებული და რა როლს ასრულებს ეს შედეგი მათი სწავლის პროცესში მიზანთან მიმართებით. პედაგოგები გეგმავენ შექმნან დახვეწილი, მკაფიო და არაორაზროვანი შეფასების სქემა შესაფასებელი დავალების თითოეული ელემენტისათვის. უცხო ენების ექსპერტმა თავის ანგარიშში აღნიშნა, რომ შეფასების სისტემას სჭირდება მეტად შესაბამისობაში მოსვლა სტანდართთან. მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებლები ყოველ გაკვეთილზე ზეპირ განმავითარებელ შეფასებას აძლევენ მოსწავლეებს და ასევე განმსაზღვრელი შეფასებით აფასებენ, როგორც საშინაო ასევე საკლასო კომპონენტში. **პედაგოგებს უცხო ენის ექსპერტის მხრიდან მიეცათ რჩევა - მეტად ვალიდური და სანდო რომ იყოს შეფასების სისტემა, სკოლამ სასკოლო საზოგადოების წევრებთან ერთად უნდა შეიმუშაოს შეფასების რუბრიკები.** პედაგოგებთან გასაუბრების დროს დადგინდა, რომ ახალი სასწ. წლისთვის, მათ წინარე ცოდნაზე გამოცდილებით უკვე დაწყებული აქვთ მუშაობა ამ მიმართულებით.

აღნიშნულის გათვალისწინებით შესაძლებელია ინდიკატორი დაკმაყოფილებულად ჩაითვალოს.

5. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ იყო წარმოდგენილი მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესი. სკოლამ ვერც ვიზიტის დროს შეძლო აღნიშნული დოკუმენტის წარმოდგენა, რადგან არ ჰქონდა შეფასების ერთიანი სისტემა. წარმოდგენილი დოკუმენტაციით ვადგენთ, რომ მოცემული **მომენტისთვის სკოლაში არ ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი.** თუმცა ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს, რომ სკოლა მუშაობს, რომ დოკუმენტის სახით ჩამოაყალიბოს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. კათედრაზე აღნიშნეს, რომ მუდმივად აწარმოებენ შემაჯამებელი დავალებების ანალიზს და მომავალი სასწავლო წლიდან გეგმავენ დანერგონ დიაგნოსტიკური წერები, რათა მათი შედეგების მიხედვით საჭიროების შემთხვევაში ცვლილებები შეიტანონ ცვლილებები. სკოლის დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, პედაგოგს აქვთ შეფასების ინსტრუმენტების გაანალიზების/ შეცვლის გამოცდილება. პედაგოგებთან ინტერვიუთი დაზუსტდა, რომ სწავლების პროცესში ითვალისწინებენ მიცემული დავალებების, შემაჯამებელი წერების/ტესტების, შეფასების რუბრიკების შესაბამისობას მიცემული დავალების მიზნებსა და მისაღწევ შედეგებთან. ინტერვიუთი დაზუსტდა, რომ პედაგოგები ითვალისწინებენ შეფასების ვალიდობას, სანდოობას, ობიექტურობასა და გამჭვირვალობას. სკოლამ მტკიცებულებებად წარმოადგინა კათედრების ოქმები და შეფასების რუბრიკები. სკოლის არსებული პრაქტიკა გვაძლევს საშუალებას, რათა დავასკვნათ, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი ვერიფიკაციის წესის ამოქმედება ხელს შეუწყობს შეფასების სისტემის ხარისხის მექანიზმის ფუნქციონირებას. სკოლაში ვიზიტისას პედაგოგებმა და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ აღნიშნული პრაქტიკის გამოყენებით გეგმავენ შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმების შექმნას ერთიანი დოკუმენტის სახით. **მოცემული მომენტისთვის, არ შეესაბამება ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვით დაწესებულება აღნიშნულ ხარვეზს გამოასწორებს 30.11. 2023 წლამდე. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი ფასდება როგორც „მეტწილად შესაბამისი.“

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

სკოლის საქმისწარმოების წესის (მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოების წესი) ითვალისწინებს მოსწავლეების შეფასების ამსახველი შესაბამისი დოკუმენტაციის შენახვას სკოლაში 3 წლის ვადით. კათედრის წევრებთნ გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასების შესახებ ინფორმაციის აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესის

თანახმად როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით. სკოლა კანონმდებლობის ფარგლებში დადგენილი წესით გადმოსცემს ბრძანებებს, აწარმოებენ ელექტრონული ჟურნალს. განსაზღვრულია ჟურნალების მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც პერიოდულად ამოწმებს მასწავლებლების მიერ ჟურნალის წარმოების წესის დაცვას. სკოლაში ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები კანონმდებლობით დადგენილი ვადით.

დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები;
- საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;
- შეფასების რუბრიკები
- ბრძანება ჟურნალის მონიტორინგზე

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სკოლის თვითშეფასების დოკუმენტიდან იკითხება, რომ სკოლა ცდილობს ისეთი გარემოს შექმნას, სადაც ურთიერთობები დაფუძნებულია ნდობასა და ურთიერთპატივისცემაზე, რაც, უპირველეს ყოვლისა, დიდ გავლენას ახდენს სასწავლო გარემოზე. სკოლა ასევე ცდილობს უზრუნველყოს პოზიტიური კლიმატი, როგორც საკლასო ოთახში, ისე სკოლის დონეზე. მასწავლებელები გამოხატავენ ადეკვატურ პატივისცემას მოსწავლეების მიმართ, მასწავლებლები უსმენენ მოსწავლეებს და აწვდიან დროულ უკუკავშირს. კლასებში ტარდება სადამრიგებლო სააათი, სადაც აქცენტი კეთედება ბავშვთა უფლებებსა და მოვალეობებზე სკოლაში და მის გარეთ. გენდერზე, გარემოს დაცვაზე. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია სკოლის ხედვა: „სკოლაში ისეთი გარემოს შექმნა, სადაც ყველა მოსწავლე შეძლებს ცოდნის შეძენას.“ საშუალო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთან ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ვთქვათ, რომ მასწავლებლები თანამშრომლობენ, ცვლიან საკუთარ მიგნებებს, იყენებენ დიფერენცირებული მიდგომებს. მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა პროექტში. **შეესაბამება ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. კათედრის წევრები თანამშორმლობენ, ცვლიან საკუთარ მიგნებებს, გეგმავაენ მოსწავლეზე ორიენტირებულ აქტივობებს, აქვთ დიფერენცირებული მიდგომები, იყენებენ ეფექტიან სტრატეგიებს და ხელს უწყობენ მოსწავლეთა პიროვნულუნ განვითარებას. ამის დამადასტურებლად წარმოდგენილი აქვთ ურთიერთდასწრების ოქმები. **შეესაბამება ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

კათედრის ურთიერთდასწრების ოქმებიდან და ინტერვიუდან ვადგენთ, რომ კათედრის წევრთა შორის მუდმივად ხორციელდება გამოცდილების გაზიარება, კათედრაზე მასწავლებლები ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, აანალიზებენ მიღებულ შედეგებს. ზრუნავენ შედეგების გაუმჯობესებასა და მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე. პროფესიული ზრდის თვალსაზრისით სკოლაში დამკვიდრებულია ურთიერთდასწრება „ კრიტიკული მეგობარი“. ასევე მნიშვნელოვნად მიიჩნევენ თანამშრომლობას მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. სკოლის საბაზო საფეხურზე კათედრის წევრები მუდმივად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

ორიენტირებული არიან როგორც მოსწავლეთა,ასევე ერთმანეთის მხარდაჭერაზე . კათედრაზე მასწავლებლები ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, აანალიზებენ შედეგებს,ზრუნავენ ერთმანეთის პროფესიულ წინსვლაზე.სკოლაში ტარდება ურთიერთდასწრება,მოქმედებს „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტი. მკაფიოა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას.

შეესაბამება ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

სკოლის დონეზე პოზიტიური კლიმატის უზრუნველყოფის მექანიზმები აღწერილია, სასკოლო სასწავლო გეგმაში, რაც მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს დადასტურდა. მასწავლებლებმა ისაუბრეს, რომ კლასის დამრიგებლები და საგნის მასწავლებელები ერთობლივად ქმნიან პოზიტიურ და მიმღებლურ გარემოს, სადაც ყველას შეუძლია საკუთარი ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენა და განვითარება.

შეესაბამება ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- სამოქმედო გეგმა
- კათედრის სხდომის ოქმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2. 3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

სასკოლო საზოგადოების წევრები კარგად ითავისებენ მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაწერილ ყველა პუნქტს. ინტერვიუირებისას გაირკვა, რომ პედაგოგები სამომავლოდ განახორციელებენ შექმნილი კურიკულუმების მონიტორინგს გაწერილი მეთოდოლოგიის შესაბამისად, ასახავენ შეფასების დოკუმენტში და გააანალიზებენ. შესაბამისად, მომავალი სასწავლო წლისთვის სკოლას აქვს მზაობა კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მიმართულებით. **აღნიშნულის გათვალისწინებით შესაძლებელია, რომ ინდიკატორი დაკმაყოფილებულად ჩაითვალოს.**

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

მონიტორინგის მიზანია სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერა და საჭიროების შემთხვევაში დახმარების გაწევა. პრობლემების აღმოჩენა და მისი გადაჭრა. სკოლა ახალი სასწავლო წლისთვის გეგმავს, მონიტორინგის და შეფასების სისტემის დახვეწას, რაც საშუალებას მისცემს სასკოლო საზოგადოების წევრებს აქტიურად ჩაერთვნენ სწავლა-სწავლების პროცესში. ინტერვიუთი

დასტურდება პედაგოგების მზაობა აღნიშნული მიმართულებით. **ინდიკატორი შესაძლებელია დაკმაყოფილებულად ჩაითვალოს.**

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

პედაგოგები ადასტურებენ , რომ ახალ სასწ. წელს იწყებენ წინა წლის სასწავლო წლის გამოცდილებით. დაწყებული აქვთ სასწავლო პროცესის შესწავლა და ცდილობენ გამოკვეთონ კურიკულუმის სუსტი და ძლიერი მხარეები. ისინი გეგმავენ, რომ 2023-2024 სასწავლო წელს მონიტორინგი და შეფასება გახდონ პრობლემების გადაჭრის ერთ-ერთი ეფექტური საშუალება. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები კურიკულუმების და განხორციელებული კომპლექსურების რევიზიის დროს გამოკვეთენ გამოვლენილ პრობლემებს და თანამშრომლობით იკვლევენ მათი გადაჭრის გზებს, რასაც სამომავლოდ ასახავენ შესაბამისი დოკუმენტაციით.

დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- კათედრის სხდომის ოქმი

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს

სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ვკითხულობთ "განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება განმავითარებელ შეფასებას რომელიც გულისხმობს: მოსწავლის მიღწევების დიაგნოსტირებას, კომენტარს (დაზუსტება, წახალისება, შენიშვნა), რომელიც უზრუნველყოს მოსწავლის შემდგომ წინსვლას გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით, მოსწავლის თვითშეფასებას, მასწავლებლის ურთიერთ დასწრებას" რაც მეტყველებს, რომ სკოლაში იყენებენ შეფასების მრავალფეროვან წყაროებს. წარმოდგენილ მტკიცებულებებს ამყარებს სხვადსხვა აქტივობების შეფასების რუბრიკები.გასაუბრების ეტაპზე გამოიკვეთა, რომ კათედრას აქვს მზაობა, ახალი სასწ. წლისთვის გამოიყენოს მოსწავლეთა შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი, რომელთაც აქვთ ჰოლისტური ხასიათი. **შეესაბამება ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები კარგად იცნობენ მოსწავლეთა საჭიროებებს და მათი ძირითადი აქცენტი სწორედ პროცესების მოსწავლეებზე ორიენტირებულად წარმართვაზე მიემართება. მოსწავლის შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს ყველა იმ კონტექსტს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს მოსწავლის შედეგებზე. კლასის დამრიგებლები მოსწავლეებისა და მშობლებისგან იღებენ შესაბამის ინფორმაციას მოსწავლის ინტერესებსა და მოსწავლის თავისუფალი დროის მართვაზე. მოსწავლის ქცევას სკოლაში აკვირდება კლასის დამრიგებელი. **შეესაბამება ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ვთქვათ, რომ სკოლა ახორციელებს სასწავლო პროცესის შეფასების მიზნით ინფორმაციის შეგროვებას და ანალიზს. **თუმცა წარმდგენილ დოკუმენტაციაში არ არის ნაჩვენები მონაცემთა მოპოვების რომელ მეთოდებს იყენებს. სასურველია სკოლას ჰქონდეს შემუშავებული და ასახული სასწავლო გეგმაში ინფორმაციის მოპოვების პროცესში რომელ მეთოდებს იყენებენ.** პედაგოგებთან ინტერვიუსა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით კათედრაზე სკოლაში მოსწავლეთა მიღწევების შეფასება ხორციელდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების მიხედვით. რომლის დახვეწას კათედრა ახალი სასწავლო წლისთვის სრულად გეგმავს ახალი კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილი თემატური ერთეულების მიხედვით. სკოლას/ კათედრას შერჩეული აქვს სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი, რაც თითეული მოსწავლის მიღწევებისა და საჭიროებების გათვალისწინებით შეფასების საშუალებას იძლევა. .როგორც სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაშია აღნიშნული სკოლაში კვლევა და შეფასება ტარდება და წარიმართება სამი მიმართულებით: 1. მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად 2. სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის), 3. სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის), აქედან გამომდინა ვფიქრობ, რომ მომავალ სასწავლო წელს სასწავლო პროცესის შეფასებისას გამოყენებული იქნება მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები. **აღნიშნულის გათვსლისწინებით შესაძლებელია ინდიკატორი დაკმაყოფილებულად ჩაითვალოს.**

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

როგორც სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაშია აღნიშნული სკოლაში კვლევა და შეფასება ტარდება და წარიმართება სამი მიმართულებით: 1. მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად 2. სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის), 3. სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის), აქედან გამომდინა ვფიქრობ, რომ მომავალ სასწავლო წელს სასწავლო პროცესის შეფასება განხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების;
- შეფასების რუბრიკები;
- კათედრის ოქმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტიდან და კათედრის წევრებთან გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ სკოლაში საგნობრივი კათედრები თანამაშრომლობენ ერთმანეთან, უცვლიან ერთმანეთს ინფორმაციას დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ. გამოთქვეს მზაობა, რომ მომავალში მოხდება კურიკულუმების გადასინჯვა და რევიზია, კურიკულუმის დანერგვის პროცესში გაკეთებული დასკვნების განზოგადება და პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული აქტივობების დაგეგმვა. ახალი კურიკულუმის შედგენისას გაითვალისწინებენ წინა წლის მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს და შესაბამისად აწარმოებენ ამ პროცესის ამსახველ დოკუმენტაციას. როგორც პედაგოგებმა აღნიშნეს მნიშვნელოვანია, რომ დაგეგემვის პროცესში მიღებული მიგნებები და რეფლექსიის შედეგები გააზრებული და გაზიარებული იყოს სასკოლო საზოგადოების მიერ, გათვალისწინებული იყოს გადაწყვეტილებების მიღებისა და სამომავლო პერსპექტივების შეფასებისას. პედაგოგები, ინტერვიუს დროს აღნიშნავდნენ, რომ კლასებში რადგან მოსწავლეთა მცირე რაოდენობაა ზოგიერთი კომპლექსური დავალება რთული შესასრულებელია, ამიტომ ახალ კურიკულუმში გაითვალისწინებენ ამას.ისინი ამბობენ,სასკოლო საზოგადოება პასუხისმგებლობით მუშაობს კურიკულუმის განვითარებაზე, თანამშრომლობით და ერთმანეთის უკუკავშირის საფუძველზე დახვეწავენ და მოდიფიცირებას გაუკეთებენ კურიკულუმს საჭიროების შემთხვევაში. **შეესაბამება ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.**

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტიდან და კათედრის წევრებთან გასაუბრებიდან გამოიკვეთა, მომავალში სასკოლო კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში აისახება მოსწავლეთა შედეგები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიები, სასწავლო მასალების ეფექტიანობის და ვალიდობის მონაცემები. სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. ეს გამოცდილება გათვალისწინებული იქნება როგორც კლასის დონეზე, ასევე საფეხურის დონეზეც. ახალი კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებულია ის პრობლემები, რომელიც მისი დანერგვის პროცესში წარმოიქმნა და ასახულია პრობლემის დაძლევის შესაბამისი ცვლილებები. ამაზე კოორდინირებულად იმუშავებენ საგნობრივი კათედრები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- .კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია.
- მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი - ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ ეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი
2.1. კურიკულუმის შემუშავება
2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას

სსიპ ცაგერის რაიონის სოფელ ოყურეშის საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის, ასევე სკოლის თვითშეფასების კითხვარის მიხედვით ირკვევა, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულნი არიან სასკოლო საზოგადოების წევრები: მასწავლებლები და მოსწავლეები, მშობლები. სკოლამ წარმოადგინა კათედრის სხდომის ოქმები, სამოქმედო გეგმები, საიდანაც ჩანს, რომ კურიკულუმის შემუშავება ხდება წინა წლების გამოცდილების შედეგად. სასკოლო კურიკულუმის კონცეპტუალური ჩარჩოს შექმნის პროცესში აქტიურად მონაწილეობს პედაგოგიური ჯგუფი, რომელიც კურიკულუმის შემუშავების და განვითრების პროცესში ხელმძღვანელობს სასკოლო საზოგადოების მიერ გაკეთებული

რეფლექსიის საფუძველზე. კურიკულუმის შეამუშავების პროცესში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები და შესაძლებლობები. ჩანს, რომ სკოლას გააზრებული აქვს მშობელთა ჩართულობის მნიშვნელობა, როგორც მოსწავლეთა სწავლის ხარისხის, ასევე ფსიქო-ემოციური განვითარების კუთხით. სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები ასახულია კურიკულუმში, რითაც დადასტურებულად შეიძლება ითქვას, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, პრიორიტეტების, შესაძლებლობებისა და მიზნების გათვალისწინების საშუალებას.

შეესაბამება ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები ცხადყოფს, რომ შერჩეული თემები და საკითხები სასკოლო საზოგადოების ინტერესს ითვალისწინებს და თანხვედრაშია საგნობრივ სტანდარტთან. კურიკულუმების შემუშავება ხდება კათედრის წევრებთან თანამშრომლობითა და განხორციელებული პრაქტიკული საქმიანობის გათვალისწინებით. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინტერესების, ასაკობრივი თავისებურებების, უნარებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით შეარჩევენ კომპლექსურ დავალებებს. სკოლას აქვს ხედვა განავითაროს კურიკულუმი მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და მათი პრიორიტეტების გათვალისწინებით

შეესაბამება ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულნი იყვნენ სასკოლო საზოგადოების წევრები. სკოლას, შემუშავებული აქვს კურიკულუმის პირველადი ვერსიები, რომლის დახვეწაზე კათედრის წევრები მუშაობენ სასკოლო საზოგადოებასთან ერთად. საშუალო საფეხურის საგნების კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობას იღებს სასკოლო საზოგადოება, მოსწავლეთა და კათედრის წევრთა გამოცდილების გაზიარებით, პროექტული სწავლების

კურიკულუმი ძირითად ეყრდნობა სამინისტროს მიერ მოწოდებულ ნიმუშებს, მასწავლებლის სახელმძღვანელოს, რასაც სკოლა იყენებს გარკვეული მოდიფიკაციით, ადაპტაციით, სადაც გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება, მათი საჭიროებები და შესაძლებლობები. მასწავლებელი სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციას უზიარებს მოსწავლეების მშობლებს; ეძებს ახალ საშუალებებს სასწავლო პროცესში მათი უფრო მეტად ჩართვისთვის. საჭიროების შემთხვევაში, მოხდება კურიკულუმის მოდიფიცირება, სასკოლო საზოგადოების ინიციატივებისა და წინადადებების გათვალისწინებით.
შეესაბამება ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.**

სკოლას გააზრებული აქვს, რომ კურიკულუმზე მუშაობის პროცესი ციკლურია და მასში ჩართულობა გულისხმობს მთელი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობას, რასაც არეგულირებს სამოქმედო გეგმა, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სასკოლო საზოგადოების და სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები, რაშიც აისახება მიმღებლობითი გარემო. კურიკულუმის გაზიარება ხდება პედაგოგიურ საბჭოებზე, კათედრის სხდომებსა და მოსწავლეებთან. სასკოლო საზოგადოების წევრებთან გაზიარება მოხდა სხვადასხვა სოციალური პლატფორმის მეშვეობით. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს იკვეთება, რომ კომპლექსური დავალების შესრულების შემდეგ, ცდილობენ მოაწყონ საერთო საკლასო დისკუსიები, სადაც საუბრობენ მიღწეულ შუალედურ შედეგებზე და ისახავენ გრძელვადიან მიზნებს ერთობლივად.
შეესაბამება ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- კათედრის სხდომების ოქმები
- საგნობრივი კურიკულუმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას

მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად ზუსტდება, რომ კურიკულუმების შემუშავება ისე წარმოებს, რომ წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; ასევე აღნიშნეს მასწავლებლებმა, რომ უკვე აქვთ შერჩეული კომპლექსური დავალებები თემის, კლასის, მოსწავლის ასაკის შესაბამისად. ამ კომპლექსურებზე მუშაობა დაეხმარება მასწავლებლებს სწავლების პროცესი ისე წარმართოს, რომ ხელი შეუწყოს მოსწავლის განვითარებას. თუმცა კურიკულუმებში აარის შესატანი ცვლილებები, კერძოთ ქვეცნებები ჩამოყალიბებულია შედეგების სახით და საჭიროებს ცნებების სახით ჩამოყალიბებას, ასევე ბოლომდე ჩასაწერია სტანდარტით გათვალისწინებული ყველა თემატური ერთეული. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს გამოკვეთეს, რომ უკვე თითქმის მზად აქვთ ყველა კურიკულუმი, სადაც გაითვალისწინებენ ყველა მიცემულ რეკომენდაციას. **უცხო ენების საგნობრივმა ექსპერტმა საკუთარ დასკვნაში აღნიშნა, რომ წარმოდგენილ კურიკულუმებში ბუნდოვანია თემების, მკვიდრი წარმოდგენებისა და სამიცნე ცნებების კავშირი. ექსპერტი განმარტავს; ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ისინი მოდიფიცირებას უკეთებენ კურიკულუმის ჩარჩოებს ახალი სასწ. წლისთვის, სადაც მოსწავლეებთან ერთად შეარჩევენ ისეთ დავალებებს, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეების უწყვეტ განვითარებას ამ საფეხურზე.**
აღნიშნულის გათვასლიწინებით შესაძლებელია ინდიკატორი დაკმაყოფილებულად ჩაითვალოს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)

საშუალო საფეხურზე კათედრას წარმოდგენილი აქვს მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმების ნიმუშები. რადგან მათში არ იყო შერჩეული არც ერთი კომპლექსური, მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს გაამახვილეს წარმოაჩინენ, თუ როგორი კომპლექსურები შეარჩიეს და ნიმუშად აღწერეს კომპლექსური დავალების განხორციელების ეტეპები. სადაც წარმოდგენილია გრძელვადიან მიზნების ფარგლებში შერჩეული კომპლექსური დავალებები, შევსებული სტანდარტის შედეგების მისაღწევი დეტალების (ცნება, კონტექტს- მაგალითი, კომპლექსური დავალება, რესურსი) მიხედვით. წარმოდგენილი კურიკულუმები ითვალისწინებს გრძელვადიანი მიზნების მიღწევის გზას შუალედური მიზნებით სასწავლო წლის განმავლობაში, რაც გამოიხატება თითოეული თემის შესაბამისი კომპლექსური დავალებით. აღნიშნეს რომ გეგმავენ კვლავ გააგრძელონ კომპლექსური დავალებების შერჩევა თემების შესაბამისად. წარმოდგენილ მასალაში ჩანს მასწავლებელი რას და როგორ გამოიყენებს წლის მანძილზე, რომელ საგნობრივ საკითხებს, დავალებებს, ძირითად და დამატებით რესურსებს, შეფასების რომელ ინსტრუმენტებს სთავაზობს საკუთარ მოსწავლეებს პიროვნული განვითარებისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. ასეთი ფორმით სწავლება ავითარებს 6 ფუნქციურ-კომპონენტურ უნარს, რომელიც უვითარდება მოსწავლეს მუდმივად სასწავლო პროცესებში. აღნიშნეს, რომ ეს უნარები არის წინაპირობა სწავლის ხელსესაწყობად. კომპლექსური დავალებები უშუალოდ ავითარებს ამ 6 უნარს. ასევე კათედრის წევრებმა გამოიკვეთეს, რომ პედაგოგები აქცენტს აკეთებენ საგნის სწავლების პროცესში მოსწავლისთვის საჭირო უნარების გაუმჯობესებასა და ჩამოყალიებებაზე, რაც გაწერილია კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში. შესასწორებელ ხარვეზებზე: ძირითადად სამიზნე ცნების ქვეცნებები არის გასასწორებელი, რესურსებია დასამატებელი. <u>უცხო ენების საგნობრივმა ექსპერტმა თავის დასკვნით ნაწილში აღნიშნა;</u> **შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები მეტწილად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

გრძელვადიან მიზნებს. მასწავლებლებთან ინტერვიუებისას გაირკვა, რომ სასწავლო პროცესში გააზრებული და გათვალისწინებულია გლობალური ფუნქციური უნარები, რომლებიც მუშავდება კომპლექსური დავალებებით. ჩემი რჩევა იქნება, მასწავლებლებმა ამ საფეხურის მოსწავლეები ჩართონ არაფორმალურ აქტივობებში და შესთავაზონ პროექტული სწავლება. მიუხედავად კონტიგენტის სიმცირისა, მეტი განვითარების საშუალება მისცენ მოსწავლეებს, რათა ხელი შეუწყონ მათი ფუნქციური უნარების ჩამოყალიბება-განვითარებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით შესაძლებელია, რომ ინდიკატორი დაკმაყოფილებულად ჩაითვალოს.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს

კურიკულუმში სასწავლო პროცესის დიფერენცირების რეალურ მცდელობაზე მეტყველებს რამდენიმე ფაქტორი: ა) სასწავლო თემების შერჩევისას მოსწავლეთა ინტერესებისა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება; ბ) დავალების პირობის მოდიფიცირების უნარი; გ) ინდივიდულური სასწავლო გეგმა, რომლის საფუძველზეც ირკვევა, რომ კათედრის წევრებს შეუძლიათ, განსაზღვრონ სასწავლო მიზნები სსსმ მოსწავლეებისთვის საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით. კათედრის წევრების განმარტებით, დავალების პირობას შეიმუშავებენ ისე, რომ მოსწავლეებს ჰქონდეთ საშუალება, ერთსა და იმავე საკითხსა თუ ცნებაზე მუშაობისას აირჩიონ პროდუქტის მათთვის სასურველი ფორმა(ესე, პოსტერი, პრეზენტაცია, კომიქსი ან სხვა). მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მიმართავენ დიფერენცირებულ მიდგომებს, საჭიროების შემთხვევაში, რემედიაციას. მასწავლებლები დავალების პირობას შეიმუშავებენ ისე, რომ მოსწავლეებს აქვთ არჩევანის საშუალება, რომ ერთიდაიგივე საკითხსა და ცნებაზე მუშაობისას აირჩიონ პროდუქტის მათთვის სასურველი ფორმა. წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, რომ სკოლაში მუშაობს მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც შეისწავლის ისგ-ის მუშაობის ხარისხს და აკეთებს დასკვნას. სკოლის თვითშეფასების ფორმაში აღნიშნულია, რომ საშუალო საფეხურზე ჰყავს ორი სსსმ

მოსწავლე. თუმცა მათთვის შემუშავებული ისგ არ არის წარმოდგენილი. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისგ გეგმის შემუშავების გამოცდილება აქვთ და ის შეიქმნება ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე. სკოლის თვითშეფასების ფორმიდან ასევე ირკვევა, რომ არსებობს რესურსოთახი, სადაც სპეცმასწავლებელი მათთვის მორგებული რესურსებით ახორციელებს აქტივობებს. გარდა ამისა, სკოლა ორიენტირებულია დიფერენცირებული სწავლა-სწავლების ძირითად პრინციპებზე და სწავლების პროცესში მნიშვნელოვნად მიიჩნევს მოსწავლის პროგრესს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს

საბაზო საფეხურიზე კათედრის მიერ წარმოდგენილია სამივე კლასში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. ნიმუშის სახით წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მიემართება გრძელვადიანი მიზნებისაკენ. რუბრიკები ორიენტირებულია სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებსა და თემის ფარგლებში მისაღწევ ინდიკატორებზე. კათედრას აქვს გამოცდილება განმავითარებელი შეფასების. ასევე შექმნილი და გამოყენებული აქვთ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა რუბრიკები. გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ აქვთ გააზრებული გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით შეფასების რუბრიკების შექმნა. შემუშავებული კურიკულუმი განიხილება კათედრის მიერ. დამტკიცებული კურიკულუმების შესახებ, სკოლა მშობლებს აწვდის ინფორმაციას სოციალური ქსელის, დამრიგებლების მიერ მოწვეული მშობელთა კრების, ასევე, საინფორმაციო დაფების მეშვეობით. მასწავლებლები ითვალისწინებენ კოლეგების საუკეთესო გამოცდილებას. შემუშავებული კურიკულუმები განიხილება სამეურვეო საბჭოს სხდომაზე სასკოლო თემი ინფორმირებულია საგნობრივი კურიკულუმების შესახებ. წლის დასაწყისში დამრიგებელი მშობლებს უგზავნის წლის განმავლობაში ჩასატარებელი კომპლექსური დავალებების შესახებ ინფორმაციას მშობლის ბარათების საშუალებით, ასევე ინფორმირება მიმდინარეობს მშობელთა კრებებზე, სოციალური ქსელით, პირადი შეხვედრებით, სკოლის საინფორმაციო დაფით. სკოლა გეგმავს 2023–2024 სასწავლო წელს განავითაროს და დახვეწოს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების რუბრიკები. ამ ეტაპზე, სკოლა მოსწავლეს აფასებდა საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი დავალებების კომპონენტების მიხედვით. განმსაზღვრელი შეფასების საშუალებით დგინდება მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონე საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში; ხოლო განმავითარებელი შეფასებით ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. მისი მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლის წინსვლასა და განვითარებას. განმავითარებელი შეფასებით ფასდება ცოდნის

კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესი, მოსწავლის მიერ თავისივე ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის უნარი, ცოდნის სამივე კატეგორიის ათვისების პროცესი, ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარი, ასევე დგინდება წინარე ცოდნა/წარმოდგენები. **შეესაბამება ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ არის წინა წლების კურიკულუმები, თუმცა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაზე და ასევე პედაგოგთან ჩატარებულ ინტერვიუზე დაყრდნობით დადგინდა, რომ სკოლა ითვალისწინებს წინარე წლების გამოცდილებას. თუმცა ამ მიმართულებით მათემატიკის კათედრა მუშაობს პროცესის გაუმჯობესებაზე. როგორც პედაგოგები აღნიშნავენ მომავალი სასწავლო წლის დასაწყისისთვის იგეგმაბა დიაგნოსტიკური შესასების ჩატარება და მიღებული შედეგების ასახვა კურიკულუმში. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს წინარე გამოცდილების ანალიზი, რომლის საფუძველზეც ცვლილებები აისახება საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) კურიკულუმში. სკოლა გეგმავს 2023-2024 სასწავლო წლის ბოლოს ანალიზის საფუძველზე მოახდინოს კურიკულუმის განვითარება წინარე გამოცდილებების გათვალისწინებით.

შეესაბამება ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- სასკოლო პროექტები;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- შეფასების რუბრიკები;

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

1. ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას

წარმოდგენილი საშუალო საფეხურის კურიკულუმებში არ არის ასახულია კომპლექსური დავალებები, ამიტომ ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა წინა წლის გამოცდილება გაგვიზიარეს და აღნიშნეს, რომ კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფს საკითხის სიღრმისეულ შესწავლას, ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების და შემოქმედებითი უნარების გაუმჯობესებას, მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულები საკითხის შესაწავლის პარალელურად შემოქმედებით პროცესში, ქმნიან სხვადასხვა შემოქმედებით პროდუქტს და უზიარებენ სასკოლო საზოგადოების წევრებს. ასევე აღნიშნეს, რომ ახლა მიმდინარეობს კომპლექსურების შერჩევა, ისევ იმ პრინციპით, რომ ითვალისწინებდეს მოსწავლეების ინტერესებს, შესაძლებლობებს და იძლეოდეს შემოქმედებითი პროდუქტის შექმნის შესაძლებლობას. წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტებში გათვალისწინებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნები და სასწავლო პრინციპები. კათედრასთან გასაუბრების შემდეგ გამოიკვეთა, რომ ისინი ცდილობენ სწავლა-სწავლების პროცესი იყოს მოსწავლეზე მორგებული. იმის გათვალისწინებით, რომ გარკვეულწილად,კათედრას აქვს კომპლექსური ტიპის დავალებებზე მუშაობის გამოცდილება,ჩვენ შეგვიძლია ვივაუარუდოთ, რომ სასწავლო პროცესი იძლევა საშუალებას, მოსწავლე აქტიურად ჩაერთოს პროცესში. **შეესაბამება ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

პედაგოგებმა გასაუბრებისას გაგვიზიარეს კომპლექსური დავალების განხორციელების გამოცდილება. მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნას, გამოცდილებას, ინტერესებს, შესაძლებლობებს. ეხმარებიან მოსწავლეებს არსებული ცოდნის ახალთან დაკავშირებაში, სწავლა-სწავლებას უკავშირებენ ნაცნობ კონტექსტებს და შესასწავლ თემას. 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე კომპლექსური დავალების იდეებს ასახავენ ჩარჩო კურიკულუმში, რომელსაც განახორციელებენ სასწავლო წლის განმავლობაში. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოს მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ დაგეგმილ კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით, მოსწავლეებს აუცილებლად მოუწევთ წინარე ცოდნის გაზიარება და რაზეც მოახდენენ ახალი ცოდნის კონსტრუირებას. **შეესაბამება ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

კათედრის მიერ წარმოდგენილი საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოები არასრულ ინფორმაციას იძლევა, იმის შესახებ თუ როგორ მოხდება მომავალში მოსწავლეებში სწავლა-სწავლის კომპენტენციის განვითარება, მაგრამ ამავე საფეხურზე წლის განმავლობაში განხორციელებული პროექტი: "ვიტამინები" იძლეოდა, როგორც თანამშრომლობითი სწავლების საშუალებას, ასევე მოსწავლეებში შესრულებული დავალების ანალიზის უნარის განვითარებას: რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ ,გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელისშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა და სხვა. ამასთანავე, პედაგოგებთან ჩატარებული ინტერვიუ იძლევა გარკვეულ მიგნებებს , რომლის მიხედვითაც შეიძლება ითქვას, რომ სკოლა ყურადღებას დაუთმობს მომავალში მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. ინტერვიუს დროს, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სკოლა იცავს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ერთ-ერთ ძირრითად კონცეფციას და სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეს ეხმარებიან მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაში. სასწავლო პროცესის წარმართვა სწავლის სწავლაზე, კომპლექსური დავალების საკვანძო კითხვები, თითოეული კრიტერიუმის დამუშავების ეტაპები იძლევა საშუალებას, შეასაბამისად კომპლექსური დავალებებით სწავლება ამის გარანტიაა. ასევე პროექტებით სწავლება. ეს პროცესი უწყვეტია კომპლექსური დავალების შესრულების დროს, დაწყებული შემოქმედებითი პროდუქტის შექმნის შესწავლიდან დასრულებული პრეზენტაციის ბოლოს დასმული შეკითხვებით. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი შესაძლებელია დაკმაყოფილებულად ჩაითვალოს.**

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული)

სასწავლო პროცესის აგება ცოდნის სამ კატეგორიაზე დეტალურად აისახება კომპლექსური დავალებების აქტივობებში, თუმცა ჩარჩოში მოცემული კომპლექსური დავალების ძირითადი კონტექსტ-მაგალითი და მასწავლებელთა საუბრებიდან გამომდინარე

ხედვა ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი ამ მიმართულებისაკენ იქნება წარმართული. კომპლექსური დავალება ისედაც ითვალისწინებს ცოდნის სამივე კატეგორიაზე მორგებული კითხვებით გაჯერებას. **დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.**

5. **სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.**

საგნობრივი ექსპერტების დასკვნით, სასწავლო პროცესში მოსწავლეები ახდენენ ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას. ეს დასტურდება პედაგოგებთან ინტერვიუდანაც. მათ აღნიშნეს რომ მნიშვნელოვანია მოსწავლეები ხედვდნენ ნასწავლი საკითხების სხვადასხვა კონტექსტში გამოყენების მაგალითებს, როგორ უკავშირდება ახალი მასალა ადრე ნასწავლ საკითხებს. ყველა საგნის კურიკულუმის ჩარჩოში მოცემულია განსხვავებული თემები და კომპლექსური დავალების მრავალფეროვანი იდეები რაც გვაფიქრებინებს რომ პედაგოგი ითვალისწინებს წინარე გამოცდილების ანალიზს, ამასვე ადასტურებს მასწავლებლებთან განხორციელებული ინტერვიუების ანალიზი. სკოლას დამატებით დოკუმენტაციაში ჩანს შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზი, სადაც მოცემულია კლასის საერთო შედეგები, რომელზე დაყრდნობითაც პედაგოგები სახავენ გამოვლენილი სირთულეების გადაჭრის/ გაუმჯობესების გზებს. აღნიშნული დოკუმენტის არსებობა სკოლაში მაფიქრებინებს, რომ სკოლას აქვს წინარე გამოცდილების ანალიზზე ახალი სასწავლო გეგმის შემუშავების პრაქტიკა.

დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;
- საგნობრივი კურიკულუმი;
- სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები, აქტივობები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კომპლექსური დავალების მატრიცა
- სასწავლო პროექტები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

1. **სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით**

საგნობრივ ჩარჩოებში განხილული თემები და შემოთავაზებული კომპლექსური დავალებები (მაგ: პრეზენტაცია, სასკოლო ფესტივალი), აგრეთვე მასწავლებლებთან ინტერვიუების საფუძველზე მიღებული ინფორმაცია ანალიზის საფუძველზე შემიძლია ვთქვა, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის საშუალებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები დადგეგმილია იმგვარად, რომ კომპლექსური დავალებებზე მუშაობა მოსწავლისაგან ითხოვს ფიქრს, მსჯელობას, მოსაზრებების ჩამოყალიბებას, პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას, ნასწავლის სხვადასხვა კონტექსტში განხილვას. მაგალითად ბუკლეტის მომზადება, ლაშქრობის დაგეგმვა სადაც მოსწავლემ თვითონ უნდა შეარჩიოს თემა, მოიძიოს ინფორმაცია დაახარისხოს და შექმნას პრეზენტაცია. ეს ყოველივე მოსწავლისგან ითხოვს საკითხის სხვადასხვა პერსპექტივიდან განხილვას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეების აქტიურ ჩართულობას. შემოქმედებითი პროდუქტების შექმნა

თავისთავად მოიაზრებს შემოქედებითობის გამოვლენას. მასწავლებლებთან ინტერვიუმ აჩვენა, რომ მათ კარგად ესმით თემის შესაბამისი საკითხების სიღრმისეული გააზრების მიზნით რამდენად მნიშვნელოვანია კომპლექსური დავალებები. კათედრის წევრებმა გამოთქვეს მზაობა,რომ სასწავლო წლის დაწყებადე შეასწორებენ და შეავსებენ ყველა ხარვეზსს, ასევე გამოიკვეთა, რომ კათედრის წევრებს აქვს საგნის სწავლების სწორი ხედვა, რომ მოსწავლეებს გაათავისებინონ სამიზნე ცნება და მისი შესაბამისი მკვიდრი წარმოდგენა. **შეესაბამება ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

საგნობრივმა ექსპერტებმა თავიანთ დასკვნით ნაწილში აღნიშნეს, რომ ინტრევიუს დროს კათედრის წევრებმა ისაუბრეს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარების შესახებ და გამოკვეთეს თუ რამდენად მნიშვნელოვანია რომ სასწავლო პროცესი მოსწავლის ამ კუთხით განვითარებასაც უწყობდეს ხელს. ისაუბრეს თავიანთ წილ პასუხისმგებლობაზე ამ პროცესში, თუ სწორად და დიფერენცირებულად შევარჩევთ დავალებებს, მოსწავლის შესაძლებლობების და ინტერესების გათვალისწინებით. პედაგოგები საუბრობენ, რომ დავალებების შერჩევის დროს ითვალისწინებენ ინდივიდუალური მოსწავლის პიროვნულ თავისებურებებსა და სურვილებს, ცდილობენ სხვა საგნებთან ინტეგრირებულად მოსწავლეებს შესთავაზონ ისეთი სახის დავალებები, რაც ხელს შეუწყობს მათი ფსიქო-სოციალურ განვითარებას. **შეესაბამება ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

3. **შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე**

სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელიც შეფასების რუბრიკები, განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში სწორად არის ჩამოსაალიბები შედეგების მიღწევის ინდიკატორები, კარგად ჩანს რამდენად მნიშვნელოვანია მასწავლებლებისთვის შეფასების სისტემამ უზრუნველყოს მოსწავლეთა ჰოლისტურ განვითარება, რაც გულისხმობს, რომ მოსწავლე თავად არის საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი, მასწავლებელი კი ამაში უნდა უწყობდეს ხელს. ამისათვის კათედრა აქტიურად იყენებს კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებულ სწავლებას, რაც ჩანს კურიკულუმებიდან. ასევე მნიშვნელოვანია მოსწავლეების საკუთარ ცოდნაზე დაფიქრება. ამისათვის მასწავლებლები იყენებენ შეფასების სავადასხვა ინსტრუმენტებს და მათ შორის მოსწავლეთა თვითშეფასებას. წარმოდგენილი დოკუმენტაციით შეფასების სისტემა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) ზოგადი კრიტერიუმებითაა წარმოდგენილი, დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტაციით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

გადმოგზავნილ მასალებში მოცემულია სოლო ტაქსონომიით შეფასება, გადმოგზავნილია ასევე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც გამოავლენს მოსწავლეთა ძლიერ და სუსტ მხარეებს და აძლევს მოსწავლეს კონსტრუქციულ უკუკავშირს იმასთან მიმართებაში, თუ როგორ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი და როგორ შეიძლება იმუშავოს არსებულ გამოწვევებზე. **შეესაბამება ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

კათედრის წევრებმა წარმოადგინეს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, რომელიც საჭიროებს დახვეწას. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მუდმივად მუშაობენ შეფასების სისტემის დახვეწაზე კათედრათა შორის თანამშრომლობით, წინა წლების გამოცდილების გაზიარებით.. კათედრის წევრები ახალი სასწავლო წლისთვის კვლავ გეგმავს ყველა თემატური ერთეულისთვის შეფასების რუბრიკების შექმნას. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მათ მიერ შექმნილი შეფასების სისტემა ძირითადად არის ვალიდური, რადგან სრულ შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. საშუალო საფეხურზე გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება და სოლო ტაქსონომია. მასწავლებლები უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს. **შეესაბამება ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

წარმოდგენილი დოკუმენტაციით ვერ ვადგენთ ფუნქციონირებს თუ არა სკოლაში შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. სკოლაში ვიზიტისას გაირკვა, რომ **სკოლას არა აქვს შემუშავებული აღნიშნული მექანიზმი და შეფასების ერთიანი სისტემა.** თუმცა ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს, რომ სკოლა მუშაობს, რომ დოკუმენტის სახით ჩამოაყალიბოს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. კათედრაზე აღნიშნეს, რომ მუდმივად აწარმოებენ შემაჯამებელი დავალებების ანალიზს და მომავალი სასწავლო წლიდან გეგმავენ დანერგონ დიაგნოსტიკური წერები, რათა მათი შედეგების მიხედვით საჭიროების შემთხვევაში ცვლილებები შეიტანონ ცვლილებები. სკოლაში არ ფუნქციონირებს ვერიფიკაციის მექანიზმი.ამ ეტაპზე ,სკოლაში შეფასების ვერიფიკაცია ხდება კათედრის სამუშაო ჯგუფის მიერ. მასწავლებელთა ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ 2023-2024 სასწავლო წლისთვის დაწყებულია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის სტანდარტისა და სამუშაო ჯგუფის შედგენა. პროცესისთვის საკვანძო ელემენტია განმავითარებელი შეფასება, რომელიც გადაჯაჭვულია კომპლექსურ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

დავალებაზე დაფუძნებულ სასწავლო პროცესთან. ამ პროცესში პედაგოგები ინტენსიურად თანამშრომლობენ მოსწავლეებთან. შედეგად პედაგოგს ცხადი წარმოდგენა უყალიბდება იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად პროგრესირებს მოსწავლე სამიზნე ცნებებთან მიმართებით (დიაგნოსტირება); უჩნდება მოსაზრებები, თუ რამდენად ეფექტურია დასახული მიზნის მისაღწევად შერჩეული სასწავლო რესურსები და მის მიერ განხორციელებული აქტივობები (მასწავლებლის თვითშეფასება). კომპლექსური დავალებების, შემაჯამებელი სამუშაოებისა და დიაგნოსტიკური შეფასების საფუძველზე მოხდება შედეგების შერწყმა და მოსწავლის ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების შეფასება ესგ სტანდარტთან მიმართებაში. **აღნიშნულის გათვალისწინებით, მოცემულ ეტაპზე არ შეესაბამება ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვით დაწესებულება აღნიშნულ ხარვეზს გამოასწორებს 30.11. 2023 წლამდე. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი ფასდება როგორც „მეტწილად შესაბამისი.“

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

კათედრის წევრებთნ გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასების შესახებ ინფორმაციის აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით. როგორც კათედრის წევრება აღნიშნეს, შეფასების დოკუმენტაცია გადაეცემა სასწავლო წლის ბოლოს სკოლის ადმინისტრაციას, რომელიც უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. სკოლაში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მონაცემები აისახება ელექტრონულ ჟურნალში. ბრძანებით განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი ჟურნალის წარმოებაზე. ჟურნალს აქვს დაარქივების ფუნქციონალები, სადაც ავტომატურად ინახება ინფორმაცია შედეგების შესახებ. ადმინისტრაციას ნებისმიერ დროს შეუძლია ამ მონაცემების ამოკრეფა და მიზნობრივად გამოყენება. პორტალი საშუალებას იძლევა განხორციელდეს შეფასების სტატისტიკის ამოკრება და ანალიზი.

შეესაბამება ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმი;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- შეფასების რუბრიკები
- სამოქმედო გეგმა.
- ბრძანება ჟურნალის მონიტორინგზე

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო

კათედრის წევრებთან გასაუბრებისა და მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. პედაგოგები თანამშრომლობენ ერთმანეთთან.მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. მათ შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და ერთმანეთის დახმარებაზე.ინდიკატორი შესაბამისობაშია. სკოლაში გაზიარებულია ლიდერობა. მასწავლებლები ერთობლივი ძალისხმევით ზრუნავენ მოსწავლეთა პიროვნულ და აკადემიურ წინსვლაზე. სასწავლო პროცესს წარმართავენ ზრუნვასა და მხარდაჭერაზე ორიენტირებულად. სასკოლო ცხოვრების ნებისმიერი პროცესი მიმდინარეობს თანამშრომლობით, პრობლემაზე ორიენტირებით, სასკოლო საზოგადოების წევრების გაზიარებული პასუხისმგებლობით და

რეფლექსიით, რაც ქმნის სკოლაში ღია მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს. სასკოლო პროექტები, განმავითარებელი შეფასების მეთოდოლოგია, დიფერენცირებული მიდგომები, გაზიარებები, განაპირობებს სკოლაში არსებულ მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს. მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან სწავლების სტრატეგიებს, სასწავლო საშუალებებსა და რესურსებს, მათ შორის – ელექტრონულ რესურსებს. **შეესაბამება ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად

სწავლების საშუალო საფეხურზე კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფენ მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, სადაც წამყვანია მოსწავლის ავტონომიურობა, არჩევანი, წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია. პედაგოგები არჩევენ უნივერსალური სწავლების მეთოდებს, სწავლების ფორმებს, სტრატეგიებს, რომლებიც სხვადასხვა შესაძლებლობების ბავშვებთან ურთიერთობისას სწავლების პროცესში ძალიან ეფექტიანია. სკოლის მიერ შემუშავებული საგნობრივი პროგრამები საშუალებას აძლევს მოსწავლეებს პიროვნული ზრდისთვის, მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე და მხარდამჭერი სასწავლო პროცესის. ამრიგად, სკოლა სასწავლო პროცესში ქმნის მოსწავლისათვის მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს.
შეესაბამება ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას

სწავლების საშუალო საფეხურზე სკოლაში თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას ხელს უწყობს პროექტული მუშაობები ფორმალური და არაფორმალური კუთხით. ამ მხრივ მნიშვნელოვანია სასკოლო პროექტები, კომპლექსური დავალებები, რაც წარმატებით ხორციელდება სკოლაში. მაგალითად, კათედრის ფარგლებში მასწავლებლები ახორციელებენ შეხვედრებს, რათა სასწავლო პროცესი წარიმართოს ეფექტიანად გამოყენებული სასწავლო სტრატეგიების, მრავალფეროვანი, მოსწავლეზე მორგებული რესურსების, განმავითარებელი შეფასების, დიფერენცირებული მიდგომების, ინკლუზიური განათლების პრინციპების მეშვეობით და რომ პროცესი ეფუძნებოდეს თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას.
შეესაბამება ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე

სასწავლო გეგმის, შინაგანაწესის ჩართულობითი რევიზია და გადამუშავება, დიფერენცირებული მიდგომები, გაზიარებები, შემუშავების და კვლევის მეთოდოლოგიის დანერგვა, ანგარიშვალდებულება სასკოლო საზოგადოების წინაშე, სკოლის განვითარებაზე ერთობლივი პასუხისმგებლობა და ზრუნვა გაზრდის თემის და სრულიად სასკოლო საზოგადოების ურთიერთ ნდობას, პატივისცემას, მხარდაჭერას, რაც განაპირობებს სკოლაში არსებულ პოზიტიურ კლიმატს ყველა დონეზე. პოზიტიური საკლასო ატმოსფეროს შესაქმნელად მნიშვნელოვანია ფიზიკური გარემოს მოწყობა. დაწესებულება გამოირჩევა ძლიერი თანამშრომლობით კავშირებით სასკოლო საზოგადოებას შორის. სკოლაში მოწინავეა გაზიარებულ ღირებებულებსა და ნორმებზე დაფუძნებული პოლიტიკა, ნაცვლად დასჯა/წახალისების მექანიზმისა. **შეესაბამება ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების ინსტრუმენტები და რუბრიკები;
- ურთიერთდასწრების დოკუმენტი;
- კათედრის ოქმები;

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1.მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად

როგორც სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაშია აღნიშნული სკოლაში კვლევა და შეფასება ტარდება და წარიმართება სამი მიმართულებით: 1. მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად 2. სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის), 3. სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის), აქედან გამომდინარე შემიძლია დავაკვნა, რომ მომავალ წელს მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება კურიკულუმით განსზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. სასკოლო საზოგადოების წევრები კარგად ითავისებენ მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაწერილ ყველა პუნქტს. ინტერვიუირებისას გაირკვა,რომ პედაგოგები სამომავლოდ განახორციელებენ შექმნილი კურიკულუმების მონიტორინგს გაწერილი მეთოდოლოგიის შესაბამისად, ასახავენ შეფასების დოკუმენტში და გააანალიზებენ. შესაბამისად, მომავალი სასწავლო წლისთვის სკოლას აქვს მზაობა კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მიმართულებით. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიიდან და ინტერვიუდან გამოიკვეთა რომ კათედრა უზრუნველყოფს კურიკულუმის რევიზიას, რომლის შედეგებსაც ასახავენ მომდევნო წლის კურიკულუმებში. **შეესაბამება ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

2. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

როგორც სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაშია აღნიშნული სკოლაში მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ხორციელდება სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად, პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადასაჭრელად და სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გასაძლიერებლად აქედან გამომდინარე შემიძლია დავსკვნა, რომ მომავალ წელს მონიტორინგი და შეფასება მოემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.

შეესაბამება ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

3. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.**

პედაგოგები ადასტურებენ, რომ ახალ სასწ. წელს იწყებენ წინა წლის სასწავლო წლის გამოცდილებით. დაწყებული აქვთ სასწავლო პროცესის შესწავლა და ცდილობენ გამოკვეთონ კურიკულუმის სუსტი და ძლიერი მხარეები. ისინი გეგმავენ, 2023-2024 სასწავლო წელს. მონიტორინგი და შეფასება გახდონ პრობლემების გადაჭრის ერთ-ერთი ეფექტური საშუალება. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ სკოლაში მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ხორციელდება სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად, პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადასაჭრელად, აქედან გამომდინარე შემიძლია დავსკვნა, რომ მომავალ სასწავლო წელს მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. **შეესაბამება ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი
- საგნობრივი კურიკულუმები;კათედრების ოქმები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ვკითხულობთ "განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება განმავითარებელ შეფასებას რომელიც გულისხმობს: მოსწავლის მიღწევების დიაგნოსტირებას, კომენტარს (დაზუსტება, წახალისება, შენიშვნა), რომელიც უზრუნველყოს მოსწავლის შემდგომ წინსვლას გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით, მოსწავლის თვითშეფასებას, მასწავლებლის ურთიერთ დასწრებას" რაც მეტყველებს, რომ სკოლაში იყენებენ შეფასების მრავალფეროვან წყაროებს. წარმოდგენილ მტკიცებულებებს ამყარებს სხვადსხვა აქტივობების შეფასების რუბრიკები. სკოლას შედგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია ისიც, თუ როგორ აპირებს სკოლა, განახორციელოს მონიტორინგი და შეფასება. გასაუბრების ეტაპზე გამოიკვეთა, რომ კათედრას აქვს მზაობა, ახალი სასწ. წლისთვის გამოიყენოს მოსწავლეთა შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი, რომელთაც აქვთ

ჰოლისტური ხასიათი. როგორც სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაშია აღნიშნული სკოლაში კვლევა და შეფასება ტარდება და წარიმართება სამი მიმართულებით: 1. მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად 2. სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის), 3. სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის), აქედან გამომდინა ვფიქრობ, რომ მომავალ სასწავლო წელს სასწავლო პროცესის შეფასება დაეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. **შეესაბამება ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით.

სკოლის მხრიდან არის მზაობა, მონაცემთა მიზნობრივი შეგროვებისა და ანალიზის პროცესში იზრუნონ შეფასების მაქსიმალურად ამომწურვადი და ვალიდური ინფორმაციის მიღებისთვის. ისინი გეგმავენ ინტერვიუებს, ტესტირებებსა და სხვადასხვა სახის გამოკითხვებს მონაცემების შეგროვების მიზნით. როგორც სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაშია აღნიშნული სკოლაში კვლევა და შეფასება ტარდება და წარიმართება სამი მიმართულებით: 1. მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად 2. სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის), 3. სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი

პროცესების გაძლიერებისთვის), აქედან გამომდინარე ვფიქრობ, რომ მომავალ სასწავლო წელს სასწავლო პროცესის შეფასება განხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. **შეესაბამება ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

როგორც სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაშია აღნიშნული სკოლაში კვლევა და შეფასება ტარდება და წარიმართება სამი მიმართულებით: 1. მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად 2. სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის), 3. სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის), აქედან გამომდინა ვფიქრობ, რომ მომავალ სასწავლო წელს სასწავლო პროცესის შეფასებისას გამოყენებული იქნება მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები. **შეესაბამება ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

როგორც სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაშია აღნიშნული სკოლაში კვლევა და შეფასება ტარდება და წარიმართება სამი მიმართულებით: 1. მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად 2. სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის), 3. სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო

კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის), აქედან გამომდინა ვფიქრობ, რომ მომავალ სასწავლო წელს სასწავლო პროცესის შეფასება განხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

შეესაბამება ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- წლიური სამოქმედო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმი;
- შემაჯამელი დავალებების ანალიზი.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტიდან და კათედრის წევრებთან გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ სკოლაში საგნობრივი კათედრები თანამაშრომლობენ ერთმანეთან, უცვლიან ერთმანეთს ინფორმაციას დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ. გამოთქვეს მზაობა, რომ მომავალში მოხდება კურიკულუმების გადასინჯვა და რევიზია, კურიკულუმის დანერგვის პროცესში გაკეთებული დასკვნების განზოგადება და პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული აქტივობების დაგეგმვა. ახალი კურიკულუმის შედგენისას გაითვალისწინებენ წინა წლის მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს და შესაბამისად აწარმოებენ ამ პროცესის ამსახველ დოკუმენტაციას. როგორც პედაგოგებმა აღნიშნეს მნიშვნელოვანია, რომ დაგეგემვის პროცესში მიღებული მიგნებები და რეფლექსიის შედეგები გააზრებული და გაზიარებული იყოს სასკოლო საზოგადოების მიერ, გათვალისწინებული იყოს გადაწყვეტილებების მიღებისა და სამომავლო პერსპექტივების შეფასებისას. **შეესაბამება ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.**

2. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტიდან და კათედრის წევრებთან გასაუბრებიდან გამოიკვეთა, მომავალში სასკოლო კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში აისახება მოსწავლეთა შედეგები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიები, სასწავლო მასალების ეფექტიანობის და ვალიდობის მონაცემები. სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. ეს გამოცდილება გათვალისწინებული იქნება როგორც კლასის დონეზე, ასევე საფეხურის დონეზეც. ახალი კურიკულუმის შედგენისას

გათვალისწინებულია ის პრობლემები, რომელიც მისი დანერგვის პროცესში წარმოიქმნა და ასახულია პრობლემის დაძლევის შესაბამისი ცვლილებები. ამაზე კოორდინირებულად იმუშავებენ საგნობრივი კათედრები. **შეესაბამება ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- .კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია.
- საგნობრივი კურიკულუმები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. დღის წესრიგი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;

ფარნაოზ იორდანიშვილი;

ნათია დარსაძე;
ბესიკ ბერიძე;
რუსუდან ნაპირაშვილი;
ინგა ხრიკაძე;
მორის გუმბარიძე;

ლელა გაბისონია;
მარინე ახალაია;

საბა დარსაველიძე;
ელენე ბეთლემიშვილი;

02. 11. 2023
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები;